გაზეთი ბევრის, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№46 (802) 24 - 25 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## 20 გვერდი 40 თეთრი

## რა კითხვები დაუსვეს ბიძინა ივანიშვილს ევროსაბჭოში




„პასუხი ჩემთვის მოულოდნელი და მძიმე არ იყო!"

გვ. 2



## „ივანიშვილმა, სააკაშვილის დახმარების გარეშე, უნდა დაითხოვოს მთავრობა და შექმნას ანტიკრიზისული ჯგუფი!"

რა ინიციატივებით მიმართავს პრემიერ-მინისტრს ნესტან კირთაძე

გვ. 3

## ძმაო, თქვენ ალაოდ ხომ არა ხართ?!



ირმა ინაშვილის სკანდალური წერილი

გვ. 6

## ინგილოთა გოდება

დოკუმენტები და ფოტომასალა იბეჭდება პირველად

გვ. 13

## გია ხუხაშვილი: „კობა დავითაშვილი გუნდიდან უნდა წავიდეს, რადგან სერგეენკო სწორედ მისი გუნდის მიერ არჩეული მინისტრია!"



გვ. 2

## პირველი Samsung Galaxy S4 – „შენი ცხოვრების კომპანიონი" უკვე საქართველოშია!



გვ. 11

იჩქარეთ, უნიკალური სმარტფონების წინასწარი შეკვეთების კამპანია დაიწყო!

## „ბილაინის" აბონენტი კომპანიას პროკურატურაში უჩივის!

რატომ დაარღვია კომპანიამ ცარო ურბეხაშვილის უფლებები და რატომ ითხოვს ახმეტის რაიონის მკვიდრი 150 000-ლარიან კომპენსაციას, მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად?

გვ. 5

## „კავკაზ კაბელის" აზერბაიჯანელი დამფუძნებელი მენეჯერს სარწმუნოების შეცვლას სთხოვდა

გაათავისუფლეს თუ არა სამსახურიდან რელიგიურ ნიადაგზე, რატომ შეაქვს საჩივარი სასამართლოსა და პროკურატურაში და რატომ დააბრალეს უშიშროების აგენტობა გიორგი ოქრუაშვილს



გვ. 9

# „პასუხი ჩემთვის მოულოდნელი და მძიმე არ იყო!“

## რა კითხვები დაუსვეს ბიძინა ივანიშვილს ევროსაბჭოში




**23 აპრილს, სტრასბურგში, ადგილობრივი დროით 12 საათზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე სიტყვით გამოვიდა და საპარლამენტო ასამბლეის წევრების შეკითხვებს უპასუხა. ბიძინა ივანიშვილმა ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლამდე, სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ორმხრივი შეხვედრები გამართა — შეხვდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ჟან კლოდ მინიონს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტს დინ შპილმანს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს ვოიცეკ სავიცკის, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისართან ნილს მუჟნიეკს, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტს ჟანი ბუკიკიოსა და ვენეციის კომისიის მდივანს ტომას მარკერტს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიორნ იაგლანდს, ევროპის საბჭოს კონგრესის ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების გენერალურ მდივანს ანდრეას კოფერს, ევროპის ლიბერალ დემოკრატების ალიანსის პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარეს ანე ბრასორს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალისტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილეს ნატაშა ვუკოვიჩა და რუმინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ პონტას. სტრასბურგში ვიზიტის დროს დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან. ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგს 24 აპრილს დატოვებს.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლა ფრანგულ ენაზე დაიწყო და აღნიშნა, რომ პირველად აქვს პატივი, ევროპულ ინსტიტუტს პრემიერ-მინისტრის რანგში მიმართოს: **„შემთხვევით არ არის, რომ მე მივმართავ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, ვინაიდან თქვენ წარმოადგენთ ძლიერ ინსტიტუტს, რომელიც მხარს უჭერს და იცავს ჭეშმარიტ დემოკრატიას ევროპაში. თქვენ ყველაზე უკეთ იცით, რომ დემოკრატია შენდება არა საუბრით, არამედ კონსტრუქციული თანამშრომლობითა და გაძლიერებული ძალისხმევით. მე თქვენ მოგმართავთ, ვინაიდან, ჩემი აზრით, თქვენ ევროპული დემოკრატიის საუკეთესო არქიტექტორები ხართ. ვინაიდან სტრასბურგში ვარ, როგორც საფრანგეთის მოქალაქეს, არ შემეძლო, თქვენთვის ფრანგულ ენაზე არ მომემართა. გამოსვლას კი გავაგრძელებ ქართულად, რომელიც ჩემი მშობლიური ენაა“.**

საქართველოს პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა რაც შეიძლება, სწრაფად გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო: **„2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დემოკრატიული გზით ხელისუფლების გადაცემის პრეცედენტი გახდა. სწორედ ამიტომ ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას თქვენს წინაშე გამოსვლისას. კარგად ვიცი, რომ დემოკრატიული მართვის გამოცდილება გვაკლია. როდესაც შინ, ჩვენს ოპონენტებთან ვკამათობთ, მაშინ ყველაზე კარგად ჩანს, რამდენად გვაკლია პოლიტიკური დებატების გამოცდილება, რამდენად რთულია, შეწყვიტო კამათი და ენდო მეორე მხარის კეთილ ნებას. თქვენთვის ბუნებრივია, ძნელია ამის გაგება“.**

ბიძინა ივანიშვილმა ასამბლეის წევრების შეკითხვებს უპასუხა და, როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა განაცხადა, დეპუტატები ძალიან კმაყოფილები არიან, რადგან მათ დაინახეს ბიძინა ივანიშვილის გახსნილობა, რაც სახელმწიფო მეთაურებს ხშირად არ ახასიათებთ ხოლმე: **„ძალიან იშვიათად ხდება, ევროპის საბჭოში ამდენმა კაცმა მოასწროს კითხვის დასმა. ეს აჩვენებს ჩვენი ხელისუფლების გახსნილობას, რომ პრემიერს არ აქვს პრობლემა, ნებისმიერ კითხვას უპასუხოს. მიზანს მივაღწიეთ – სავარაუდოდ, ყველა შეკითხვა დაისვა. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ!“**

საპარლამენტო ასამბლეის წევრები, ძირითადად, საქართველოში მიმდინარე კოჰაბიტაციის პროცესით, რუსეთთან ურთიერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მექანიზმებით, ასევე ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხით დაინტერესდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ კითხვად კვლავ სახალხო პარტიის სახელითა და 23 პარლამენტარის ხელმოწერით გაკეთებული განცხადება დაფიქსირდა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა „ტყუილი და სასირცხვილო“ უწოდა. ამჯერად ოპონენტებს აინტერესებდათ, როგორი პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით პრემიერს, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: **„ევროპარლამენტარების ზოგიერთი გამონათქვამი ძალიან ხშირად ეფუძნებოდა ცალმხრივ ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებდნენ ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები. მე ძალიან კარგად ვიცი, რატომ ვრცელდებოდა და რა პიარმანქანა მუშაობდა. მე სტრასბურგში ბევრ წარმომადგენელს შევხვდი და ვიცი მათი პოზიცია. იმედი მაქვს, თანამშრომლობა აღარ იქნება ცალმხრივი და ჩვენ შევძლებთ, კონსტრუქციულად ვითანამშრომლოთ, რათა მსგავსი გაუგებრობები არ მოხდეს!“**

ყველაზე მეტი კითხვა კოჰაბიტაციის პროცესსა და პოლიტიკური ოპონენტების დევნისა და უფლებების დარღვევას ეხებოდა, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა დეპუტატებს სთხოვა, ნუ აურევენ ერთმანეთში კოჰაბიტაციას და სამართლიანობის აღდგენას: **„ჩვენ ვახერხებთ თანაარსებობას ყოფილ ხელისუფლებასთან. ორივე მხარემ, პოზიციამაც და ოპოზიციამაც კინკლაობისა და ჩხუბის მაგივრად, უნდა მოვახერხოთ ერთად დგომა, რადგან ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და არ გვაქვს ერთმანეთში საქმის გარჩევის დრო და მაქსიმალურად საერთო ძალისხმევით უნდა მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის სწორი გზით წაყვანა. თუმცა კოჰაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა სხვადასხვა რამაა და არ უნდა მოხდეს პოლიტიკისა და სამართლიანობის ერთმანეთში არევა. ძალიან ხშირად ამ ტერმინებს ერთმანეთში ურევენ, რაც იწვევს გაუგებრობას!“**

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საქართველო შეეცდება, კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი, დიპლომატიური, კორექტული გზებით მოაგვაროს, დაარწმუნოს რუსეთი, რომ ამ რეჟიმში ურთიერთობა პრობლემებს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დიდი საფრთხეა რუსეთის ეროვნული ინტერესებისთვისაც. აქვე დეპუტატმა პუშკოვმა იკითხა, რამდენად მისაღებია თქვენთვის აფხაზეთისა და ოსეთის წარმომადგენელს მივცეთ საშუალება, მათი ხმა მოვისმინოთ ევროსაბჭოში ისევე, როგორც კოსოვოს ჰყავს 2 წარმომადგენელიო, რაზეც საქართველოს პრემიერმა განაცხადა: **„აფხაზეთი და ოსეთი საქართველოს ნაწილია, ოსებსაც და აფხაზებსაც ჩვენს დელეგაციებთან ერთად ექნებათ საშუალება, მიიღონ ჩვენს მუშაობაში მონაწილეობა... ძალიან გთხოვთ, კოსოვოსთან ამას ნუ გავაიგივებთ!“** საინტერესო ფორმულირება ჰქონდა პოლონელი დეპუტატის კითხვას: **„პოლონეთის პრეზიდენტს ლეხ კაჩინსკის უყვარდა საქართველო და დაუდგა მხარში. თქვენ არ გიყვართ თქვენი პრეზიდენტი სააკაშვილი, მაგრამ გიყვართ პუტინი. ფიქრობთ თუ არა, რომ პუტინი არის პასუხისმგებელი იმაზე, რაც 2008 წელს მოხდა საქართველოში?“** ამის პასუხად საქართველოს პრემიერმა განაცხადა, რომ პოლიტიკა არ უნდა იყოს პიროვნებების სიყვარულზე აგებული: **„მადლობელი ვარ, კაჩინსკისა და პოლონეთის, რომელიც გვერდით დაგვიდგა, მე დღესაც ვწუხვარ, რაც მოხდა. რაც შეეხება სააკაშვილის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობას, მას აქვს თავისი შეცდომები ამ პროცესში და რომ არა მისი შეცდომები, რუსეთი ვერ შეძლებდა გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა. ჩვენ, პირველ რიგში, საკუთარ მთავრობას უნდა მოვთხოვოთ პასუხი იმ შეცდომებზე და მოვთხოვთ კიდეც. რაც შეეხება გვარებს, ვცდილობ, კორექტული ვიყო და ამიტომაც სააკაშვილის რიტორიკაში არ გამოგყვებით. სააკაშვილის ამ რიტორიკით მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. დღეს ვცდილობთ, დიპლომატიურად გავასწოროთ ის შეცდომები.“**

თავად ბიძინა ივანიშვილმა კი ევროპელი დეპუტატების კითხვები ასე შეაფასა: **„არაფერი ახალი არ ყოფილა, შესაბამისად, პასუხი ჩემთვის მოულოდნელი და მძიმე არ იყო. მარტივად ვუპასუხე ყველა კითხვას!“** მისივე თქმით, დეპუტატები კარგად იყვნენ მომზადებული, თუმცა მათ დასვეს კითხვები, რომელიც ქართულ საზოგადოებაშიც არსებობს და აქვე ევროსაბჭოს უკანასკნელ დადგენილებაზეც ისაუბრა, რომელშიც საქართველოს ახალი მთავრობა გაკრიტიკებულია კერძო ტელევიზიის შევიწროებისთვის: **„ევროსაბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ ჩვენ კერძო ტელევიზია „იმედი“ დავაყაჩაღეთ. ვინ მიაწოდა მათ ეს ინფორმაცია? - წინა ხელისუფლებამ. სინამდვილეში, ყველას ახსოვს რა მოხდა „იმედში“, როგორ შეიჭრნენ, როგორ წაართვა სააკაშვილმა ის მფლობელს და როგორ იყენებდა ამას მთავრობა, ვიდრე ჩვენ არ მოვედით. ის დღეს მფლობელს დაუბრუნდა. წინა ხელისუფლებამ მოახერხა ცრუ ინფორმაციის შეტანა ევროსაბჭოში და გამოქვეყნდა ასეთი დადგენილება, რომ კერძო ტელევიზია შევავიწროვეთ. ამ დროს მოხდა პირიქით. ეს არის წინა ხელისუფლების ხელწერა, მაგრამ ესეც დასრულდება“.**

*„ვერსიანიუსი“*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**დავითაშვილ-სერგეენკოს კონფლიქტში ჩარევა ექსპერტმა და პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმაც საჭიროდ ჩათვალა. ბრიფინგზე, რომელიც მხოლოდ ამ თემას მიეძღვნა, ხუხაშვილმა კიდევ ერთი საქმიანობის შეთავსების შესახებ საჯაროდ განაცხადა — სავარაუდოდ, 29 აპრილს „ტელეიმედის“ ეთერში სწორედ მის საავტორო, პოლიტიკურ გადაცემას ვიხილავთ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაცემის მომზადება 29 აპრილს ვერ მოესწრება, იგი დღის სინათლეს 6 მაისს იხილავს. რაც შეეხება ბრიფინგის მთავარ თემას, გია ხუხაშვილმა გადაჭრით განაცხადა: „ვიცოდი, ადრე თუ გვიან, კობა დავითაშვილი გუნდს გაემიჯნებოდა, რადგან იგი ინდივიდუალისტი პოლიტიკოსია და არა — გუნდური მოთამაშე. ამ სიტუაციის განვითარების ორი სცენარი არსებობს: დავითაშვილი ან დასაბუთებულ არგუმენტებს დაასახელებს და საჭირო განმარტებებს გააკეთებს, ანდა მოხდება გუნდიდან ამ დეპუტატის დისტანცირება, რაც სავსებით მოსალოდნელია. თუ დეპუტატი დარჩება იმ აზრზე, რომ ჯანდაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო კორუმპირებულია, მაშინ ის გუნდიდან უნდა წავიდეს, რადგან ეს მინისტრი სწორედ მისი გუნდის მიერაა დამტკიცებული! მაკვირვებს ის ფაქტი, რომ ერთი მხრივ, დავითაშვილი კვლავ ამტკიცებს, სერგეენკო კორუმპირებულიაო და მეორე მხრივ, რადიკალურ ნაბიჯებსაც არ დგამს. უბრალოდ, მე ის მწყინს, რომ დეპუტატმა სერგეენკოს დაუმსახურებელი ბრალდებები წაუყენა“.**

**ბრიფინგის შემდეგ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა „ვერსიის“ რამდენიმე კითხვასაც უპასუხა:**

## „კობა დავითაშვილი გუნდიდან უნდა წავიდეს, რადგან სერგეენკო სწორედ მისი გუნდის მიერ არჩეული მინისტრია!“



— შესაძლოა, იყო რაღაც პრეტენზიები, კომუნიკაციის არარსებობა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, მაგრამ ეს არ ქმნის ასეთი მძიმე ბრალდებების წაყენების საფუძველს. ხანდახან მეც ასეთ ბრალდებებს მიყენებენ, ზოგჯერ, მოთმინების ზღვართან მივდივარ ხოლმე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ვინმეს დაუმსახურებელი კონტრბრალდება წავუყენო. ყველანი ადამიანები ვართ, ემოციები გვაქვს, მაგრამ ეს ემოციები ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებზე წინ არ უნდა დავაყენოთ. ალბათ, დავითაშვილს მეტი მტკიცებულების წარმოდგენა დასჭირდება. ეს ისეთი ბრალდებაა, კობას მხრიდან, უკვე ბევრ ფუნდამენტურ პრინციპს არღვევს.

**— მანამდე დაიბლოკა დავითაშვილის ინიციატივა ანტიმონოპოლიური კანონის შესახებ, მეორე ინიციატივამ ჯანდაცვის კომიტეტიდანაც ვერ გამოაღწია, ახლახან, თეა წულუკიანის საქართველოში არყოფნის გამო, გაუფრთხილებლად გადაიდო პროკურატურის გამოყოფის შესახებ მისი ინიციატივის განხილვა და ეს მიდგომა მის მიმართ სამართლიანია?**

— კობას არ ვამტყუნებ, იგი საკმაოდ კვალიფიციური პოლიტიკოსია. შესაძლოა, გუნდში რაღაც პრობლემებია, მაგრამ ეს უკვე ღრმა ანალიზის თემაა. დღეს ვამბობ მხოლოდ ერთს: კრიტიკაც შეიძლება და უკმაყოფილებაც, მაგრამ დავითაშვილის ბრალდებაა ძალიან მძიმე. მხოლოდ ეს მომენტია ჩემთვის მიუღებელი! მე, პირადად, პრაქტიკულად გამოვრიცხავ სერგეენკოს მხრიდან რაიმე კორუფციულ გარიგებას. საკმარისია, მას შეხედოთ და ამას მიხვდებით.

**— ანდრია ურუშაძეს რას უწუნებდით სახეზე?**

— მისი სახე არ მახსოვს, სიმართლე გითხრათ.

**— ბევრი ამბობს, რომ ივანიშვილი, საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავითაშვილს გუნდიდან გარიცხავს — ეს რეალურად მიგაჩნიათ?**

— ძნელია პროგნოზების კეთება. ნებისმიერ შემთხვევაში, კობა დავითაშვილი ერთი დეპუტატია და, მგონი, მას რაღაც პარტია აქვს, რომელიც ერთკაციანია, რამდენადაც ვიცი. ვადასტურებ ჩემს პატივისცემას მის მიმართ, მაგრამ მას ასეთი ხასიათი აქვს.

# „ივანიშვილმა, სააკაშვილის დახმარების გარეშე, უნდა დაითხოვოს მთავრობა და შექმნას ანტიკრიზისული ჯგუფი!“



## რა ინიციატივებით მიმართავს პრემიერ-მინისტრს ნესტან კირთაძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ბრიუსელიდან ახლახან დაბრუნებული ქართულ-ოსური საერთაშორისო მოძრაობის პრეზიდენტი ნესტან კირთაძე „ვერსიისთვის“ მიმდინარე მოვლენების ანალიზს აკეთებს და, როგორც თავად აცხადებს, იმ ტენდენციების შესახებ საუბრობს, რასაც ქართულ პოლიტიკას დღეს ევროპა ღიად კარნახობს, ხოლო ბიძინა ივანიშვილს მთავრობის დათხოვნისა და ანტიკრიზისული ჯგუფის სასწრაფოდ მოწვევის ინიციატივით მიმართავს: „სოციალური სამართლიანობის აღდგენა ყველაზე მთავარი გამოწვევაა, ან პასუხობ ამ გამოწვევას ან არადა, მას ხალხი უპასუხებს!“**

— მოდი, ხალხსაც და საკუთარ თავსაც სიმართლე ვუთხრათ — ნაციონალური მოძრაობის დაარსებასა და პიარში უზარმაზარი როლი ევროპისა და შტატების ინსტიტუტებს, პიარკამპანიებს, პარტიებს მიუძღვის. მასში უზარმაზარი ინვესტიციები ჩაიდო და არც ერთი დამფინანსებლისთვის არაა სულ ერთი, რა იქნება ამ პარტიის ბედი, ამიტომ 19 აპრილი თუ 27 მაისი, მხოლოდ ნაციონალი ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის — მინიმუმ, პიარტექნოლოგებთან გავლილი სცენარია. ასეა თუ ისე,

**19 აპრილს, თბილისის მთავარი გამზირი ძველმა ხელისუფლებამ დაიკავა, რითაც საერთაშორისო საზოგადოებას მხოლოდ სიგნალი კი არ გაუგზავნა — ჰოპლა, ცოცხლები ვართო, არამედ უთხრა, რომ ის კვლავ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადება! თუმცა აქციის მესვეურებთან შენიშვნა მაქვს: მიტინგისთვის, რა თქმა უნდა, დამახასიათებელია ემოციები, გამხნევება, ყიჟინა და სიყვარულის ახსნა, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუკი სპიკერები შემთხვევით ისარგებლებდნენ და ქართველი ერის წინაშე ბოდიშს, თუნდაც ერთი შიმშილითმკვდარი ბავშვის ან მშიერი მოხუცისთვის მოიხდიდნენ. სამწუხაროდ, საამისოდ ძალა არ ეყოთ. ერთი-ორჯერ კი გაისმა, შეცდომები დავუშვითო, მაგრამ ამ შეცდომებისთვის ქართველმა ხალხმა ძალიან ძვირი გადაიხადა!**

— **აქციამდე თავად ნაციონალებშიც იყო პოლიტიკური ქარტეხილი — დათა ახალაიას წერილი და მერე სააკაშვილ-მერაბიშვილის განცხადებები ამ წერილზე, გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, ახალაიები ახალ პარტიას ქმნიან, ამან რა შეიძლება შეცვალოს ნაციონალურ მოძრაობაში?**

— ნაციონალებში ხდება ის, რაც ყველა ცოცხალ ორგანიზმში, ამიტომ ვერ ვიტყვით, თითქოს პარტიას პრობლემები ახლა გაუჩნდა, ან თითქოს, პერსონების გამოყოფა მათთვის დიდ პრობლემას ნიშნავს. შეგახსენებთ, 2003 წლის მერე ნაციონალებს დამფუძნებლების საკმაო ნაწილი გამოეყო — რესპუბლიკური პარტია, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და ა.შ. ამის მერეც კი, პარტიას რყევები არ განუცდია, ამიტომ ის, რაც ახლა ხდება, არაფერს ნიშნავს, რადგან ამ პარტიამ ისედაც გამოაჩინა რამდენიმე ლიდერი. თუმცა ევროპასა და შტატებში ხშირად მომისმენია საუბრები, რომ დიდი ხანია, ეძებენ სააკაშვილის ალტერნატივას, მაგრამ მეორე ასეთი ქარიზმატული ლიდერი ვერ იპოვეს. ალბათ, ნაციონალებშიც არის რაღაც წინააღმდეგობები, დაჯგუფებები და რატომაც არა, ბევრს უნდა, გენერლის მუნდირი მოირგოს, მაგრამ ესეც ცოცხალი პროცესია, რამაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოაჩინა: ნაციონალები შესანიშნავად თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან, რაც მათ, მინიმუმ, პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების საშუალებას, მაქსიმუმ, თავად პრემიერის მფარველობას აძლევთ. ამ აქციამ კარგად გამოაჩინა, რა შესანიშნავად თანამშრომლობს ორი, ძალიან პერსონალური ლიდერი. კოჰაბიტაციის რეჟიმმა, რაც იძულებით პოლიტიკურ თანამშრომლობას გულისხმობს, ამ ორ ძალას სინქრონული და სასიამოვნო თანამშრომლობა დააწყებინა.

— **მერე, ეს კარგია თუ ცუდი?**

— ამის შემფასებელი უნდა იყოს და არის კიდეც ხალხი. ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობა, შიმშილობა და მასობრივი სიღატაკეა. არ შეიქმნა ანტიმონოპოლიური არც კანონი და არც სამსახური. თუ ისეთივე მონოპოლია გრძელდება ბიზნესზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალ ბიზნესმენებს „ოცნების“ ბიზნესმენებით, მათი ოჯახებითა და ახლობლებით ვანაცვლებთ,

**ამიტომ კითხვა მიჩნდება — ვითარების შესაცვლელად, კიდევ რა უნდა გააკეთოს ჩვენმა მოსახლეობამ, რომელიც ჯერ ქუჩაში ყველა ლიდერს გაჰყვა, მერე არჩევნებზე ქუდზე კაცს მოუხმო და ხელისუფლება შეცვალა? არ მესმის სიხარბისა და გაუმაძღრობის ხარისხი, რასაც დღეს ახალი ხელისუფლების მინისტრები, პარლამენტარები და მათი ოჯახის წევრები ავლენენ! მხოლოდ საკუთარ ნათესავებს ასაქმებენ საუკეთესო ადგილებზე, როცა ჩემს ოჯახში, სადაც ყველა მეორე ასპირანტურადამთავრებულია, ყველა უმუშევარია, ამიტომ პოლიტიკა პოლიტიკაა, ეს კი — რეალობა! შესაბამისად, ვერც ნაციონალების გარდაცვალებაზე ვილაპარაკებთ, რადგან მოსახლეობის 40%-მა მათ მხარი დაუჭირა და ეს არავის გაუპროტესტებია! თუ რომელიმე ლიდერი ამის შესახებ ლაპარაკობს, ეს ცარიელი სიტყვებია!**

— **ამის შესახებ საუბრობს დავით საგანელიძე, ლევან ბერძენიშვილის თქმით, მკვდრებმა ცოცხალი კედელი აღმართეს, სოსო ჯაჭვლიანმა მათ პოლიტიკურ გარდაცვალებას ლექსიც მიუძღვნა და ეს ხალხი თავს იტყუებს?**

— თავს კი არ იტყუებენ, ხალხს ატყუებენ. რაკი ვერანაირი ცვლილება ვერ განახორციელეს, ახლა ამ მკვეთრი განცხადებებითა და ტინგიცით სურთ დაგვაჯერონ, ნაციონალებთან ერთსულ და ერთხორც კი არა, გამიჯნულები ვართო. ეს იაფფასიანი ფანდია! ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ახლა იმაზე დაუცველია, რადგან აქამდე ოპოზიციის იმედად, ქუჩაში მაინც გამოდიოდა!

— **ახლა ვინც ქუჩაში გამოვა, ის ავტომატურად, ნაციონალების გვერდით აღმოჩნდება, რაც ყველაზე ირონიულია!**

— ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ მინდა ვუთხრა — დღეს მისი ყველაზე დიდი გამოწვევა სოციალური სამართლიანობის აღდგენაა! როცა ხელს ბრძანებას აწერს და მინისტრების ხელფასებს ზრდის, ან როცა ახალ-ახალ პრემიებს უწერს კანცელარიის თანამშრომლებს, აუცილებლად გამოიხედოს სასახლის კარიდან!

**პირდაპირ ვამბობ, ივანიშვილმა სასწრაფოდ უნდა მოიწვიოს თავისი ეკონომიკური ბლოკი და დადოს არა ისეთივე მარქსიზმ-ლენინიზმის თხზულება, როგორიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჰქონდა, არამედ რეალური ანტიკრიზისული პროგრამა! თუ არადა, სააკაშვილის დახმარების გარეშე, დაითხოვოს მთავრობა და შექმნას პროგრამული ანტიკრისიზული ჯგუფი!**

*დასასრული მე-4 გვერდზე*



## ევროპელი და ამერიკელი ექსპერტები ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების დელეგაცია ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები: მარშალის ფონდის პრეზიდენტი ქრეგ კენედი, ბოშის ფონდის უფროსი მრჩეველი, ყოფილი ელჩი დიტერ ბოდენი და სხვა მაღალი რანგის სტუმრები შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, ასოცირების ხელშეკრულებისა და ვიზა ლიბერალიზაციის პროცესთან დაკავშირებული აქტუალური თემები. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაციის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე.

ვიზიტი ორგანიზებულია ამერიკის შეერთებული შტატების გერმანული მარშალის ფონდისა (The German Marshall Fund of the United States) და რობერტ ბოშის ფონდის (Robert Bosch Stiftung) მიერ და მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ერთმანეთთან დაახლოებასა და მათი განვითარების სტრატეგიების ხელშეწყობას.

*„ვერსიანიუსი“*




## კაზინო „შანგრილას“ ტერიტორიაზე ნარკოდამნაშავეები დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 1989 წელს დაბადებული ირაკლი ღ. და 1984 წელს დაბადებული ლევან ვ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ბრალდებულები კაზინო „შანგრილას“ ტერიტორიაზე დააკავეს. ლევან ვ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 205 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ ამოიღეს. ირაკლი ღ-ს პირადი ჩხრეკისას კი 15 აბი იგივე ნარკოტიკული საშუალება, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ორივე ბრალდებული, დაკავების მომენტში, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ირაკლი ღ-ს მიმართ საქართველოს სსკ ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა) და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა), ხოლო ლევან ვ-ს მიმართ 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა) „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. გამოძიებას თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველო აწარმოებს.

*„ვერსიანიუსი“*

## საზოგადოება

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

**შპს „სითი პარკის“ ევაკუაციის სამსახურის ყველა თანამშრომელი გაფიცულია. ისინი ხელმძღვანელობას არაადამიანურ მოპყრობასა და კაბალური ხელშეკრულების პირობების იძულებით შესრულებაში ადანაშაულებენ. ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი აცხადებს, რომ „სითი პარკი“, საქმიანობის დაწყებიდან დღემდე, ყველა დაჯარიმებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დარღვევით ახორციელებს.**

# „სითი პარკი“ წელიწადში 25 848 500 ლარის ჯარიმას უკანონოდ ახორციელებს

**„შპს „სითი პარკი“ დანაშაულებრივად, საკუთარი სურვილისამებრ, ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კვოტას. შპს-ს მიერ საევაკუაციოდ დადგენილ 70-ლარიან ჯარიმას ქართული საკანონმდებლო სივრცე არ იცნობს, ეს კანონში არსად წერია და „სითი პარკის“ მიერ კანონდარღვევითაა დადგენილი“,** — აცხადებს ადვოკატი.

ადვოკატი შპს-სა და თბილისის მერიის საეჭვო ურთიერთობებზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც „სითი პარკის“, ებრაული წარმოშობის მფლობელმა დავით ფილამ თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და საქმიანობას უკანონოდ ეწევა. მისივე თქმით, რომ არა მერიის მხარდაჭერა, „სითი პარკი“ ვერ მოახერხებდა გაჩერების ამკრძალავი ნიშნების ისეთ ადგილებში დადგმას, სადაც მიზანშეწონილი არ არის. მარიამ კუბლაშვილი კომპანიის შემოსავლების დაახლოებით ოდენობასაც ასაჯაროებს და აცხადებს, რომ 50 ფეხით მოსიარულე ინსპექტორის მიერ 10-ლარიანი ჯარიმის გამოწერის შემთხვევაში, მხოლოდ ერთი თანამშრომლის მეშვეობით მიღებული შემოსავალი წელიწადში 3 832 500 ლარს შეადგენს. მთელი წლის განმავლობაში, „სითი პარკის“ მხოლოდ ჯარიმებით მიღებული შემოსავალი კი 25 848 500 ლარია.

როგორც თანამშრომლები გვიამბობენ, დარღვევის არარსებობის მიუხედავად, ხელმძღვანელობა ყველა მათგანს, დღეში 8 ავტომობილის ევაკუაციას სთხოვდა, რომლის საჯარიმო თანხის ოდენობა 70 ლარია. გეგმის არშესრულების შემთხვევაში კი, სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ. ფირმის ხელმძღვანელობამ დაჯარიმებული მანქანების სავალდებულო რაოდენობა თანამშრომლის კონტრაქტის პირობებში შეიტანა, თუმცა არც ერთ თანამშრომელს კონტრაქტის ასლი არ აქვს და მათზე ხელი მხოლოდ „სითი პარკის“ ხელმძღვანელობას მიუწვდება. დღეისთვის, ევაკუაციის სამსახურის ყველა თანამშრომელი გაფიცულია და ხელშეკრულების პირობების შეცვლას ითხოვს. შპს-ს თანამშრომელი დავით ჯაბაშვილი ყვება, რომ ყველა დაჯარიმებული ავტომობილიდან ინსპექტორის ანაზღაურება 4 ლარია.

**„ეს სამსახური ქალაქში მოძრაობის დასარეგულირებლად უნდა შექმნილიყო. რეალურად კი, ფულის კეთების კარგი საშუალება აღმოჩნდა. ჯარიმების მეშვეობით მიღებული თანხა, წელიწადში ათობით მილიონს აღწევს, თანამშრომლის ანაზღაურება კი მიზერულია, ფეხით მოსიარულე ინსპექტორი 350, ევაკუაციის სამსახურის მძღოლი კი 500 ლარს იღებს“,** — აცხადებს დავით ჯაბაშვილი.

# შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი ორი მოქალაქე დააკავა







შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნაში მყოფი ორი მოქალაქე: ელგუჯა ხუდაშვილი და გულშატ საფაროვა დააკავა. შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის შეაჩერეს ისრაელის მოქალაქე, 1961 წელს დაბადებული ელგუჯა ხუდაშვილი.

აღნიშნული პიროვნება პარიზის ინტერპოლის მიერ 2008 წლიდან იძებნებოდა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 441-6-ე, 441-10-ე, 441-11-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, აგრეთვე საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონისა და საბაჟოს შესახებ კანონის დარღვევისთვის (კონტრაბანდული საქონლის ფლობა და იმპორტი, აკრძალული, არადეკლარირებული საქონლის იმპორტი, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად ყალბი სავაჭრო მარკის საქონლის ფლობა, იმპორტი და გაყიდვა).

სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას დაკავებულია აშხაბადის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში მყოფი თურქმენეთის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული გულშატ საფაროვა.

აღნიშნულ პიროვნებაზე აშხაბადის ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნა 2013 წლის 28 მარტს გამოცხადდა. მას ბრალად ედება თურქმენეთის სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე, 141-ე და 142-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს პროსტიტუციაში ჩაბმას, სუტენიორობას და პროსტიტუციაში შუამავლობას. მან თურქმენეთის მოქალაქე ორი გოგონა თურქეთში ჩაიყვანა, სადაც ისინი ჩააბეს პროსტიტუციაში და აიძულებდნენ, სექსუალური მომსახურება გაეწიათ თურქი ეროვნების მამაკაცებისთვის, გამომუშავებულ თანხებს კი საკუთარი მიზნებისთვის ითვისებდა. ორივე დაკავებული გადაყვანილია დროებითი დაკავების იზოლატორში. ამჟამად მათ მიმართ მიმდინარეობს საექსტრადიციო პროცედურები.

***„ვერსიანიუსი“***

## პოლიტიკა

# „190-ვე პატიმარი ნაძალადევში მაჟორიტარობის ერთსა და იმავე კანდიდატს მხარს არ დაუჭერს“

### რატომ ვერ გაიყვეს ყოფილი პოლიტპატიმრების ხმები ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატებმა?



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**შუალედური არჩევნები მოახლოვდა და როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკურმა ინტრიგებმაც იმატა. ყურადღების ცენტრში, ცხადია, ნაძალადევის ოლქია, სადაც კენჭს ყველაზე მეტი ცნობადი სახე იყრის. ყოფილი პოლიტპატიმრების სიმპათიები კი რამდენიმე კანდიდატზე გადანაწილდა: ნაწილი მხარს „ოცნების“ წარმომადგენელ თამარ კორძაიას უჭერს, ნაწილი — „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკურ მდივანს სოსო მანჯავიძეს, ნაწილი კი — „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას. როგორც ჩანს, სხვადასხვა სეგმენტებად დანაწილებული პოლიტპატიმრები ამ თემამ თავად შეაწუხა და სპეციალური ბრიფინგი ჩაატარეს. ყოფილმა პოლიტპატიმარმა მასმედიას განუცხადა, დღეს მე ვარ მედიატორი თქვენსა და პოლიტპატიმრებს შორისო და საარჩევნო ციებ-ცხელების თემაზე განმარტება გააკეთა, რის შემდეგ „ვერსიის“ კითხვასაც უპასუხა:**

**მელორ ვაჩნაძე:** „ამ დღეებში სხვადასხვა პოლიტპატიმრების მხრიდან სხვადასხვა კანდიდატების მხარდამჭერი განცხადებები გაკეთდა. ზოგი მხარს უჭერს „ოცნების“ კანდიდატს, რადგან ჩვენ, ყველანი სწორედ ქართულმა ოცნებამ გამოგვიყვანა ციხიდან. ზოგი — კახა კუკავას, ზოგიც სოსო მანჯავიძეს. სოსო მანჯავიძე ჩემი მეგობარია, მაგრამ სამწუხაროდ, სწორედ ის ამბობდა, პოლიტპატიმრები მხარს მე მიჭერენო. საერთოდ, თავად კანდიდატებს უნდა ჰკითხოთ, რატომ საუბრობენ ჩვენი სახელით, თუმცა ფაქტი ერთია: შუალედურ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან მიმართებაში ყოფილ პოლიტპატიმრებს ერთობლივი პოზიცია არ გვაქვს. ცალკეული ჩვენგანი რა განცხადებას გააკეთებს, ეს მხოლოდ მისი პირადი საქმეა, მაგრამ, ჩვენ არ გვაქვს შეთანხმებული პოზიცია. სხვადასხვა მხრიდან გაკეთებული განცხადებები საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. რეალურად, ჩვენ ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს, ამ თემაზე ერთი კონკრეტული შეკრება არ ყოფილა და არც არანაირი გადაწყვეტილება მიგვიღია. არ ყოფილა შემთხვევა, 190-ვე პატიმარს რომელიმე კანდიდატისთვის გამოგვეცხადებინოს სრული თანადგომა. უბრალოდ, არასწორია, როცა რამდენიმე პირის მიერ მთელი გუნდის სახელით კეთდება განცხადება. ამიტომაც გახდა საჭირო დამატებითი განმარტებების გაკეთება.

— **თუ პოლიტპატიმრები იმაზე ვერ შეთანხმებულხართ, მაჟორიტარობის რომელ კანდიდატს დაუჭიროთ მხარი, პარტიის დაფუძნებას საერთოდ როგორ აპირებთ, იდეური თანხვედრის გარეშე?**

— ახლა, ერთ აზრზე, ხშირად ოჯახის წევრებიც არ არიან, მით უმეტეს, ჩვენი შემთხვევა არ უნდა იყოს გასაკვირი. პარტიის ჩამოყალიბებას რაც შეეხება, ეს სამომავლო თემაა. ამ კითხვაზე დღეს ეს პასუხი მაქვს — ჩვენ, პოლიტპატიმრებს მხოლოდ სამშობლოს სიყვარული გვაერთიანებს.

**ბრიფინგის ბოლოს მელორ ვაჩნაძემ თავად დასვა კითხვა პოლიტპატიმრების მიერ პარტიის შექმნის შესახებ. როგორც ჩანს, მისთვის ამის შესახებ იდეის ინიციატორებს არაფერი შეუტყობინებიათ, არადა, უკვე პარტიის სავარაუდო სახელიც ცნობილია — „პოლიტპატიმართა ლიგა“!**

## ოპოზიცია

# „ივანიშვილმა, სააკაშვილის დახმარების გარეშე, უნდა დაითხოვოს მთავრობა და შექმნას ანტიკრიზისული ჯგუფი!“

*მე-3 გვერდიდან*

ქვეყანა ღრმა კრიზისის მიღმაა, ამ დროს კი, ნოდარ ხადური სისხლის სამართლის დამნაშავე გია ხუბუას რეინკარნაციითაა დაკავებული! ცამდე მართალი იყო ნაციონალური მოძრაობა, როცა „ოცნებას“ ეუბნებოდა, პირველი კვარტლის ბიუჯეტს ვერ ასრულებ და ჩავარდნა გექნებაო. ხადურმა და ამ მთავრობამ უკანონო გადაწყვეტილება მიიღეს და შაბათკვირას კერძო ბანკები ამუშავეს, რათა ბიუჯეტის პირველი კვარტლის სტატისტიკა ხელოვნურად გაესწორებინათ. ამ უკანონობას კი ხელს მხოლოდ ხადური ვერ მოაწერდა. იცით, ამ დღეებში არჩილ კბილაშვილის კადრები რით იყვნენ დაკავებულნი? პროკურატურა ინდმეწარმეებს ავალებდა, ბიუჯეტისთვის ამდენი და ამდენი გვჭირდებაო და მილიონზე ნაკლები არავისგან აუღიათ! ახლა მაინტერესებს, რა განსხვავებაა მაშინდელ და ახლანდელ პროკურატურას შორის?!

— **ამასობაში, ვანო მერაბიშვილმა საინტერესო პოლიტიკური მესიჯი გაუშვა „ოცნების“ მისამართით, რასაც თავად ხელისუფლება სერიოზულად არ უყურებს — 4 წელი თქვენ ვერ დაგელოდებითო. ეს რას ნიშნავს?**

— თეორიულადაც ვერ დავუშვებ ახალ რევოლუციას. მეტიც, 19 აპრილს აქციაზე ხმამაღალი შეძახილები გაისმა, ივანიშვილს ევროპა არ უნდა, ევროპა ჩვენ გვინდაო. გამოდის მერე კობახიძის ქალი და ამბობს, ჩვენც გვინდა ევროპა, როგორ არაო. ეს რა საბავშვო ბაღია, რა პროცესი მიდის 21-ე საუკუნეში? თუ თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი არ ეუბნება პრემიერს, მაშინ ივანიშვილს „ვერსია“ შეუტანონ და აქ წაიკითხოს: როცა აღმოსავლეთის პარტნიორობის შუალედური დასკვნა დაიდო, სადაც საქართველო და მოლდოვა, წყვილში, წარმატებულ ქვეყანათა რიცხვში გაიყვანეს, იქვე იყო დათქმა: ეს არის პირველი ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობის მიერ მიღებული შედეგი, ევროპა კი გამადიდებელი შუშით, ყოველდღიურ რეჟიმში, თვალყურს მიადევნებს, შესრულდა თუ არა ის ვალდებულებები, რაც საკუთარ თავზე ახალმა მთავრობამ აიღოო, ამიტომ ახლა ერთმანეთისთვის „მედასავლეთესა“ და „პრორუსის“ წამოძახება სერიოზული პროვინციალიზმია!

— **ბოლო მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა თეორია — მერაბიშვილი, „ოცნებასთან“ შეთანხმებით, შესაძლოა, მომავალ პრეზიდენტად ვიხილოთ, ეს თქვენთვის რეალურია?**

— გეტყვით, მე როგორ წარმომიდგენია საპრეზიდენტო არჩევნები. ჯერ ერთი, უკვე უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან გამოკვეთილი საპრეზიდენტო კანდიდატები. ჩემი ინფორმაციით, „ოცნების“ სავარაუდო კანდიდატია კახი კალაძე, რადგან ის ივანიშვილისთვის ყველაზე მისაღები ფიგურაა. ალბათ, ნაციონალური მოძრაობა ამერიკული პრაიმერის ყველა ფორმას ზედმიწევნით შეასრულებს. ეს უნდა იყოს სამაგალითო ჩვენება და ამერიკელი ტექნოლოგები ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ, რათა ხალხს ეს პროცესი აჩვენონ. საერთოდ, ვფიქრობ, ეს ყველა პარტიამ ასე უნდა გააკეთოს და ერთპიროვნული გადაწყვეტილება არავინ უნდა მიიღოს. იმის მიუხედავად, რომ როლები შეიცვალა და პრემიერ-მინისტრი დამატებითი უფლებებით აღიჭურვა, ხალხმა არ უნდა იფიქროს, რომ პრეზიდენტის პოსტი მეორეხარისხოვანია. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ პრეზიდენტი ირჩევა საერთო-სახალხო არჩევნებით და კიდევ — მას აქვს ანტიკრიზისული ბერკეტები, შესაბამისად, პრეზიდენტი მაინც მნიშვნელოვან ფიგურად რჩება. თან შესაძლოა, ხვალ პარლამენტში ახალი უმრავლესობა გადათამაშდეს. ვიცი, ნინო ბურჯანაძეს სურს, თავი პრეზიდენტობის კანდიდატად დააყენოს, არიან სხვა მსურველებიც. უბრალოდ, ფაქტია, ეს არ გასცდება სურვილსა და ორთვიან სატელევიზიო კამპანიას, რადგან რეალურად, ორ — „ოცნებისა“ და ნაციონალების კანდიდატს შორის წავა ბრძოლა. რაც შეეხება ამ გარიგებებს, რაც უნდა მოხდეს, ისეთი გულუბრყვილო არ ვარ, დავიჯერო, თითქოს ლიდერები სხედან და თავიანთი პარტიების შტაბბინებში თხზავენ ამ გეგმებს!

# „ბილაინის“ აბონენტი კომპანიას პროკურატურაში უჩივის!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ახმეტის რაიონის სოფელ ხოდაშენში მცხოვრები ცარო ურბეხაშვილი, კომპანია „ბილაინს“ იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურაში უჩივის. 2011 წლის 19 ივნისს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში, „ბილაინის“ წამახალისებელი გათამაშება შედგა, რომლის დროსაც, დოლურიდან ცარო ურბეხაშვილის ნომერი ამოიღეს, გათამაშებიდან დაურეკეს და გამარჯვება მიულოცეს, პრიზიც აარჩევინეს, მაგრამ 26 წამის მანძილზე, პირდაპირი ეთერის მიღმა დააყოვნეს, შემდეგ წამყვანმა სხვა ნომერი ამოიღო დოლურიდან, მას კი ტექნიკური ხარვეზის გამო მოუბოდიშეს და ტელეფონი გაუთიშეს. ცარო ურბეხაშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურას, რომლითაც ამ საქმის გამოძიებას, ასევე მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, 150 000-ლარიან კომპენსაციას ითხოვს. საქმის დეტალებზე „ვერსიას“ ცარო ურბეხაშვილი ესაუბრება.**





## რატომ დაარღვია კომპანიამ ცარო ურბეხაშვილის უფლებები და რატომ ითხოვს ახმეტის რაიონის მკვიდრი 150 000-ლარიან კომპენსაციას, მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად?

2011 წლის 19 ივნისს, „ბილაინის“ წამახალისებელი გათამაშება გაიმართა. წამყვანმა დოლურიდან ცარო ურბეხაშვილის ნომერი ამოიღო, ამავდროულად, ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინება მიიღო, რომ გათამაშებიდან ურეკავდნენ და ტელეფონი არ დაეკავებინა. ამასობაში ტელეფონზე შემომავალი ზარი დაფიქსირდა, ოპერატორმა აბონენტს გათამაშებაში გამარჯვება მიულოცა, პრიზი აარჩევინა და სთხოვა, ხაზზე დარჩენილიყო. ცარო ურბეხაშვილმა ციფრი 4 აირჩია და ოპერატორს უთხრა, რომ პირდაპირ ეთერში გადაერთოთ, თუმცა 26 წამი დააყოვნეს და ტელეფონი გაუთიშეს:

**„მართალია, დოლურიდან ჩემი ნომერი ამოიღეს და დამირეკეს კიდეც, მაგრამ პირდაპირ ეთერში გათამაშებას ვუყურებდი და იმ დროს, როდესაც მე 26 წამის მანძილზე ეთერს მიღმა დამაყოვნეს, აშკარად დავინახე, რომ წამყვანმა სხვა ნომერი ამოიღო. მე ტელეფონი გამითიშეს და უკვე სხვა აბონენტმაც ჩემს მსგავსად, ციფრი 4 აირჩია, როდესაც პრიზი გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ოროთახიანი ბინა ვაკეში, რამაც შოკში ჩამაგდო. მაშინვე გადავრეკე იმ ნომერზე, საიდანაც დამირეკეს და მითხრეს, რომ გათამაშებაში მოვხვდი, მაგრამ ოპერატორმა ტექნიკური ხარვეზის გამო მომიბოდიშა და მითხრა, ახლა უკვე გვიანაა და ვეღარაფერს შევცვლითო. მეორე დღესვე ანუ 2011 წლის 20 ივნისს, „ბილაინის“ ცენტრალურ ოფისს წერილობით მივმართე, რომლითაც ჩემი უფლებების დაცვასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ვითხოვდი. „ბილაინის“ ოფისში მითხრეს, რომ განცხადებაზე პასუხს 10 დღეში მივიღებდი. თუმცა ყოველდღე ვრეკავდი ოფისში და სიტუაციის გარკვევას ვთხოვდი, ერთ დღეს დამირეკეს და მითხრეს, რომ განცხადებასთან დაკავშირებით, ჩემთან „ბილაინის“ წარმომადგენელს, ირაკლი ესართიას უნდოდა გასაუბრება. ბატონმა ირაკლიმ მითხრა, რომ განცხადება 20 ივნისს შევიტანე, გათამაშება კი 19 ივნისს გაიმართა და რას ითხოვთ, ვერ გავიგეო. ავუხსენი, წინსმსწრებ განცხადებას ხომ არ შევიტანდი ან საიდან უნდა მცოდნოდა, რომ დანაშაული მოხდებოდა-თქო, რაზეც ირაკლი ესართიამ მიპასუხა, რომ ჩემს გარდა, უამრავი საქმე ჰქონდა და ტელეფონი გამითიშა. არადა, სულ 5 წუთი იყო საჭირო იმისთვის, რომ თამაში ენახათ და ზუსტად ის მომენტი მოეძებნათ, როდესაც ჩემს ნომერზე დარეკეს, თუნდაც სატელევიზიო გათამაშებაზე დამსწრე კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე ამოეღოთ გათამაშებული და გაუთამაშებელი ნომრები. ცოტა ხნის შემდეგ ირაკლი ესართიამ დამირეკა და ამიხსნა, რომ 2011 წლის 19 ივნისს, ტექნიკური ხარვეზი დაფიქსირდა, რის გამოც მომიბოდიშა“.**

ცარო ურბეხაშვილმა კომპანია „ბილაინის“ წარმომადგენლებს წერილობითი პასუხი მოსთხოვა, კომპანიაში აუხსნეს, რომ ამისთვის დამატებით განცხადება იყო საჭირო. ცარო ურბეხაშვილმა კომპანიაში განცხადება 2011 წლის 1 აგვისტოს შეიტანა, მაგრამ უფრო დამამცირებელი პასუხი მიიღო:

**„მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ მითითებული ნომერი — 874 89 80 25, ჩვენს გათამაშებაში საერთოდ არ მონაწილეობდა, რადგან გათამაშების კოდი თქვენ აკრიფეთ დაგვიანებით, 20 ივნისს, შესაბამისად, გათამაშების დროს თქვენი ნომერი არ ამოსულა. გაურკვევლობა თქვენში, სავარაუდოდ, გამოიწვია გათამაშების დროს ამოსული ნომრის წინა ციფრების დამთხვევამ, ხოლო ბოლო ორი ციფრი, რომელიც გათამაშების წესების თანახმად, დაფარულია, თქვენს ნომერს არ ემთხვევა“.**

ამის შემდეგ, ცარო ურბეხაშვილმა გათამაშების ჩანაწერის ასლი მოითხოვა. მართალია, კომპიუტერში პირდაპირი ეთერის ჩანაწერი ნახა, მაგრამ იმის გამო, რომ დაბლოკილი იყო, დისკზე ვერ გადაწერა. არაერთი განცხადებით მიმართა როგორც „ბილაინს“, ასევე გამომძიებლებსა და იურისტებს, მაგრამ გათამაშების ჩანაწერი ვერ მოიპოვა. ბოლოს 118 08-ზე დარეკა და იკითხა, სად შეიძლებოდა 2011 წლის 19 ივნისს გამართული გათამაშების ჩანაწერის მიღება. ცნობათა ბიუროდან აუხსნეს, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის საარქივო განყოფილებისთვის უნდა მიემართა და ტელეფონის ნომერიც ჩააწერინეს. როდესაც მითითებულ ნომერზე დარეკა, ცარო ურბეხაშვილს აუხსნეს, რომ ადგილზე უნდა მისულიყო, პირადობის მოწმობა წარედგინა, რის საფუძველზეც შეავსებდა განაცხადს და ორ დღეში მიიღებდა პასუხს. ასეც მოიქცა და როდესაც „რუსთავი 2“-ის საარქივო განყოფილებას მიმართა, დაუზუსტეს, რომ ეს გათამაშება „ბილაინის“ პროდუქტია და თუ კომპანიის ხელმძღვანელობა თანახმა იქნებოდა, გაამზადებდნენ მასალას, ბანკში გადაიხდიდა 150 ლარს და ქვითრის წარდგენის შემდეგ, მისთვის სასურველი ჩანაწერის ასლს მიიღებდა. ბიუროკრატიული ფორმალობების შემდეგ, საქმე საქმეზე რომ მიდგა და ცარო ურბეხაშვილს ჩანაწერი უნდა მიეღო, მოულოდნელად, „რუსთავი 2“-ის საარქივო განყოფილების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ მასალა ადგილზე არ აღმოჩნდა. ცარო ურბეხაშვილმა ტელეკომპანიისგან წერილობითი პასუხი მოითხოვა, მაგრამ ამისთვის კიდევ ერთი განცხადება იყო საჭირო, ქალბატონმა ეს განცხადებაც დაწერა და ტელეკომპანიისგან ასეთი პასუხი მიიღო:

**„ქალბატონო ცარო, თქვენი 2012 წლის 12 მარტის განცხადების შესაბამისად მოგახსენებთ, რომ 2011 წლის 19 ივნისს, კომპანია „ბილაინის“ ლატარიის წამახალისებელი გათამაშების ჩანაწერი არ ინახება შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის არქივში, ვინაიდან აღნიშნული გათამაშება არ წარმოადგენდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პროდუქტს და მაუწყებელი, მოკლებულია რა სხვისი ღონისძიებების შესახებ ვიდეომასალის შენახვის ინტერესს, შესაბამისად, არ განუხორციელებია ამ გათამაშების ჩანაწერის შენახვა ერთ თვეზე მეტი ვადით. გამომდინარე იქიდან, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილ იქნა 2011 წლის 19 ივნისის ჩანაწერი, ჩვენთვის სამართლებრივად და ფაქტობრივად შეუძლებელია, აღნიშნული მასალის მოწოდება მისი არარსებობის გამო. გთხოვთ, მიიღოთ წინამდებარე წერილი ცნობად. პატივისცემით, გენერალური დირექტორი, გიორგი გეგეშიძე“.**

ამის შემდეგ, ცარო ურბეხაშვილმა კომპანია „ბილაინს“ კიდევ ერთი განცხადებით მიმართა და 2011 წლის 19 ივნისის გათამაშების ვიდეოჩანაწერის ასლი მოითხოვა. დიდი ბრძოლის შემდეგ, „ბილაინიდან“ უპასუხეს, რომ ვიდეოჩანაწერს ვერ გადასცემდნენ, რადგან არ ჰქონდათ. ცარო ურბეხაშვილმა ის მაინც მოახერხა, რომ „ბილაინის“ ცენტრალური ოფისიდან, 2011 წლის 19 ივნისს, მის კუთვნილ ნომერზე შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების ჩანაწერის ასლი მოიპოვა. ამ სატელეფონო ზარების გაშიფვრისას ირკვევა, რომ გათამაშების დროს, ცარო ურბეხაშვილის ნომერზე მართლაც დაფიქსირდა გათამაშებიდან შესული ზარები, რომლითაც აბონენტს სატელევიზიო გათამაშებაში გამარჯვება მიულოცეს.

ცარო ურბეხაშვილმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასაც მიაკითხა, სადაც დააკვალიანეს, რომ იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურისთვისაც მიემართა. მან ჯერ იუსტიციის სამინისტროს მიმართა, სადაც უპასუხეს, რომ განცხადება ისანი-სამგორის პოლიციის განყოფილების დეტექტივს, მებურიშვილს გადასცეს. გამომძიებელმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან გათამაშების ვიდეოჩანაწერის მოპოვება შეძლო, მაგრამ ცარო ურბეხაშვილს ეჭვი ეპარება, რომ შესაძლოა, ეს ვიდეომონტაჟია და არა რეალური ჩანაწერი. ესაა მიზეზი, რის გამოც, 2013 წლის 27 მარტს, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურორს, ბატონ ზურაბ სიყმაშვილს განცხადებით მიმართა და სთხოვა, შეემოწმებინათ როგორც მისი კუთვნილი ნომერი, ასევე ის ნომერი, რომლიდანაც გათამაშების დროს დაურეკეს:

**„გამიჩნდა ეჭვი, რომ ვიდეომასალის არარსებობის გამო, რამდენჯერმე დამაჯერებელი პასუხი გამცეს, თუმცა მოგვიანებით, ვიდეოს არსებობა დადასტურდა და მისი მოპოვებაც შესაძლებელი გახდა. ვეჭვობ, რომ ეს არის მონტაჟი, ვიდეომასალის იძულებით მოპოვების გამო. გთხოვთ, „ბილაინის“ ოფისიდან გამოითხოვოთ გათამაშების ვიდეოჩანაწერი და შევადაროთ უკვე გამოთხოვილ მასალას. ასევე, „ბილაინის“ ოფისიდან მივიღე პასუხი, რომ გათამაშების მომენტისთვის, დარეგისტრირებულიც არ ვყოფილვარ. თამაში შედგა 2011 წლის 19 ივნისს, მე კი თურმე რეგისტრაცია 20 ივნისს გამივლია, რაც არასწორია, რადგან რეგისტრაცია 17 ივნისს, გათამაშებამდე ორი დღით ადრე შეწყდა. ახალი თამაშის რეგისტრაცია კი რამდენიმე თვის შემდეგ განახლდა. მიმაჩნია, რომ გათამაშების დროს ჩემი უფლებები დაირღვა, მივიღე მორალური და მატერიალური ზარალი. ვითხოვ საქმის გამოძიებასა და მორალური ზარალის ანაზღაურებას 150 000 ლარის ოდენობით. იმედია, გულისხმიერებას გამოიჩენთ და სიმართლის დადგენაში დამეხმარებით, რაზეც წინასწარ მადლობას გიხდით“.**

„ვერსია“ კომპანია „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსაც დაუკავშირდა და ამ საკითხზე კომენტარი სთხოვა, საიდანაც მოკლედ გვიპასუხეს: **„ჩვენ ამ საკითხზე კომენტარს არ ვაკეთებთ. მოქალაქე ცარო ურბეხაშვილის უფლებაა, იჩივლოს ნებისმიერ სტრუქტურაში“.**

დეტალიზაცია

| | |
|---|---|
| აბონენტის ნომერი | 5574898025 |
| საბილინგო სისტემა | Comverse (GEO) |
| რეპორტის ფორმირების თარიღი | 20.06.2011 11:24 |
| პერიოდი | 19.06.2011 - 19.06.2011 |
| ოპერატორი | ქვაძვყа სусудан იაуровна |
| აბონენტის სტატუსი | Active |
| აბონენტის ბილინგ გეგმა | COS_0_10 |
| ძირითადი ბალანსის მდგომარეობა | 2,2539 GEL |
| საყვარელი ნომერი | |
| აქტიური მომსახურებები | 17.06.2011 ALC_DSCINTURKEY_GEL; |
| GMT+04:00 | |

| სერვისი | თარიღი/დრო | ნომერი | ტრაფიკი | ЛИМИТ | ბალანსი | საწყისი ბალანსი | ბალანსის ცვლილება | საბოლოო ბალანსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამავალი ზარი | 19.06.2011 20:30:26 | 99574155175 – | 00:00:51 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,3039 | -0,0500 | 2,2539 |
| გამავალი ზარი | 19.06.2011 20:12:17 | 99593560801 – | 00:00:04 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,3606 | -0,0567 | 2,3039 |
| გამავალი ზარი | 19.06.2011 19:02:45 | 99568280179 + | 00:00:09 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,4106 | -0,0500 | 2,3606 |
| გამავალი ზარი | 19.06.2011 19:01:24 | 99568280179 + | 00:00:29 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,4606 | -0,0500 | 2,4106 |
| გამავალი ზარი | 19.06.2011 18:59:47 | 99568280179 + | 00:00:28 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,5106 | -0,0500 | 2,4606 |
| გამავალი ზარი | 19.06.2011 18:55:04 | 99555145347 + | 00:00:10 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,5773 | -0,0667 | 2,5106 |
| შემომავალი ზარი | 19.06.2011 18:54:18 | 99590983669 + | 00:00:02 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,5773 | 0,0000 | 2,5773 |
| შემომავალი ზარი | 19.06.2011 18:54:02 | 99592190068 + | 00:00:02 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,5773 | 0,0000 | 2,5773 |
| შემომავალი ზარი | 19.06.2011 18:53:33 | 99568912064 + | 00:00:02 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,5773 | 0,0000 | 2,5773 |
| შემომავალი ზარი | 19.06.2011 18:52:42 | 99568280179 + | 00:00:26 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,5773 | 0,0000 | 2,5773 |
| შემომავალი ზარი | 19.06.2011 12:49:07 | 99593444229 – | 00:00:16 | 0 | ძირითადი ბალანსი | 2,5773 | 0,0000 | 2,5773 |
| მთლიანი დარიცხული თანხა | | | | | | | 0,0000 | |
| საბოლოო დანახარჯი | | | | | | | -0,3234 | |
| ბაიტების ჯამური ტრაფიკი | | | 0 | | | | | |
| წამების ჯამური ტრაფიკი | | | 00:02:59 | | | | | |

# ძმაო, თქვენ ალაოდ ხომ არა ხართ?!



## წინათქმა

საიდუმლო არაა, რომ დღევანდელ პარლამენტში ნაცმოძრაობის 40% ჩვეულებრივი სიყალბეა... და რომ ნაცმოძრაობა კარგა ხანია, პოლიტიკურ სამარეშია. ამას ყველა ხედავს, ამაზე ყველა საუბრობს, ეს ყველამ იცის, მაგრამ ნაცმოძრაობა ძვირადღირებული პროექტია, მასზე კოლოსალური სახსრები დაიხარჯა და პროექტის მხარდამჭერებს, ბუნებრივია, მისი გადარჩენა სურთ. 19 აპრილის მიტინგი სწორედ ამიტომ დაიგეგმა. მთელ მსოფლიოს უნდა დაენახა, რომ ნაცმოძრაობას 40%-იანი მხარდაჭერა მართლაც აქვს. ნაცისტების გაყალბებული სიებით, საქართველოს 3 მილიონ 621 ათასი ამომრჩეველი ჰყავს, ხოლო არჩევნებში 2 მილიონ 300 000 კაცს მიუღია მონაწილეობა, ანუ ნაცისტებისთვის 900 000-ზე მეტ კაცს მიუცია ხმა. ამ ციფრებიდან გამომდინარე, 19-ში ნაცისტებს სულ ცოტა 90 000 კაცი მაინც უნდა გამოეყვანათ, რათა ჩვენ, ყველას გვერწმუნა, რომ პარლამენტში მათი 40% არა ყალბი, არამედ ნამდვილია. 19 აპრილის მიტინგის მიზანი სწორედ ეს იყო და არა სხვა რამ... ამიტომაც ერთი თვის წინ მიტინგი დაანონსდა და გაავებული მუშაობა დაიწყო. დიდი შრომისა და ჯაფის ფარგლებში, მაგალითად, ახალციხეში მიტინგში მონაწილეობისთვის კაცს 100 ლარს სთავაზობდნენ. დრო მიდიოდა. ხალხი ვერ გროვდებოდა. ფასებმაც მოიმატა და გასაოცარ მასშტაბებს მიაღწია. 10 აპრილისთვის მომიტინგეს უკვე 300 ლარს სთავაზობდნენ... და აი, დადგა სანატრელი 19 აპრილი. ჩამოვიდა გურია და სამეგრელო, მესხეთი და ჯავახეთი, იმერეთი და სვანეთი... ფშავი და ხევსურეთი... ქართლ-კახეთი და ჰერეთიც... აჭარა და თვით ლაზეთიც... მოკლედ, მთელი საქართველო ნაცისტების მიერ გაუქმებული პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბა და სპანი მრავალნი, ვაი, რომ 6000 „მეომრის“ სახითაც კი ვერ წარმოგვიდგნენ. მართალია, ნაცისტების მხარდამჭერი ჟურნალისტები გვეუბნებიან, რომ 10 000 კაცი იყო... ზოგმა ისიც გაბედა, — თითქმის 20 000 იყოო, გვითხრა... მაგრამ ტყუილია ეს... ჩვენც ვიცით და მათაც იციან... და რაც მთავარია, Google-მაც იცის. ამდენ ხალხს, ყოველ შაბათს თუ არა, თვეში ერთხელ მაინც ვკრებდით რუსთაველის ძეგლთან, როცა პატიმრების წამების ფაქტებს ვაპროტესტებდით. თანაც, მხოლოდ თბილისელები ვიკრიბებოდით. რეგიონებიდან არავინ ჩამოგვყავდა. ასე რომ, ნაცისტებმა 6000 კაციც კი რომ ვერ შეაგროვეს, მთელ მსოფლიოს დაანახეს — მათ პარლამენტში 40% კი არა, 4%-იც არ ეკუთვნის... ანუ ჩვენს მიერ არაერთგზის გამოთქმული აზრი, რომ ნაცისტები 5%-იან ბარიერსაც კი ვერ გადალახავენ, გამართლდა. ამ ვითარების მხილველმა პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა დავით უსუფაშვილმა სასწრაფოდ განაცხადა — ქართულმა დემოკრატიამ ნაცისტების გადარჩენის მისია უნდა იტვირთოსო. ამ განცხადებით, ალბათ, ნაცისტების უცხოელი მხარდამჭერების დამშვიდებას ცდილობდა. ამავე ვითარებით შერცხვენილმა ნაცისტებმა საკუთარი რიგებიდან ყველაზე წუწკი და ლოგიკურადმოაზროვნე ბოროტმოქმედი გამოიყვანეს და გიგა ბოკერიამაც კვესიტაძის გადაცემაში ხალხის დაბნევა და აქცენტების გადატანა სცადა. ვფიქრობ, ამაოდ.

## პროექტის მხარდამჭერები

ნაცმოძრაობა მრავალწახნაგოვანი პროექტია. მას უცხოეთში არაერთი და ხშირად, ურთიერთმოქიშპე მხარდამჭერი ჰყავს. ყველასთვის ცნობილი სოროსი ლიბერტანიანიზმის დამცველია. მაკკეინი კი, ნეოკონსერვატორია. ამ მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ნაცისტების იდეოლოგიაც ჭრელი და ყველა მხარდამჭერისთვის დამაკმაყოფილებელი უნდა ყოფილიყო. ლიბერტანიელები ეროვნებისა და სქესის წინააღმდეგ გამოდიან, ნეოკონსერვატორებს კი, რუსები სძულთ. ჰოდა, აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობამ ლიბერტანიელების დასაკმაყოფილებლად საქართველოში ე.წ. ოთხი „არა“-ს პოლიტიკა აწარმოა, ხოლო ნეოკონსერვატორთა მაამებლად, რუსეთის წინააღმდეგ თავდაუზოგავ ბრძოლაში ჩაება. ე.წ. ოთხი „არა“ მარტივად იშიფრება: არა — სამშობლოს! არა — რწმენას! არა — ეროვნებას! არა — სქესს! ამ იდეოლოგიის ფარგლებში ნათლად ჩანს ნაცმოძრაობის „ეროვნულობა“, რასაც 19 აპრილის მიტინგზე ყოველმა გამომსვლელმა-ნაცისტმა ხაზი საგანგებოდ გაუსვა: ნაცმოძრაობა, თურმე, ჭეშმარიტად „ეროვნული“ და „პატრიოტული“ ძალა ყოფილა. 9 წელიწადია, ილიას გზაზე დადიან. ჩვენ კი, შურითა და სიძულვილით დაბრმავებულნი, ამას ვერ ვხედავთ. ილიას გზაა, ეტყობა, კაცი კაცს ცოლად რომ შეირთავს... ქალს კი, ქალი რომ ჰყავს ქმრად. ილიას გზაა, ინგლისურად რომ უნდა ილაპარაკო, ქართულის ნაცვლად.... თორემ, სამსახურს ვერ მოძებნი და რეალობასთან ჰარმონიაში ვერ შეხვალ. თუ ნიჭი არ გეყო და ინგლისურს ვერ დაეუფლე, სომხურად ან აზერბაიჯანულად მაინც უნდა საუბრობდე, მალე ამ ენებს რეგიონული ენების სტატუსს მიანიჭებენ, ესეც ილიას გზა ყოფილა... მოკლედ, ოღონდ ქართულად ნუ ისაუბრებ და რა ენაზეც გინდა, ილაპარაკე, ასე უთქვამს ილია მართალს... არავინ იფიქროს, რომ სომხებს ვერჩი რაიმეს. რომენ ანანიკიანი ჩემი უახლოესი მეგობარია. ჩემსავით ქართულად მეტყველებს, ქართულად აზროვნებს და საქართველოს პატრიოტია. ამ დროს, სომხურ ეკლესიაშიც დადის და სომხურ თეატრშიც. ეს არის ინტეგრირება ქართულ სინამდვილეში. ასე რომ არ იყოს, ფრანგები დიდი ხანია მიანიჭებდნენ რეგიონული ენის სტატუსს კორსიკულს, ბრეტონულს, შტის, კატალონურსა და ბასკურს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ენების შესახებ „ეროვნულმა“ ნაცისტებმა არაფერი იციან, ამიტომაც გიგა ბოკერიას აზრით, ჩვენ ხალხს ვწამლავთ, ის კი ილიას გზაზე დადის. ილიას გზაა, დედაეკლესიას რომ შეურაცხყოფ... ილიას გზაა, ერთ ტომარა ფქვილში იეღოველებს სულს რომ მიჰყიდი... ილიას გზაა, სოხუმსა და ცხინვალს რუსს რომ მისცემ, ბათუმს კი — თურქს. მოკლედ, ილიას გზა ყოფილა ყველაფერი, რაც ენის, მამულისა და სარწმუნოების წინააღმდეგაა. სხვათა შორის, საინტერესოა, რატომ დანიშნეს ილიას გზაზე მოარულმა ნაცისტებმა მიტინგი მაინცდამაინც 19 აპრილს? ალბათ, 20-ში არ ეცალათ და იმიტომ... 20 აპრილს ხომ მათი მამის — ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღეა, ამიტომ 19-ში — საზეიმო მიტინგი... 20-ში კი — კაი პურ-მარილი!

## მიხეილ აღმაშენებლის ნეოკონსერვატივიზმი ანუ როგორ დავკარგეთ ცხინვალი და სოხუმი

ცნობილია, რომ პრეზიდენტ ბუშის, სენატორ მაკკეინისა და სხვა ნეოკონსერვატორთა აზრით, დემოკრატია ნებისმიერი გზით უნდა დამყარდეს, თუნდაც ეს ძალის გამოყენებას ითხოვდეს. ამისი მაგალითია ერაყი და ავღანეთი, მაგრამ ბავშვსაც კი ესმის, რომ ასეთი მიდგომა რუსებთან ვერ გაამართლებს. თუმცა, ბავშვს კი ესმის, მაგრამ მაკკეინსა და სააკაშვილს — არა. ახლა რომ გვეუბნება მიხეილ სააკაშვილი — საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული ჯგუფები რომც მოგვემზადებინა, ეს სახელმწიფოს საიდუმლოა და ამაზე არ უნდა ვილაპარაკოთო, მინდა ვუპასუხო: ის კი არაა მთავარი, ამაზე ვილაპარაკებთ თუ არა, ისაა მთავარი, რომ ქვეყნის მოყვარულ და საღადმოაზროვნე ხელისუფლებას ეს არ უნდა გაეკეთებინა. ეროვნულადმოაზროვნე ხელისუფლებას საკუთარი თავი და მთელი ქვეყანა არც იმაში უნდა დაერწმუნებინა, რომ რუსებს ჟანგიანი ტანკები აქვთ და ვერ მოგვერევიანო, რადგან ამგვარი თავისმოტყუება ქვეყნის ღალატის ტოლფასია. პატრიოტ ხელისუფლებას მაკკეინის წაქეზებითა და ბუშის მდუმარე თანხმობით, ცხინვალში თითიც კი არ უნდა გაეტოკებინა. ნათელი იყო, რომ ის მოხდებოდა, რაც მოხდა. კი, ცხინვალი საქართველოა... კი, იქ სეპარატიზმია და რუსეთი ამას 2008 წლამდე არ უარყოფდა... კი, შენს ტერიტორიაზე წესრიგის დამყარების უფლება გაქვს, რუსეთმა ხომ იგივე გააკეთა ჩეჩნეთში?! კი, შენ მართალი ხარ შენს ბრძოლაში, მაგრამ მეზობელი „დერჟავა“ რომ გეუბნება — ცხინვალში ისეთ ნაბიჯს თუ გადადგამ, მე რომ არ მომეწონება, ყველაფერს ფეხზე დავიკიდებ და შენს ტერიტორიაზე შემოვიჭრებიო, შენ, შე ტუტუცო, ეს რატომ არ გესმის?! ცხინვალში რაც მოხდა, ეს მხოლოდ საქართველოსთვის კი არაა ტრაგედია, ეს ყველა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის ტრაგედია, რადგან ცხინვალმა რუსებს საკუთარი სიძლიერისადმი რწმენა გაუჩინა... ცხინვალის მერე, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ძალთა ბალანსი რუსეთის სასარგებლოდ შეიცვალა... ცხინვალის შედეგად, ყოფილ საბჭოთა სივრცეში ამერიკის 15-წლიანი პოლიტიკა დაიმსხვრა... იმდენად დაიმსხვრა, რომ ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, რომლებიც 2008 წელს უკვე ნატოს წევრი ქვეყნები იყვნენ, ნატო-ს ღიად დაუსვეს კითხვა — რუსული აგრესიის შემთხვევაში, დაგვიცავ თუ არაო?! ახლა რუსეთი კვლავ კუნთებს ათამაშებს, ჩვენ სოხუმსა და ცხინვალში ცხვირს ვეღარ ვყოფთ, ხოლო მიხეილ დამანგრეველი გვიკიჟინებს — აღმაშენებელი ვარ და ილიას გზაზე მავალ, ეროვნულ ძალებს ვხელმძღვანელობო. ამ მიწა-წყლისთვის ჩვენმა წინაპარმა იმდენი სისხლი გაიღო, შავ ზღვას ავსებდა. ჩვენ სწორედ ეს გვტკივა. ნაცისტების „ეროვნულ“ გულში კი, ეს ტკივილი არავის უგრძნია. თუმცა ეს გასაკვირი არცაა, „ობიექტივის“ ეთერში გენერალმა წითელაშვილმა განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში „ეროვნული“ ნაცისტები მას ქართული სოფლების დაბომბვას ავალებდნენ... ახლა მითხარით, ეს სახელმწიფოს საიდუმლოებაა და ამაზე არ ვილაპარაკოთ, თუ როგორ მოვიქცეთ?!

## ნეოოსმანიზმი

მეხუთე წელია, რაც რუსეთი აღარ მალავს, რომ სოხუმი და ცხინვალი წაგვართვა. ამ ვითარებაში, „ეროვნულმა“ ნაცისტებმა ერთადერთი რამ შეძლეს: მსოფლიოს ეს მოვლენა ოკუპაციად შეაფასებინეს. ძალიან მაინტერესებს, 90 წლის შემდეგ, ღმერთმა დაგვიფაროს და, სოხუმსა და ცხინვალს თუ ვერ დავიბრუნებთ,- რუსეთი კვლავ ოკუპანტი იქნება, თუ სტრატეგიული პარტნიორი და ახლო მეგობარი? ახლავე ავხსნი, ამ კითხვას რატომ ვსვამ. ზუსტად 95 წლის წინ, თურქეთმა საქართველოს ტერიტორიის 33% მოსტაცა ანუ უფრო დიდი ტერიტორია, ვიდრე აფხაზეთი და სამეგრელო ერთადაღებული. დღეს იქ, სულ ცოტა, ნახევარი მილიონი ქართველი ცხოვრობს, რომლებმაც ენა შეინარჩუნეს. 95 წლის შემდეგ, ჩვენ თურქეთს, რატომღაც, მეგობარსა და სტრატეგიულ პარტნიორს ვეძახით და არა ოკუპანტს. ამ დროს კი, სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი, საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ოღლუს პირით, ღიად გვეუბნება — ოსმალეთის იმპერიის აღორძინებას ვიწყებთ, დამასკოდან ბათუმამდეო და ამას ახლებურად გავაკეთებთ, ომის გარეშეო. საინტერესოა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რომ ეთქვა: რუსეთის იმპერიას ვაცოცხლებთ ვარშავიდან ბათუმამდეო, ამ განცხადებას რა მოჰყვებოდა? მაგრამ თურქებს ყველაფერი ეპატიებათ: თურქული გაზეთები ახალ რუკებს ბეჭდავენ, სადაც აჭარა თურქეთის შემადგენლობაშია შეყვანილი. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მესხეთელი თურქების ჩამოსახლებასა და ბათუმში ახალი მეჩეთის აგებას გვთხოვს. ბევრი გვეკითხება, მეჩეთს რას ებრძვითო. ვინც დღემდე ვერ გაიგო, ვპასუხობ: არც მეჩეთს ვებრძვით და არც მაჰმადიანობას. მეტიც, ამ საკითხს რელიგიასთან არაფერი აქვს საერთო. თურქეთს ბათუმში ახალი კომპლექსის აგება სურს, ვითომ მეჩეთის და ვითომ რელიგიური სასწავლებლის და კიდევ მრავალი, ვითომ რაღაცის... სინამდვილეში კი, ეს თურქული დაზვერვისა და მომავალი აგრესიის პლაცდარმი იქნება, რომელსაც თურქი ხელმძღვანელობა და პერსონალი ეყოლება, თურქი მუფთი და თურქი მასწავლებლები ქართველ ახალგაზრდობას მოწამლავენ და საქართველოს დაპყრობის ფარული გეგმის განმახორციელებლები იქნებიან. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მესხეთელი თურქების ჩამოსახლების მოთხოვნა და სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ ახალი ტერმინების დამკვიდრებას, როგორიცაა, მაგალითად, „საქართველოში ოსმალური კულტურის ძეგლები“. ძლივს არ გაგვაგებინეს, რომ ჯაყელების საგვარეულო მეჩეთი ქართული მაჰმადიანური კულტურის კი არა, ოსმალეთის კულტურის ძეგლი ყოფილა?! ამგვარად, სრულიად გასაგები ხდება, ილიას გზაზე მავალი და, აქედან გამომდინარე, თურქეთის მოტრფიალე გიგა ბოკერიას გულისტკივილი, რომელიც ეკა კვესიტაძის გადაცემაში გაგვიზიარა. ეს გულისტკივილი, დაახლოებით, ასე ჟღერდა: ახლა შემოგვაპარებენ ანტიეროვნულები,- თურქეთი ჩვენი მეგობარი არააო. გიგა ბოკერიასა და ახლადგამოჩეკილი „ეროვნული“ ნაცისტების აზრები გასაგებია. კარგა ხანია გვეუბნებიან, თურქეთთან მეგობრობა ნატო-ში მცოცავი შესვლის ტოლფასიაო. სინამდვილეში კი,

ეს აჭარაში თურქეთის ცოცვა-ცოცვით შემოშვება და საქართველოს დანგრევა-დანაწევრების მორიგი მცდელობაა. მოკლედ, ფრანგები თურქეთს ევროპაში არ უშვებენ, „ეროვნული" ნაცისტები კი, თურქეთს აჭარას ჩუქნიან.

## „ეროვნული" კულტურული რევოლუციონერები

ცნობილია, რომ სკოლის მოსწავლე უფრო ადვილად ითვისებს უცხო ენას, ვიდრე სტუდენტი. საერთოდ, რაც წლები გემატება, მით უფრო ჭირს უცხო ენის ათვისება, ხოლო 40 წელს რომ გადააჭარბებ, მეცადინეობ, მეცადინეობ, მეცადინეობ... წინადადებებსაც აბამ, მაგრამ „შენ ის ვარდო აღარა ხარ". ასეა ეროვნული ფასეულობებიც. თუ კაცი ბავშვობიდან ეროვნულ ფასეულობებს ვერ ეზიარა, რაც წლები გადის, მეტად და მეტად უჭირს ამ ფასეულობების გათავისება და გულისხმაჰყოფა. ეს ტყუილად არ ვთქვი. ყველა დროსა და ეპოქაში იზრდებოდნენ და ღვინდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ეროვნულ ფასეულობებს ვერ გულისხმაჰყოფდნენ. ზოგს ოჯახმა მოაკლო ყურადღება, ზოგს მეგობართა წრემ შეუშალა ხელი, ზოგიც, უბრალოდ, ვერ ჩასწვდა ერის ზნეობრივ მონაპოვარს. სამწუხაროდ, ეს მოვლენა არც ახალია და არც იშვიათობაა. იგი ყველა ქვეყანასა და ერში გვხვდება. ასეთ ადამიანებს კულტურულ რევოლუციონერებს უწოდებენ. რატომ? იმიტომ, რომ უმეტესწილად, ასეთი ადამიანები ეროვნულს რომ ვერ ჩასწვდნენ, მას ფასეულობად აღარ აღიქვამენ. ამ ფასეულობებისადმი აგრესიით აღივსებიან და ბოლოს, სიძულვილით იმსჭვალებიან. აქედან გამომდინარე კი, პატივს არ სცემენ და ავტორიტეტად არ მიიჩნევენ ერის გამორჩეულ შვილებს. როგორც წესი, კულტურული რევოლუციონერების უმეტესი ნაწილი ნაკლებად განათლებულია. მათ ლიდერებზე შეიძლება ითქვას, რომ სიღრმისეულად არაფერი იციან, თუმცა ალაგ-ალაგ წაკითხული აქვთ რაღაც. რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობენ. ერთი-ორჯერ შემხვედრია მცოდნე და განათლებული კულტურული რევოლუციონერი. მოკლედ, კულტურული რევოლუციონერობა თავისთავად არაფერი სიკეთეა, მაგრამ თუ ისინი ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ, მაშინ დიდი ბოროტება და საშიშროებაა. სწორედ ამგვარი ბოროტების ხელში აღმოჩნდა საქართველო, როდესაც ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგა ბოკერია და სხვა „ეროვნული" ნაცისტები მოვიდნენ. სინამდვილეში კი, კულტურული რევოლუციონერები, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ მუტაციაგანცდილნი. კვლავ იკითხავთ, რატომ? იმიტომ, რომ ისინი, მეტ-ნაკლებად, შეძლებული საბჭოთა ოჯახების შვილები იყვნენ. ფული თუ არა, ნაცნობობა და კავშირები ჰქონდათ, რის ხარჯზეც საზღვარგარეთი იხილეს. ზოგმა ერთი წელი დაჰყო ამერიკაში, ზოგმა მეტი და ზოგმა ნაკლები. ეს არაა მთავარი. მთავარი სხვა რამაა. ჩვენმა კულტურულმა რევოლუციონერებმა, ეროვნულ ფასეულობებს რომ ვერ ჩასწვდნენ, ქართველობა დაკარგეს. ამავდროულად, დასავლური ფასეულობებით აღფრთოვანებულებმა, თავი ამერიკელებად ჩათვალეს, მაგრამ ვაი, რომ ვერც დასავლურ ფასეულობებს ჩასწვდნენ ბოლომდე. მათ ხომ ამისი უნარი არა აქვთ... ამიტომაც ჩვენი „ეროვნული" ნაცისტები აღარც ქართველები არიან და ვერც ამერიკელები გახდნენ. აი, ეს ხალხი მოვიდა ხელისუფლებაში, „ვარდების რევოლუციის" გზით. მოკლედ, ყველაფერი უბედურება ჩვენ როგორ უნდა დაგვემართოს?!

## გაუპატიურება დემოკრატიის სახელით!

„ვარდების რევოლუცია" რომ კულტურული რევოლუცია იყო, პირველივე დღიდან გამოჩნდა, როცა ეროვნული ნაცისტების ლიდერმა, მიხეილ აღმაშენებელმა ქართულ ინტელიგენციას „ჩარეცხილები" უწოდა. შემდეგ ყოველივე ქართულს ომი გამოუცხადა: თავს დაესხა ეკლესიას.. (სხვათა შორის, გიგა ბოკერია იყო, პატრიარქს რომ უთხრა — არც შენი სიკვდილია პრობლემაო). ხალხმა ამგვარ მოქმედებებს მხარი რომ არ დაუჭირა, „ეროვნულმა" ნაცისტებმა მთელი ერი რუსეთის ჯაშუშად გამოაცხადეს. მოკლედ, ამ აღარცქართველებმა და ვერცამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ ჩვენი ქვეყანა დიდ ციხედ გადაექციათ და დაიწყო ხალხის მასობრივი დაპატიმრება, ქუჩაში კაცის კვლა, მიტინგების დარბევა... და ეს ყველაფერი დემოკრატიის სახელით კეთდებოდა. დემოკრატიის სახელით აუპატიურებდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ ციხეებში პატიმრებს... დემოკრატიის სახელით აუპატიურებდნენ ცოლს პატიმარი ქმრის თვალწინ... დემოკრატიის სახელით აშანტაჟებდნენ ადამიანებს... მოკლედ, დემოკრატიის სახელით ყველანაირ ბოროტებას სჩადიოდნენ... და აი, ახლა, ყოველივე ამ ბოროტების შემოქმედი და თანამონაწილე, „ეროვნული" გიგა ბოკერია ჩვენ ფაშისტებს გვიწოდებს და საკუთარ თავს — „დემოკრატს"... „დემოკრატი" გიგა ასე ფიქრობს, მერე რა, რომ 26 მაისს ნიკა კვინტრაძე მოვკალით, მერე რა, რომ სისხლის გუბეები დავაყენეთ, სამაგიეროდ, ნატო-ს კარი გაიღო ჩვენთვისო... ისე, ამ „ღია კარში" მეცხრე წელია შევყავართ „ვარდოსნებს", მაგრამ ეს ისეთივე ტყუილი და ილუზია აღმოჩნდა, როგორც სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლითაც თავს არ შეგაწყენთ.

## კოჰაბიტაცია ქართულ-ამერიკულად

განვლილი 9 წელიწადი ნაცისტებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ცხადია, თავისთვის და არა ხალხისთვის. ჯერ ერთი, რომ მყარი ურთიერთობები დაამყარეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტასთან. დღეს ნაცისტებს 5-6 მხარდამჭერი სენატორი ჰყავთ, ამდენივე კონგრესმენი და 2-3 მინისტრი. ეს არაა პატარა ძალა. არც ეკონომიკური თვალსაზრისით მოიკოჭლებენ. არა ერთი მილიარდი მიიღეს ვაშინგტონიდან. სხვათა შორის, ამ სახსრებიდანვე მილიონებს ხარჯავდნენ ლობიზმზე, ისევ ვაშინგტონში. ასე რომ, ამ კუთხითაც საკმაოდ მყარი „ეკონომიკური" ურთიერთინტერესები და კავშირები დამყარდა. არც ლობისტებს სურთ ასეთი კლიენტების დაკარგვა, კლიენტებს კი ახლა, თავის გადარჩენა ადარდებთ და ლობისტები უფრო მეტად სჭირდებათ. არის მესამე ფაქტორიც — დამყარდა მჭიდრო ურთიერთობები სპეცსამსახურებთან. ამაოდ ხომ არ ამბობს სააკაშვილი, საქართველოში ტერორისტები რომც მოგვემზადებინა, ამაზე არ უნდა ვილაპარაკოთ, ეს სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნებაო. არც ქართული სოფლების დაბომბვაზე უნდა ვისაუბროთ, თუმცა გენერალი წითელაშვილი შოკისმომგვრელ ფაქტებს ახმოვანებს. მოკლედ, უამრავ სხვა თემაზეც არ უნდა ვილაპარაკოთ, რამაც, საბოლოო ჯამში, სოხუმი და ცხინვალი რუსებს ჩაუგდო ხელში... მაგრამ ერთი რამ ნათელია. სააკაშვილიც, მერაბიშვილიც, ბოკერიაც, ადეიშვილიც და ძმანი მათნი ამერიკის სპეცსამსახურებისთვის წყალში გადასაყრელი ხალხი არაა. ჰოდა, ახლა, როდესაც ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა და საზოგადოება სავსებით სამართლიანად ითხოვს ამ კრიმინალების დასჯას, აფორიაქდნენ ნაცისტების მხარდამჭერი სენატორებიც, კონგრესმენები და მინისტრები... ლობისტები და მედია... სპეც და არა-სპეცსამსახურები... ელჩები და კონსულები... მოკლედ, რა ჩამოთვლის ამ ვრცელ სიას... და ეს ხალხი ითხოვს კოჰაბიტაციას. სინამდვილეში კი, ითხოვს რას? არ დაიჭიროთ მიშა! არ დაიჭიროთ ვანო! არ დაიჭიროთ გიგა! არ დაიჭიროთ სხვანი მრავალნი! როგორმე გააცოცხლეთ გარდაცვლილი ნაცმოძრაობა! შეუნარჩუნეთ ადგილები პარლამენტში, სახელმწიფო სტრუქტურებში, თვითმმართველობის ორგანოებში. ერთი სიტყვით, დატოვეთ ეს ხალხი ხელისუფლებაში. ისინი ჩვენ ძალიან გვჭირდებაო. ასე დაბადეს იქ, შორს, ვაშინგტონში ახალი აზრი, ხომ არიან ჩვენთან „დემოკრატები" და „რესპუბლიკელები", გინდათ თუ არა, თქვენთანაც იყვნენ „ნაცები" და „რესპებიო". არ გაგიკვირდეთ, „ქართული ოცნება" კი არა, სწორედაც „რესპებიო". ესაა ახალი გეგმა და ამ გეგმის ფარგლებში უწოდებს ბოკერია უსუფაშვილს „პარლამენტის პატივსაცემ თავმჯდომარეს", ხოლო პატივსაცემი უსუფაშვილი ქართული დემოკრატიის უპირველეს ამოცანად ნაცისტების გადარჩენას მიიჩნევს. ქართველი კაცი კი, ფიქრობს: ძმაო, თქვენ ალაოდ ხომ არა ხართ?!.

## რეჟიმის მსხვერპლნი

21-ე საუკუნის თინეიჯერები კომპიუტერული თამაშებით არიან გატაცებულნი. ჩვენი პოლიტიკური სპექტრი კი, კოჰაბიტაციამ გაიტაცა. დასავლელი „მეგობრების" ზეწოლამ იქამდეც კი მიგვიყვანა, რომ ახალაიებს უკვე რეჟიმის მსხვერპლად აცხადებენ. მალე ვანოზეც იტყვიან, რეჟიმის მსხვერპლიაო, შემდეგ — მიშაზეც... ანუ ყველა რეჟიმის მსხვერპლი ყოფილა. მთავარი ველარ გავიგე, ნეტა, ეს „რეჟიმი" ვინაა?! მოკლედ, კოჰაბიტაციასა და პოლიტიკურ ჰარმონიაზე, ამ პროცესებში საჯაროდ და კულუარულად ჩართულ პერსონებზე მოგვიანებით დავწერ.

***ირმა ინაშვილი***
***2013 წლის 23 აპრილი. თბილისი.***



## „საქართველოს ბანკი" ინკასაციის სამსახურის თანამშრომლების გაფიცვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

„საქართველოს ბანკის" ინკასაციის სამსახურის, დაახლოებით 80 თანამშრომელი, 23 აპრილს, დილიდან გაიფიცა. როგორც „ინტერპრესნიუსს" გაფიცვის მონაწილეებმა აცნობეს, ისინი აღნიშნული სამსახურის დაცვის პოლიციისთვის გადაცემას აპროტესტებენ. გაფიცვის მონაწილეების უფლებების დამცველი დიმიტრი საძაგლიშვილი აცხადებს, რომ გაფიცვა გამაფრთხილებელი იყო და ორ საათს გაგრძელდა. იურისტის განმარტებით, ბანკის საინკასაციო სამსახურში მოსალოდნელია რეორგანიზაცია, რის შედეგადაც დაირღვევა ინკასატორების უფლებები, კერძოდ — საინკასაციო სამსახურში მოსალოდნელ რეორგანიზაციის შედეგად გაიზრდება სამსახურის წარმომადგენლების სამუშაოს მოცულობა და შემცირდება ხელფასის ოდენობა. ადგილზე შეკრებილების ინფორმაციით, თბილისის მასშტაბით საინკასაციო სამსახურს წარმოადგენს 72 ინკასატორი, ხოლო საქართველოს მასშტაბით მათი რაოდენობა არის 106. როგორც „ინტერპრესნიუსს" აქციის მონაწილეებმა განუცხადეს, აქციას შეუერთდებიან როგორც თბილისის, ასევე ბათუმისა და ქუთაისის საინკასაციო სამსახურის თანამშრომლები.

„საქართველოს ბანკი" ინკასაციის სამსახურთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და სამსახურის დაცვის პოლიციისთვის გადაცემას უსაფრთხოების მეტი გარანტიით ხსნის.

**„ბანკი გადადის საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ და არაერთი ქართული ბანკის მიერ უკვე დანერგილ მეთოდზე, როდესაც ბანკის ინკასაციის მომსახურებას მთლიანად სპეციალიზებული სამსახური — კონკრეტულ შემთხვევაში, დაცვის პოლიცია ახორციელებს, რომელმაც ეს სერვისი ერთი წლის წინ დააარსა. ერთი წლის განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ ახალი მომსახურების ეფექტურობა და დავრწმუნდით, რომ ის მკვეთრად აუმჯობესებს ბანკის უსაფრთხოებას. ბანკის ამ გადაწყვეტილების შესახებ ინკასატორებს წინასწარ ეცნობათ. ამასთან, ბანკი მათ სრულად უხდის ანაზღაურებას, წლიური ბონუსის ჩათვლით, ხოლო, გათავისუფლების შემთხვევაში, კანონით დადგენილ კომპენსაციასაც გადაუხდის. დამატებით კი მათ მიიღეს შეთავაზება, გაევლოთ გასაუბრება დაცვის პოლიციაში, ამ ორგანიზაციაში შემდგომი დასაქმების მიზნით",** — განმარტავენ „საქართველოს ბანკში".

***„ინტერპრესნიუსი"***

# ვერსიანიუსი

## პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად ანდრო ბარნოვი დაინიშნა



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად ანდრო ბარნოვი დაინიშნა, რომელსაც ამ დრომდე შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა ეკავა.

საკადრო ცვლილება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის დავით ტყეშელაშვილის აშშ-ში სამუშაოდ წასვლის გამო განხორციელდა, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციას 3 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. საქართველოს პრეზიდენტმა დავით ტყეშელაშვილი ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმაციით, ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი დავით ტყეშელაშვილი აშშ-ში ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ცენტრის დირექტორად ინიშნება.

***„ვერსიანიუსი"***

## ბზის მოჭრაზე კონტროლი მკაცრდება



გარემოს დაცვის სამინისტრო კონტროლს ამკაცრებს ბზის მოჭრაზე და აფრთხილებს მოსახლეობას იმ სანქციების შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება სამართალდამრღვევების მიმართ. **„კერძოდ: სამართალდამრღვევს ჯარიმა ეკისრება ყოველი მოტეხილი ტოტისთვის, რომელიც შესაძლოა, შეადგენდეს მიზერულ თანხას; თუმცა, გარემოზე მიყენებული ზიანის სიმძიმის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა მერყეობს 200-დან 600 ლარამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი 1000 ლარს გადააჭარბებს — აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე",** — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც გარემოს დაცვის სამინისტრო ავრცელებს. მისივე ინფორმაციით, ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, დიდი რაოდენობით იჭრება და იყიდება ბზის ტოტები. კოლხური ბზა ენდემური სახეობაა, არის კოლხური ტყეების ერთ-ერთი დომინანტი და უძვირფასესი სამერქნე მცენარე. იზრდება ძალზე ნელა და ხასიათდება არეალის შემცირების ტენდენციით, რისი უმთავრესი მიზეზიც სწორედ უკონტროლო ჭრაა. სწორედ ამის გამო, კოლხური ბზა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. გაცნობებთ, რომ კოლხური ბზის განადგურების რეალური საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის სამინისტროსა და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით მკაცრდება კონტროლი ბზის მოჭრაზე და სამართალდარღვევაზე გავრცელდება კანონით დადგენილი სანქციები.

***„ნეტგაზეთი"***

# ხელისუფლებამ ანაბრების დაბრუნებაზე მუშაობა დაიწყო




ნინო ქლენტი

ფინანსთა სამინისტრო საბჭოთა ანაბრების ზუსტი მოცულობის დადგენაზე მუშაობს. ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას, commersant.ge ავრცელებს. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, სპეციალური კომისია, რომელიც შიდა ვალზე მუშაობს, რევიზიას ახორციელებს, რათა ზუსტად იყოს დათვლილი ვალის მოცულობა. შემდეგი ამოცანა ვალის დაბრუნების მექანიზმებზე მუშაობაა. ამასთან, სამინისტროში განმარტავენ, რომ არავის აქვს იმის ილუზია, რომ ბიუჯეტი ერთ წელიწადში და მით უმეტეს, წელს მოახერხებს ამ ვალის გასტუმრებას. ნოდარ ხადურის თქმით, ამ პრობლემისადმი ინსტიტუციური მიდგომაა საჭირო.

შეგახსენებთ, ყველა მთავრობას ე.წ. საბჭოთა ანაბრების თემა მხოლოდ საარჩევნო დაპირებად ჰქონდა გამოყენებული. „ქართული ოცნება“ თავის ამომრჩეველს ამას არ დაპირებია, მაგრამ, როგორც ჩანს, უკანასკნელ პერიოდში ამ თემის გააქტიურებამ პროცესი წინ წასწია და მმართველმა გუნდმაც ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო. რას ფიქრობენ ამაზე ეკონომიკის ექსპერტები და როგორია მათი შეფასება, ამასთან დაკავშირებით For.ge რამდენიმე მათგანს ესაუბრა.

ირაკლი ლექვინაძე აცხადებს, რომ კომისიას, რომელიც ანაბრების მოცულობის დადგენაზე მუშაობდა, მოქმედების ვადა გაუგრძელდა და ექსპერტი ფინანსთა სამინისტროს ამ მიდგომას დადებითად აფასებს.

**„მთავარია, თუ რა პოზიციას იჭერს სახელმწიფო, აბრუნებს ამ ანაბრებს, თუ — არა. თუ სახელმწიფო ანაბრებს აბრუნებს, მაშინ უნდა დაიწყოს მსჯელობა იმაზე, თუ როდიდან დაიწყება ანაბრების გასტუმრება, წელიწადში რამდენი უნდა გაიცეს, პირველად ვის მიეცემა ეს ფული და ა.შ.“,** — აცხადებს ირაკლი ლექვინაძე.

მისი თქმით, ეს საკმაოდ რთული პროცესია და რაც მთავარია, რადგან ამ თემაზე მუშაობა დაიწყო, მოსახლეობაში არ უნდა გაჩნდეს მოლოდინი, რომ ანაბრების გასტუმრება უცებ მოხდება. ამიტომ, ლექვინაძე ამბობს, რომ თუკი ფინანსთა სამინისტრო ამას აკეთებს, მოსახლეობამდე კარგად უნდა მიიტანოს ინფორმაცია, როგორ და რა განრიგით მოხდება ამ თანხების გასტუმრება. „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი, ნოდარ ჭიჭინაძე აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტრომ თუკი ამ თემაზე მუშაობა დაიწყო, ეს მისასალმებელია, თუმცა აქვე დასძენს, რომ უწყებამ მოსახლეობამდე სწორად უნდა მიიტანოს ინფორმაცია, რათა ზედმეტი მოლოდინი არ გაჩნდეს.

**„დღემდე არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, რამდენი მეანაბრეა და რა თანხები აქვთ მათ დაკარგული, ამიტომ სამინისტროს ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მისასალმებელია. რა თქმა უნდა, მთავარია ანაბრების გასტუმრება, მაგრამ თუ მონაცემთა ბაზა გვექნება, უფრო სრული სურათი შეიქმნება, და ისიც გვეცოდინება, რამდენ ხანში და როგორ არის შესაძლებელი ამ ანაბრების გასტუმრება“,** — ამბობს ნოდარ ჭიჭინაძე.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, გიორგი აბაშიშვილი ამბობს, რომ იმ მთავრობას, რომელიც ანაბრების დაბრუნებას ყველაზე მეტად გვპირდებოდა, ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია და ფინანსთა სამინისტროს ამ წამოწყებას დადებითად აფასებს.

**„როგორც ჩანს, ამ თემაზე საექსპერტო წრეებსა და არასამთავრობო სექტორში დაწყებული დისკუსია უკვე ამ ფარგლებს გასცდა და სახელისუფლო წრეებში გადავიდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამით ადამიანებს მიეცემა იმედი, რომ მათი კუთვნილი თანხები, ადრე თუ გვიან, დაუბრუნდებათ. ბატონი ხადური აბსოლუტურად მართალია, როდესაც ამბობს, რომ ამას ერთი წლის და ალბათ, ორი და სამი წლის ბიუჯეტიც არ ეყოფა“,** — აღნიშნავს ექსპერტი, მაგრამ, მისი თქმით, თავად ის ფაქტია მნიშვნელოვანი, რომ დადგინდება გასასტუმრებელი თანხის ოდენობა და ეს ნიშნავს იმას, რომ ამ თემაზე მხოლოდ საუბარი კი არ არის, არამედ უკვე კონკრეტული ნაბიჯებიც იდგმება. ამით კი მოსახლეობის უფლებები უფრო მეტად იქნება დაცული.

ექსპერტი მიხეილ ჯიბუტი აცხადებს, რომ ანაბრების საკითხი პირობითად გაყინული იყო, რადგან არ არსებობდა პოლიტიკური ნება შიდა ვალთან დაკავშირებით. ექსპერტი იხსენებს, რომ 1998 წელს მიღებული იქნა კანონი „შიდა ვალის“ შესახებ, სადაც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოქალაქეების მიმართ დავალიანება აისახა. ამ შიდა ვალის ნაწილია ანაბრებიც ისევე, როგორც ფასიანი ქაღალდები, კოოპერატიული ბინათმშენებლობები და ა.შ. აქვე მიხეილ ჯიბუტი დასძენს, რომ სახელმწიფომ ამ დავალიანებების გასტუმრებაც დაიწყო, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, ეს პროცესი შეჩერდა, რადგან პოლიტიკური ნება აღარ არსებობდა.

**„ამ ანაბრების გასტუმრებაზე სახელმწიფომ უარი თქვა და მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების ვალის გასტუმრება ხდება, საკუთარ მოსახლეობას სახელმწიფო ვალებს არ უბრუნებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს ვალი რომ აიღეს „მეტეხის“ აშენებისათვის, იმ ვალს ჩვენ ავსტრიას ხომ ვუხდით? საკუთარ მოსახლეობას კი ამაზე უარს ვეუბნებით, რაც ეკონომიკურად არასწორი მიდგომაა, ხოლო პოლიტიკურად - დისკრიმინაციული“,** — აცხადებს მიხეილ ჯიბუტი. ამიტომ, მისი თქმით, სახელმწიფომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს და ყველა ქვეყანა ამ პრობლემას წყვეტს ისე, რისი შესაძლებლობაც აქვს. აქვე ექსპერტი დასძენს, რომ არ არსებობს ზუსტი ფორმულირება, თუ როგორია ლარსა და საბჭოთა რუბლს შორის შეფარდება, მაგრამ სახელმწიფომ უნდა იფიქროს იმაზე, რომ მოსახლეობას რაც შეიძლება ოპტიმალური ვარიანტი შესთავაზოს.

**„ქვეყნის ბიუჯეტი რა შესაძლებლობებსაც იძლევა, ეს ყველაზე კარგად იცის ხელისუფლებამ და სწორედ აქედან გამომდინარე, მან საკუთარ მოსახლეობას რაღაც უნდა შესთავაზოს. ეს შეიძლება იყოს მოკლევადიანი, ან გრძელვადიანი, 30-50-წლიანი განრიგიც კი“,** — აღნიშნავს ექსპერტი.

## ხელისუფლება საბჭოთა ანაბრების მოცულობის დადგენაზე მუშაობს



ხელისუფლება საბჭოთა ანაბრების მოცულობის დადგენაზე მუშაობს.

როგორც მედიას ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დავით ებრალიძემ განუცხადა, სპეციალური კომისია ამ ეტაპზე კოოპერატიული ბინათმშენებელთა საკითხით არის დაკავებული.

**„არსებობს კომისია სახელმწიფო შიდა ვალის შესახებ. ამ კომისიამ პირველ ეტაპზე კოოპერატიული ბინათმშენებელთა საკითხების შესწავლა დაავალა მუშაჯგუფს, რომელმაც საკითხის შესწავლა დაასრულა. ახლა კომისიას უნდა ჩააბაროს ანგარიში. ამის შემდეგ მუშაჯგუფი ანაბრების საკითხის შესწავლას დაიწყებს“,** — განაცხადა ებრალიძემ.

*„პირველი“*

## ბიძინა ივანიშვილი: „დავითაშვილს საკმაოდ ვეჩხუბე — თუ მას გუნდში დარჩენა სურს, რაღაც ანგარიში უნდა გაუწიოს!“

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უმრავლესობის წევრის, კობა დავითაშვილის, ჯანდაცვის მინისტრის მიმართ ბრალდების შესახებ, კომენტარს აკეთებს.

**„დღეს დავითაშვილს დავურეკე და საკმაოდ ვეჩხუბე, რამეთუ უნდა მოახერხოს მან და ჯერ საკუთარ გუნდში უნდა გააკეთოს განმარტებები. მუდამ ახერხებს გარედან რაღაც ინფორმაციის შემოტანას, თანაც არაფერს ეფუძნება ის, რასაც აკეთებს დავითაშვილი. ძალიან საწყენი იყო, რომ მან ეს გააკეთა. მას ავუხსენი, რომ თუ გუნდში დარჩენა სურს, რაღაც ანგარიში უნდა გაუწიოს მას. პირველი ინფორმაცია მაინც გუნდში გააჟღეროს და არა გარეთ. ელემენტარული წესები არსებობს ყველაფერში. სერგეენკო არის უპატიოსნესი კაცი. ეს თემა ხელოვნურადაა მოგონილი და არავითარ კორუფციასთან არ აქვს შეხება. ის აბსოლუტურად წესიერი კაცია“,** — განაცხადა პრემიერმა სტრასბურგში, ჟურნალისტებთან.

კობა დავითაშვილმა 22 აპრილს ჯანდაცვის მინისტრისგან საჯარო განმარტებები პრესის საშუალებით მოითხოვა და განაცხადა: **„დავით სერგეენკოს საქმიანობაში აშკარად ჩანს ლობირება კერძო სადაზღვევო კომპანიებისა. ეს არის დაუფარავი, ეს ჩანს მის ყველა ნაბიჯში, დაწყებული იმით, თუ როგორი სქემა შემოგვთავაზა პირველადი ექიმებით და დასრულებული იმ ფაქტით, თუ როგორ გაუგრძელა ამ უთოფო ყაჩაღებს ერთი წლით ხალხისა და ბიუჯეტის ძარცვის ხელშეკრულება... ძალიან კარგი იქნება, თუ პრესით გაეცნობა ბატონი სერგეენკო ჩვენს კითხვებს. მისგან მოვითხოვ დამაჯერებელ პასუხებს ამ საკითხებზე“. დავითაშვილი ამბობს, რომ დიდხანს იკავებდა თავს საჯარო კრიტიკისგან, მაგრამ აღარ აპირებს გაჩუმებას: „მეტიც, როგორც ჩანს, ადრე უნდა დამეწყო კრიტიკა და უკეთესი იქნებოდა. ცოტა შეფხიზლდებოდა საღათას ძილში მყოფი სამინისტრო. მიმაჩნია, რომ ის პოლიტიკა, რომელიც ტარდება დღეს ჯანდაცვის სფეროში, აბსოლუტურად არ შეესაბამება იმ კურსს, რომელიც აირჩია „ქართულმა ოცნებამ“ და რომლის გამოც ხალხმა „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა. მე უკვე შიშით ვუყურებ იმ პაკეტს, რომელიც ივლისიდან ამუშავდება“.**

კობა დავითაშვილის განცხადებას თავად ჯანდაცვის მინისტრიც გამოეხმაურა და აღნიშნა: „ბატონი კობა ბრალს მდებს ძალიან მძიმე დანაშაულში, კორუფციაში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის მიერ. მან ან უნდა დაადასტუროს, დოკუმენტები წარმოადგინოს, ან მოიხადოს საჯაროდ ბოდიში“, თუმცა დავითაშვილმა არათუ ბოდიში მოიხადა, პირიქით კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება: **„ბატონ დავით სერგეენკოს ვურჩევ, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს. კითხვები ძალიან კონკრეტულია, მისი გადაწყვეტილებები არის კერძო სადაზღვევო კომპანიების ინტერესებში. როგორც ჩანს, ბატონ სერგეენკოს სურს, არსებით განხილვას თავი აარიდოს და ფორმალობაზე გადაიტანოს საკითხი, ამიტომ მას მოუწევს პასუხების გაცემა, სანამ პასუხებს არ გასცემს, ბოდიშს კი არა, ვერაფერს მიიღებს ჩემგან. მისი პარლამენტში მოსვლის საკითხი დაყენებული მაქვს ფრაქციის წინაშე“.**

როგორ გადაწყდება დავითაშვილისა და სერგეენკოს დაპირისპირება, ამას, სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილის სტრასბურგიდან დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## სასჯელაღსრულების რუსთავის მე-16 დაწესებულება იხურება




სასჯელაღსრულების რუსთავის №16 დაწესებულება იხურება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების მინისტრის პრესსპიკერმა, ირაკლი კორძაიამ განუცხადა, რუსთავში რამდენიმე ციხის არსებობის საჭიროება აღარ არის და მე-16 დაწესებულება უახლოეს პერიოდში იხურება.

**„#16 დაწესებულების თანამშრომლები გადავლენ კადრების განკარგულებაში და ვიღაც დარჩება სამუშაო ადგილზე, ვიღაც — არა. რაც შეეხება დაწესებულების დახურვას, ამდენი ციხე არ გვჭირდება და ეს ქვეყანა ციხეებად არ უნდა გადაიქცეს. არ შეიძლება თითო ქალაქში 2-2 და 3-3 ციხე იყოს“,** — განაცხადა კორძაიამ.

მისი თქმით, ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რა ბედი ეწევა დაწესებულების შენობას.

რაც შეეხება №16 დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს, კორძაიას ინფორმაციით, ისინი გადანაწილდებიან სხვადასხვა დაწესებულებებში, საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით.

სასჯელაღსრულების №16 დაწესებულების თანამშრომლებმა გუშინ აქცია გამართეს. მათი ინფორმაციით, ბოლო ორი თვის განმავლობაში სამსახურიდან გათავისუფლებით და დაკავებით ემუქრებიან. ისინი წუხელ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდნენ და საკუთარი პროტესტის მიზეზი განუმარტეს. როგორც ციხის თანამშრომლებმა შეხვედრის შემდეგ აღნიშნეს, თავმჯდომარის მოადგილე მათ დაპირდა, რომ სამუშაო ადგილები შეუნარჩუნდებათ.

*„ინტერპრესნიუსი“*

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

# „კავკაზ კაბელის" აზერბაიჯანელი დამფუძნებელი მენეჯერს სარწმუნოების შეცვლას სთხოვდა

**საქართველოში პოლიტიკურ ნიადაგზე არაერთმა ადამიანმა დაკარგა სამსახური, თუმცა „კავკაზ კაბელის" მენეჯერი გიორგი ოქრუაშვილი აცხადებს, რომ აზერბაიჯანელმა დამფუძნებელმა იგი სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო დაითხოვა, რომ მაჰმადიანი არ გახდა. „ვერსია" ამ თემით დაინტერესდა და თავად გიორგი ოქრუაშვილს ესაუბრა.**




გაათავისუფლეს თუ არა სამსახურიდან რელიგიურ ნიადაგზე, რატომ შეაქვს სარჩელი სასამართლოსა და პროკურატურაში და რატომ დააბრალეს უშიშროების აგენტობა გიორგი ოქრუაშვილს

„კავკაზ კაბელში" 2011 წელიდან ანუ მისი დაარსების დღიდან ვმუშაობდი. ეს ქარხანა, ნაწილობრივ, ჩემი აშენებულია. უფროსობის შემოთავაზებით, კომპანიაში მენეჯერად დავრჩი. „კავკაზ კაბელის" დამფუძნებლისგან, აზერბაიჯანის მოქალაქე ელჩინ ჰუმატოვისგან, მქონდა ყოველდღიური ზეწოლა სარწმუნოების შეცვლის მიზნით. თავიდან იგი პროპაგანდას ეწეოდა. მეუბნებოდა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება ისლამია და ჩვენი სარწმუნოება არაფერს წარმოადგენდა, რომ ჩვენი ხატები ცარიელი და ფუჭი ფოტოსურათები იყო,რომ ღვთისმშობელი იყო ჩვეულებრივი ქალი, რომელიც ვილაც კაცისგან დაფეხმძიმდა და ბავშვი შეეძინა. მერე შეტევაზე გადმოვიდა მოთხოვნით, რომ მაჰმადიანობა მიმეღო. მეუბნებოდა, რომ ერთადერთი ნაკლი მაქვს და ეს ქრისტიანობაა. ამ თემაზე ხშირად ვკამთობდით. სახლში სტუმრად რომ მოვიდა და ხატების კუთხე დაინახა, სულ გადაირია. მითხრა, რად გინდათ ესენი, ზედმეტ ადგილს იკავებს, აუცილებლად რელიგია უნდა შეიცვალოო.

**აფხაზეთის ომში ვიბრძოდი. მძიმედ ვარ დაჭრილი. ოპერაციები დამჭირდა. თან დედა დამეღუპა და სახლი გავყიდეთ. 20 წელია, ნაქირავებში ვცხოვრობ. ჩემი შვილები ჩემთან არ ცხოვრობენ. ეს რომ ჩემთვის დიდი ტკივილია, ჰუმატოვმა იცოდა და დამპირდა — თუ მუსლიმანი გავხდებოდი, სახლიც მექნებოდა და ჩემი შვილებიც ჩემთან იქნებოდნენ. ჩვენ ამ თემაზე თითქმის ყოველდღე ვკამათობდით. ვუთხარი, რომ მერჩივნა, ქვაზე, ქუჩაში მეცხოვრა, ვიდრე სარწმუნოება შემეცვალა.**

**— თქვენ რატომ გადაგეკიდათ?**

— საწარმოში უმეტესობა აზერბაიჯანელია დასაქმებული, როგორც ადგილობრივი, ისე აზერბაიჯანიდან ჩამოსული. რამდენიმე ქართველის მიმართაც იყო გარკვეული ზეწოლა, მაგრამ ჰუმატოვს მათთან ენის ბარიერი ჰქონდა, ვერაფერს აგებინებდა, ამიტომაც შეეშვა. თან მე სულ ვლოცულობდი და ამან უფრო გაალიზიანა. მითხრა, გხედავ ჭეშმარიტი მორწმუნე ხარ და ასეთები მუსლიმანებისთვის დიდი ჯილდო იქნებაო. ამ მუქარის შემდეგ, ჩემი შვილი სამსახურიდან გააგდო. ერთხელ, მოტყუებით, მუსლიმანური ლოცვაც წამაკითხეს. ხაგან მამედოვმა, რომელიც ქართულს სწავლობდა, მთხოვა რაც დავწერე შემიმოწმე, თუ სწორად მიწერიაო და რამდენიმე სიტყვა რომ წავიკითხე, მივხვდი, მათი ლოცვა იყო.

მთავარი მეწილე აზერბაიჯანში ცხოვრობს. ელჩინ ჰუმატოვს ძალიან დიდი დარღვევები უპოვეს და სამსახურიდან გააგდეს. მერე ისევ დაბრუნდა. ახალი დირექტორი რუფატ შირინოვი რომ ჩამოვიდა, ვუთხარი — ჩემზე ზეწოლაა რელიგიურ ნიადაგზე და სამსახურიდან უნდა წავიდე-თქო. არ გამიშვა და ჩემი შვილიც სამსახურში დააბრუნა. ელჩინ ჰუმატოვმა ჩემი შვილი რომ დაინახა, შირინოვს ეჩხუბა. გაიგო, კონტრაქტის ვადა როდის გამდიოდა და 4-5 დღით ადრე წავიდა ბაქოში.

**მთავარ დამფუძნებელს უთხრა, ვითომ მე უშიშროების აგენტი ვიყავი, ვიწერდი ყველა საუბარს მოსასმენი აპარატით და ამ ინფორმაციას შესაბამის სტრუქტურებს ვაბარებდი. რომ მე ვარ საშიში პიროვნება და ჩემი სამსახურში გაჩერება ერთი წამითაც არ შეიძლება. იქიდან დაურეკეს შირინოვს და უთხრეს, გაათავისუფლეთო.**

**დადებითად რომ დამახასიათა შირინოვმა, ისიც გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ნაქირავები სახლიც ერთ საათში დააცლევინეს. ელჩინ ჰუმატოვს ახლა საქართველოს მოქალაქეობა უნდა, განაცხადიც შეტანილი აქვს, აზერბაიჯანში ყველაფერს ყიდის და საქართველოში გადმოდის საცხოვრებლად. საქმე სასამართლოში შემაქვს, ჰუმატოვს ვუჩივი და ვითხოვ, სათანადოდ დაისაჯოს.**

**„ვერსია" გიორგი ოქრუაშვილის ადვოკატს ნათია სირაძეს დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ „კავკაზ კაბელის" დამფუძნებელს ელჩინ ჰუმატოვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს:**

„ეს კანონდარღვევა და დანაშაულია, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით კვალიფიცირდება.

**ეს არის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო. ანდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ისჯება ჯარიმით. იგივე ქმედება ძალადობით ან ძალადობის მუქარით, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ვადით 3 წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით 3 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით. გიორგი ოქრუაშვილის გათავისუფლების ფაქტზე სამართლებრივ რეაგირებას მოვახდენთ და შესაბამის ორგანოებს მივმართავთ.**

დავაყენებთ საკითხს, რომ ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყოს. აქ დაირღვა გიორგი ოქრუაშვილის უფლებები. ელჩინ ჰუმატოვმა იცოდა, რომ გიორგის გამოტანილი აქვს კრედიტი, გარკვეული ოჯახური და ფინანსური პრობლემები აქვს და ამ გარემოებით ისარგებლა. ამაზე სამართლებრივი რეაგირება მოხდება. სამოქალაქო წესითაც მოვითხოვთ ზიანის ანაზღაურებას. ასევე მზადდება წერილი, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა არ მიენიჭოს".

**საწინააღმდეგოს ამტკიცებს „ვერსიასთან" საუბარში „კავკაზ კაბელის" იურისტი რევაზ კაჭკაჭიშვილი, რომელიც აცხადებს:** „15 აპრილიდან მეც გამათავისუფლეს, მაგრამ ისევ დამირეკეს და მომიწვიეს სამუშაოდ. ეს იყო რუფატ შირინოვის სურვილი, წავსულიყავი სამსახურიდან. მიზეზად შტატების შემცირება დაასახელა. გიორგი ოქრუაშვილი შპს „კავკაზ კაბელში" მუშაობდა 2011 წლის 1 ივნისიდან, ბოლო ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის 2 აპრილამდე ჰქონდა, თუმცა 20 აპრილამდე გაუგრძელდა. გიორგი ოქრუაშვილის გათავისუფლებაზე ბრძანება დაწერილი არ არის და მასთან შრომითი ურთიერთობა 20 აპრილამდე გრძელდებოდა, ამიტომაც ვალდებული იყო, სამსახურში ევლო. ვფიქრობ, დაიძაბა ვითარება რუფატ შირინოვსა და გიორგის ურთიერთშეთანხმებით იმიტომ, რომ შირინოვმა თავადაც იგრძნო საფრთხე სამსახურიდან წასვლისა. ქაოსი უნდოდა შექმნილიყო. ის ფაქტი, რომ გიორგი ოქრუაშვილი რელიგიური და რწმენის ნიადაგზეა გათავისუფლებული, სიმართლე არ არის. 2012 წლის 23 აგვისტოდან აქ ვმუშაობ და ასეთი ზეწოლა არ მიგრძვნია. აქ ჩვენ სანთლებსაც ვანთებთ და ეს შენობაც ქრისტიანული წესით არის ნაკურთხი. ვეჭვობ, ეს ყველაფერი მართული პროცესია. არც რუფატ შირინოვია გათავისუფლებული, რომელმაც გიორგის დაურეკა და უთხრა, სამსახურში არ მოსულიყო. თუ გათავისუფლებულია, სად არის მაშინ შესაბამისი ბრძანება? ის ჩვენ არ გაგვითავისუფლებია და თუ რუფატ შირინოვმა დაურეკა, გასცეს პასუხი, რის საფუძველზე უთხრა ეს. სხვათა შორის, არც მისი შვილია გათავისუფლებული და ახლაც აქ მუშაობს. ხელშეკრულებაში გაწერილია, თუკი სამუშაო არ არის, შეიძლება რამდენიმე თანამშრომელი უხელფასო შვებულებაში გავუშვათ. სასამართლოში რომ იჩივლოს, ჩვენგან ხომ უნდა წაიღოს საბუთები, მოვა და თავად ნახავს, რომ ის არ არის გათავისუფლებული".

## ვერსიანიუსი

### 100-ლარიანი ვაუჩერის რეალიზება შემოდგომამდე შეჩერდა



თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტის, 100-ლარიანი ვაუჩერის რეალიზება შემოდგომამდე შეჩერდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა, მამუკა ქაცარავამ განუცხადა, 100-ლარიანი ვაუჩერიდან დარჩენილი 40 ლარი დედაქალაქში რეგისტრირებულ აბონენტებს ნოემბერსა და დეკემბერში დაერიცხებათ.

**„ვაუჩერის მოქმედება არ შეწყვეტილა, უბრალოდ, 100-ლარიანი ვაუჩერი შემდეგ 5 თვეზე — იანვარზე, თებერვალზე, მარტზე, ნოემბერსა და დეკემბერზეა გაწერილი, რადგან აღნიშნულ თვეებში კომუნალური დანახარჯები უფრო მაღალია. ვინაიდან პირველ სამ თვეში აბონენტებს ყოველთვიურად 20-20 ლარი უკვე დაერიცხათ, დარჩენილი 40 ლარის დარიცხვა ნოემბერსა და დეკემბერში მოხდება",** — განაცხადა მამუკა ქაცარავამ.

მისივე განმარტებით, ეს გათვლა თბილისის მთავრობას თავიდანვე ჰქონდა და ამის შესახებ შესაბამის სოციალურ რეკლამაშიც იყო მითითებული.

*„ინტერპრესნიუსი"*

### სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვარაუდობს, რომ რუსეთის ბაზრის გახსნით ღვინის ექსპორტი 20-25%-ით გაიზრდება



სოფლის მეურნეობის მინისტრმა, დავით კირვალიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მიმდინარე წელს, დაახლოებით, 7-10 მილიონი ბოთლის გატანაა მოსალოდნელი. როგორც კირვალიძემ აღნიშნა, რუსეთის სანიტარული სამსახურის ორივე ინსპექტირების შედეგად ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის 65-მა მწარმოებელმა კომპანიამ და წყლის ოთხმა კომპანიამ დადებითი შეფასება მიიღო, რის შემდეგაც თითოეულს ნიმუშების დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცა.

**„დღეის მონაცემებით, რუსეთის სანიტარულ სამსახურში შვიდმა კომპანიამ თავისი პროდუქცია უკვე დაარეგისტრირა, ეს პროცესი გრძელდება და პირველი საექსპორტო პარტიების რუსეთის ბაზარზე გატანა უახლოეს მომავალში იგეგმება",** — განაცხადა მინისტრმა.

ამასთან, კირვალიძემ აღნიშნა, რომ წარმატებით დასრულდა 1 აპრილს მოსკოვში გამართული მოლაპარაკება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთში ექსპორტთან დაკავშირებით: **„პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია და ქართველი და რუსი სპეციალისტები მუშაობას განაგრძობენ ტექნიკურ რეგლამენტზე. ეს პროცესი ძალიან მალე დასრულდება და ეტაპობრივად, რუსეთის ბაზარზე ქართული ხილი და ბოსტნეულიც შეუფერხებლად შევა".**

*„პირველი"*




# Tagesspiegel-ის შეფასებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთელი თავისი შარმი დაკარგა



DER TAGESSPIEGEL

როგორც გამოცემა წერს, „მიმდინარე წლის ოქტომბერში, მიხეილ სააკაშვილის ათწლიანი პრეზიდენტობა სრულდება, მის იმიჯს კი, როგორც დემოკრატიისა და კორუფციასთან ბრძოლის მოდელს, ბზარი გაუჩნდა — ცოტა ხნის წინ, ოპოზიციამ დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, სახელმწიფო ხარჯზე მდიდრულ ცხოვრებას ეწევა.

**„ამ დოკუმენტების წყალობით გახდა ცნობილი, რომ გადასახადის გადამხდელები აფინანსებენ სააკაშვილის ძვირადღირებულ საღამოებს დუბაიში, მისი შვილების განათლებასა და რუსი ჟურნალისტის ქსენია სობჩაკის ძვირადღირებულ საჩუქრებს. ასევე სააკაშვილმა თავის მომხრეებში მუხტის გაღვივება ვერ შეძლო, რომლებიც ცოტა ხნის წინ თბილისის ცენტრში შეიკრიბნენ, რათა ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტიის „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ პროტესტი გამოეთქვათ“,** — წერს Tagesspiegel.

მისივე ინფორმაციით, **„საქმე კარგად არც სააკაშვილის პარტიას აქვს, უცნობია, როდემდე შეძლებს პრეზიდენტი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაშლის შეჩერებას... აქციაზე სახელმწიფო მეთაურის სიტყვით გამოსვლის დროს, ტრიბუნა პარტიის გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა დატოვა, რომელიც ადრე შს მინისტრის თანამდებობას იკავებდა, ახლა კი შიდაპარტიული არეულობის ცენტრშია“,** — წერს გამოცემა, რომლის მტკიცებით, **„ის, რომ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემდეგ პარტიას ბევრი მისი მომხრე ტოვებს, ამას ეკა ტყეშელაშვილიც აღიარებს, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებაში დიდი ხნის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტის წევრი იყო“.**

*„პირველი“*

## მშობლები პედაგოგს მეორეკლასელების სასტიკად ცემაში ადანაშაულებენ

გორის რაიონის ვერტის სკოლის რამდენიმე მოსწავლის მშობელი სკოლის პედაგოგს ირინა ტურაშვილს უპირისპირდება და მეორეკლასელების სასტიკად ცემაში ადანაშაულებს. მშობლების განცხადებით, პედაგოგმა რამდენიმე დღის წინ ბავშვებს ჯოხით სცემა, მხოლოდ იმიტომ, რომ გაკვეთილზე იცინოდნენ. მათივე თქმით, შვიდი წლის გოგონას მანანა კაბისოვს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

გოგონას დედის, ია კაბისოვას განცხადებით, ბავშვს სამი დღის განმავლობაში პირღებინება ჰქონდა. გოგონას წოლითი რეჟიმი აქვს და სკოლაში არ დადის. გოგონაცა და მისი თანაკლასელებიც აცხადებენ, რომ მასწავლებელმა ჯოხი თავის არეში ჩაარტყა. მოზარდებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტს ადასტურებს სკოლის დირექტორიც.

მზევინარ ცარიელაშვილი ამბობს, რომ მიმდინარე მოკვლევის შედეგად პედაგოგის მხრიდან ბავშვების ცემის ფაქტი დასტურდება. დირექტორის განცხადებით, ირინა ტურაშვილს სხვადასხვა გადაცდომაზე არაერთი საყვედური აქვს მიღებული.

*„ინტერპრესნიუსი“*

საზოგადოება

# ომის ვეტერანს სამხედრო სამსახურში არ იღებენ

მერაბ ბერიძე

**მაიზერ გელოვანი საქართველოში ბოლო ორ ათწლეულში დატრიალებული ყველა ომისა და სამხედრო მოქმედების მონაწილეა. მისი საბრძოლო კარიერა იქიდან იღებს სათავეს, როცა, სამ გადარჩენილ თანამებრძოლთან ერთად, გაგრის ალყას სასწაულებრივად თავი დააღწია. ბოლოს, 2012 წლის აგვისტომდე, ბატალიონის მეთაური იყო. დღეს უმუშევარია, რადგან არ აკმაყოფილებენ მის განცხადებას სამსახურში მიღების შესახებ. ამის მიზეზებს მაიზერ გელოვანი „ვერსიასთან“ საუბარში თავადვე განმარტავს:**



„ეროვნული მოძრაობის სათავეებიდან მოვდივარ. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მალევე შეიქმნა ეროვნული გვარდია. პირველივე დღიდან გავხდი გვარდიის წევრი და მერე 20 წელი პირნათლად ვიმსახურე ქართულ ჯარში, სხვადასხვა თანამდებობებზე. ვმონაწილეობდი საქართველოში დატრიალებულ ყველა უთანასწორო ომში — დაწყებული თბილისის სამარცხვინო კონფლიქტიდან, 2008 წლის აგვისტოთი დამთავრებული.

აგვისტოს ომის დროს, ეროვნული გვარდიის სენაკის ბაზის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური ვიყავი. რუსებმა რომ დაგვბომბეს, ჩვენს ბაზაზე მობილიზებული იყო დაახლოებით 1700 რეზერვისტი. შეიქმნა პანიკური შიში და რეზერვისტები გაიფანტნენ. ბაზაზე მხოლოდ ოფიცრები დავრჩით. იარაღი და ტანსაცმელი გზაზე და ჭაობში დაყარეს. ამის მოგროვებას მთელი ორი დღე მოვუნდით და მთლიანად მაინც ვერ მოვაგროვეთ. დაბომბვის დროს დაიღუპა 7 და დაიჭრა 53 რეზერვისტი. ამის შემდეგ, საერთოდ მოიშალა სარეზერვო სისტემა, რომელიც არც მანამდე იყო დიდად დალაგებული. მე გადმომიყვანეს სპეციალური ოპერაციების ძალებში, ასმეთაურად. 2010 წლიდან 2012 წლის აგვისტომდე ვიმსახურე და მერე რეორგანიზაციის გამო სამსახურის დატოვება მომიწია“.

**გელოვანი ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლას დიდი იმედით შეჰყურებდა და თავადაც მონაწილეობდა ამ პოლიტიკურ ბრძოლაში:** „მადლობა უფალს, სამართალმა იზეიმა. დამარცხდა ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც ჯარი საკუთარი, ვიწროპოლიტიკური მიზნების შემსრულებლად აქცია და ლამის ყველა პროფესიონალი სამსახურიდან გააძევა. თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ადამიანები, რომლებსაც მინისტრებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და რეალურად, ჯარის არაფერი გაეგებოდათ, ამიტომ წავაგეთ აგვისტოს ომი სამ დღეში და ამასთან, ყველას გვახსოვს აფხაზეთის საბრძოლო ეპოპეა, როცა წელიწადნახევარი ვიბრძოდით. სამწუხაროდ, მაშინაც და ახლაც მთავარსარდლები გამყიდველები გვყავდა. ასევე, აფხაზეთის ომის დროს, მეთაურები არ გარბოდნენ ბრძოლის ველიდან და ჯარისკაცებთან ერთად ეწირებოდნენ სამშობლოს“.

**საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთანავე, მაიზერ გელოვანმა განცხადება თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას სახელზე შეიტანა. სამწუხაროდ, სამსახურში მიღების გადაწყვეტილებას დღემდე ვერ ეღირსა:** „გასაუბრება დადებითი შეფასებით გავიარე სამხედრო პოლიციაში. შემპირდნენ სამსახურში დაბრუნებას, მაგრამ დღემდე გაგრძელდა ეს დაპირებები. როგორც ჩანს, მინისტრამდე განცხადებები არ მიდის. ირაკლი ალასანიასი მჯერა, რადგან აფხაზეთის ომის დროს, ჯერ კიდევ 19 წლის ბავშვი, იარაღით ხელში იბრძოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ალასანიამ კარგად იცის მეომრის ფასი და ამას ხშირადაც აღნიშნავს ხოლმე გამოსვლების დროს. ამის გარდა, მისი ამომრჩეველი ვარ ზუგდიდში და გამარჯვებისთვის, წნეხის მიუხედავად, ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ ხალხი ისე იყო დაშინებული ახალაიების კლანის მიერ, რომ რაიონში ბოლომდე სასურველი შედეგი მაინც ვერ მივიღეთ. სწორედ მაშინ, თავდაცვის ახლანდელ მინისტრს მხარდაჭერის ნიშნად, ჩემი დაწერილი წიგნი, ოფიცრის მწარე მოგონებები ვაჩუქე. იმედი მაქვს, ისევ დავბრუნდები სამხედრო სამსახურში, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შევალიე. ვიმედოვნებ, ღირსეული მინისტრი ერთგულ და მებრძოლ ხალხს დააბრუნებს სამსახურში“.

**ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, ფაქტი ჯიუტია, გამოცდილ მებრძოლს დღემდე სამხედრო სამსახურში არ აბრუნებენ. სამი შვილის მამა, რომელიც ნებისმიერი სამხედრო ესკალაციისას ფრონტის წინა ხაზზე იდგა, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე, ქუჩაშია დატოვებული. იმედია, ეს შემთხვევა თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნებამდე მიაღწევს და ისინი ადეკვატურ გადაწყვეტილებას არ დააყოვნებენ.**

ვერსიანიუსი

# მთავარი პროკურატურა ზურაბ ჟვანიას საქმეზე სააკაშვილის ყოფილ ამერიკელ მრჩეველს დაკითხავს



მთავარი პროკურატურა ზურაბ ჟვანიას საქმესთან მიმართებაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილ ამერიკელ მრჩეველს ჯეფრი სილვერმანს დაკითხავს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განუცხადა და იქვე განმარტა, რომ სილვერმანის ჩვენებებიდან გამომდინარე, მოხდება იმ ინფორმაციის გადამოწმება, რაზეც სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ინტერვიუში საუბრობს.

**„ინტერვიუში პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი აცხადებს, რომ პროკურატურისთვის მიმართვას აპირებს, თუმცა მისი განცხადება უწყებაში ჯერ არ შემოსულა. განცხადების შემოტანამდე მისი დაკითხვა არ მომხდარა, მაგრამ წესითა და რიგით, უნდა დაიკითხოს. შესაბამისი მითითება არ გამიცია, მაგრამ ვფიქრობ, ამას გამომძიებელი თვითონ გააკეთებს. მისი ჩვენებებიდან გამომდინარე, გადამოწმდება ის ვერსიები, რომელიც ინტერვიუშია გაცხადებული. ესაა ის, რასაც ითვალისწინებს კანონი“,** — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა გამოძიებას ინფორმაცია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეში არსებული მტკიცებულებების FBI-ის აგენტის მიერ განადგურების შესახებ, რაზეც ინტერვიუში სილვერმანი საუბრობს, მთავარი პროკურორი აღნიშნულზე კომენტირებისგან თავს იკავებს:

**„ამის შესახებ პასუხი არაკორექტული იქნება. ბევრი რამ სმენია, მაგრამ თავს ავარიდებ ამ ინფორმაციის დადასტურებას ან უარყოფას“.**

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ამერიკელი მრჩევლის, ჯეფრი სილვერმანის მტკიცებით, **„ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეში არსებული მტკიცებულებები გაანადგურეს“.**

გაზეთ „ყველა სიახლესთვის“ რამდენიმე დღის წინ მიცემულ ინტერვიუში სილვერმანი, უშუალოდ, იმ პირსაც ასახელებს, ვინც, მისივე მტკიცებით, აღნიშნული ჩაიდინა.

**„მოგეხსენებათ, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) თანამშრომლები იყვნენ ჩამოსულები. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამერიკაში ვესაუბრე FBI-ს ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც მითხრა, ვინ გაანადგურა ჟვანიას მკვლელობის საქმეში მტკიცებულებები. კერძოდ, აგენტმა ბრაიან კარმენმა აშშ-ს იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მითითებით, გაანადგურა მოპოვებული მტკიცებულებები ჟვანიას მკვლელობის საქმეზე, რადგან მკვლელობის რეალური მიზეზი თუ გამოიკვეთებოდა, მაშინ სააკაშვილის იმიჯი შეილახებოდა, რაც ამერიკის პოლიტიკას დარტყმას მიაყენებდა“,** — აცხადებს სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი.

*„ინტერპრესნიუსი“*

ნოვაცია

# პირველი Samsung Galaxy S4 — „შენი ცხოვრების კომპანიონი“ უკვე საქართველოშია!




იჩქარეთ, უნიკალური სმარტფონების წინასწარი შეკვეთების კამპანია დაიწყო!

პირველი Samsung Galaxy S4 – ერთი შეხედვით, მის უნიკალურ მენიუში შესვლამდეც მიხვდები, რომ იგი სწორედ ისეთი პატივით დახვედრას იმსახურებს, როგორსაც მხოლოდ რჩეულები და როგორიც საქართველოში, 23 აპრილს მოუწყვეს: ჯერ აეროპორტში დაცვა დაახვედრეს, შემდეგ კი, 30-მანქანიანი საგანგებო კორტეჟით მიაცილეს საბურთალოს ქუჩაზე მდებარე „ალტას“ მაღაზიამდე. აქაც მას, ხალხი დილიდან ელოდა... „ალტას“ მაღაზიაში, ტექნოლოგიურ სამყაროში წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენას საპატიო ადგილი შოურუმში მიუჩინეს. აქვე ჩატარდა სახალისო და მასობრივი გათამაშება, რომლის შედეგად, პირველი Galaxy S4-ის მფლობელი სტუდენტი რუსუდან ტყემალაძე გახდა.

უკვე დღეიდან, 24 აპრილიდან, დაიწყება წინასწარი შეკვეთების კამპანია, რომლის დეტალებშიც საზოგადოება „ალტას“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი კაკაბაძემ გაარკვია: **„წინასწარი შეკვეთების კამპანიის ფარგლებში, მომხმარებლებს შეეძლებათ გააკეთონ წინასწარი შეკვეთები Samsung Galaxy S4-ზე ექსკლუზიურად „ალტას“ მაღაზიაში. 29 აპრილს კი, ოფიციალურ გაყიდვებამდე 10 დღით ადრე, მიიღებენ სმარტფონს „სამსუნგის“ ინოვაციურ აქსესუართან ერთად. სმარტფონის ღირებულება 1499 ლარი იქნება. ამ თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში, მომხმარებელი ასევე ისარგებლებს სახლში მიტანის უფასო სერვისით“.**

Samsung-ის სმარტფონი Galaxy S4 „შენი ცხოვრების კომპანიონია“, თანაც ისეთი, შენი უსიტყვოდ რომ ესმის. ეს შეფასება გადამეტებული სულაც არაა, რადგან Galaxy S4-ს აქვს უნიკალური ფუნქცია — 5-დიუმიან ეკრანზე ინტერნეტგვერდების გადაფურცვლა მზერითაა შესაძლებელი. ეს ნამდვილად რევოლუციური ტექნოლოგიაა, რომელიც იძლევა საშუალებას, მართო სმარტფონი ეკრანზე შეხების გარეშე. მაგალითად, თუ ვიდეოს ცქერისას მას მზერას მოწყვეტთ და აღარ უყურებთ, ვიდეო თავისით დაპაუზდება. სმარტფონი აანალიზებს მაჯისა და მზერის მოძრაობას, რის შედეგადაც თავად ფურცლავს ელექტრონულ წერილებს ან ინტერნეტ-გვერდებს.

Galaxy S4 მისი წინამორბედი მოდელის Galaxy S3-ის ყველა ღირსებით არის აღჭურვილი და ამავდროულად, დამატებული აქვს არაერთი ტექნოლოგიური ინოვაცია. ეს კი მას მხოლოდ წინამორბედზე კი არა, ბაზარზე არსებულ ყველა სხვა სმარტფონზე მაღლა აყენებს. Galaxy S3-მა თავის მხრივ უდიდეს წარმატებას მიაღწია და მსოფლიო მასშტაბით 40 მილიონზე მეტი ოდენობით გაიყიდა. მალე ალბათ, გაცილებით დიდი იქნება, ბევრად უკეთესი და კომფორტული, Galaxy S4-ის გაყიდვების რაოდენობა. მხოლოდ აპრილის ბოლოსთვის, ამ უნიკალურ სმარტფონს მსოფლიოს 155 ქვეყანაში გაყიდიან. მათ შორისაა საქართველო.

სმარტფონს აქვს დახვეწილი დიზაინი, დიდი ეკრანი და გამძლე ელემენტი, წინამორბედზე უფრო თხელია (7,9 მილიმეტრი) და მსუბუქი (130 გრამი). ამ ეტაპზე გაყიდვაში იქნება მხოლოდ 2 ფერი: შავი და თეთრი.

სმარტფონის მსოფლიოში პირველი Full რეზოლუციის Super AMOLED ეკრანი, საუკეთესო ხარისხის გამოსახულებას უზრუნველყოფს. მის 5 დიუმიან ეკრანს გააჩნია 441 პიქსელ/დიუმიანი ჩვენების I ხარისხი. ორივე მხარეს განლაგებულ კამერებს აქვს ერთდროულად გადაღების ფუნქცია. ძირითადი კამერა იღებს 13 მეგაპიქსელის, ხოლო ფრონტალური კამერა 2 მეგაპიქსელამდე გაფართოებით. გარდა ამისა, სმარტფონით შეგიძლიათ ფოტო და ვიდეო ერთდროულად გადაიღოთ. გადაღების 8 სხვადასხვა რეჟიმის საშუალებით, ასევე შესაძლებელია, ორი კამერის მიერ გადაღებული სურათების ერთში გაერთიანება, ორმაგი კამერა კი საშუალებას იძლევა ვიდეოზარის განხორციელებისას დაენახოთ მოსაუბრეს და ის გარემოც აჩვენოთ, სადაც თავად იმყოფებით. გარდა ამისა, Galaxy S4-ს Samsung-ის ინჟინრებმა სურათიდან არასასურველი ობიექტების ან ადამიანების წაშლის, ანიმაციური ფაილების და სერიული გამოსახულებების ფუნქციებიც რეალობად აქციეს.

**„ამ დღეს დიდხანს ველოდით. მოხარული ვარ, რომ პირველი Samsung Galaxy S4 უკვე საქართველოშია და „ალტას“ საბურთალოს მაღაზიაში განთავსდა. მომხმარებელს შეუძლია წინასწარ შეუკვეთოს და მიიღოს სმარტფონი ოფიციალურ გაყიდვებამდე ძვირადღირებულ საჩუქართან ერთად და რაც მთავარია, შეიძინოს მხოლოდ „სამსუნგის“ ოფიციალური ჰოლოგრამით“,** — აცხადებს „სამსუნგის“ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი სანგ პილ ჩანი.

Galaxy S4-ის პოტენციურ მფლობელებს ისიც დაგაინტერესებთ და გაგახარებთ, რომ სწორედ სმარტფონის საშუალებით, გექნებათ შესაძლებლობა, მუდმივად აკონტროლოთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობაც — დისპლეიზე მუდმივად გექნებათ წნევისა და სისხლში შაქრის დონის შესახებ ინფორმაცია. ასევე შეძლებთ ბარომეტრისა და თერმომეტრის გამოყენებასაც. ამ ფონზე, ალბათ უკვე, Galaxy S4-ის შეძენამდეც ხვდებით, რომ სმარტფონი ზედმიწევნით ამართლებს სლოგანს — Galaxy S4 ნამდვილად იქნება თქვენი ცხოვრების ყველაზე ერთგული, საყვარელი და კომფორტული კომპანიონი.

*ნინო ლურსმანაშვილი*

აქცია

# „წიგნის დღე წიგნის გარეშე“

## 23 აპრილს წიგნის მაღაზიათა უმეტესობა დაიკეტა!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56




23 აპრილს წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, მთელი საქართველოს მასშტაბით, 50-მდე წიგნის მაღაზია დაიკეტა ვიტრინაზე ბანერით „წიგნის დღე წიგნის გარეშე, სოლიდარობა გამომცემლობებს!“

როგორც გამომცემლობა „ლოგოს პრესის“ დამფუძნებელი-დირექტორი ლაშა ბერაია განმარტავს: **„ამ აქციით სოლიდარობას გვიცხადებენ წიგნით მოვაჭრეები, რომლებსაც შესანიშნავად ესმით, რომ თუ განათლების სამინისტრომ მოკლა საგამომცემლო დარგი, წიგნით მოვაჭრეებსაც არ ექნებათ ახალთახალი წიგნები და ვერ ივაჭრებენ. გამოკრულია საპროტესტო ბანერი, რომლითაც მოსახლეობა შეიტყობს, რომ დღევანდელი, წესით, საზეიმო დღე, 2013 წლის 23 აპრილი, სამგლოვიარო დღედ ცხადდება“.**

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დირექტორი თინა მამულაშვილი აცხადებს, რომ **„23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეა, რასაც საქართველო უკვე რამდენიმე წელია აღნიშნავს. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია აწყობდა გამოფენა-გაყიდვას, საზეიმო ღონისძიებებს. წელს კი საპროტესტო აქციით აღინიშნა, რომლის მიზანია, წიგნით მოვაჭრეებმა და გამომცემლებმა აჩვენონ საზოგადოებას, რომ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მიუღებელია“.**

წიგნის მაღაზიების უმეტესობა, მართლაც, არ მუშაობდა, თუმცა ბანერი „წიგნის დღე წიგნის გარეშე“ ყველა დაკეტილ მაღაზიას არ ამშვენებდა. აქციას არ შეუერთდა პეკინზე არსებული „წიგნის სახლი“, „ბიბლუსი“ და „წიგნები ვაკეში“, სამაგიეროდ, შეუერთდნენ მეცნიერები და მწერლები, რომლებმაც საკუთარი მიმართვა „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნეს:

**„სასკოლო სახელმძღვანელოების სრულიად უსასყიდლოდ გადაცემა ძალზე მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელია მომავალი თაობის ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდის საქმეში. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამომცემლები და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები, მოსწავლეებთან ერთად, ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და მიგვაჩნია, რომ სამინისტროს ინიციატივა მათი ინტელექტუალური და კერძო საკუთრების ხელყოფის საფუძველზე არ უნდა განხორციელდეს. გამომცემელთა და ავტორთა ინტელექტუალურ საკუთრებაში უხეში ჩარევა დააზარალებს არა მხოლოდ ცალკეულ გამომცემლობებს, არამედ ზოგადად, საგამომცემლო საქმიანობას საქართველოში. სამინისტროს ამ ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, გამომცემლებთან ერთად, დავზარალდებით მეცნიერებიც, რადგან დამოუკიდებელი გამომცემლობები ხელს უწყობენ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას, რისი დაფინანსებაც ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვერ ხერხდება. ასე რომ, საგამომცემლო სფეროს ხელყოფა მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს მეცნიერებასაც, რომ არაფერი ვთქვათ უმუშევართა ახალ ტალღაზე, ამჟამად გამომცემლობებში დასაქმებული ადამიანების სახით, რაც მძიმე ტვირთად დააწვება როგორც მათ ოჯახებს, ისე ზოგადად, ქართულ საზოგადოებას... გვსურს, მივმართოთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, დაფიქრდეს, როგორი მნიშვნელოვანია კერძო ბიზნესი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის და რა დიდ როლს თამაშობენ დამოუკიდებელი გამომცემლები საქართველოს განათლების, ზოგადად კულტურისა და კონკრეტულად მწერლობისთვის“.**



## ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა ივნისის დასაწყისში გაიმართება

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ წარმომადგენელს, ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს , გრიგორი კარასინს შორის მორიგი შეხვედრა ივნისის პირველ რიცხვებში, სავარაუდოდ, პრაღაში გაიმართება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ზურაბ აბაშიძემ განუცხადა, შეხვედრაზე განიხილავენ იმ ნაბიჯებს, რომელიც ამ ფორმატის ამოქმედებიდან გადაიდგა.

**„პირადად ჩემი შეხედულება ასეთია, რომ ამ პერიოდში ხელშესახები შედეგები სახეზეა; კერძოდ, ქართული პროდუქციის, ღვინის, მინერალური წყლების, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების კუთხით. ალბათ, უახლოეს თვეებში ეს პროდუქცია რუსულ ბაზარზე დაბრუნდება. ასევე ვცდილობთ, რომ ყაზბეგისა და ლარსიის მარშრუტი ისე ფუნქციონირებდეს, რომ ამ სავაჭრო ურთიერთობებს და ქართული პროდუქციის ექსპორტს წინააღმდეგობა არ შეექმნას და ამ კუთხით, ზემო ლარსი-ყაზბეგის გამშვები პუნქტი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს“,** — აღნიშნა აბაშიძემ.

როგორც ზურაბ აბაშიძე აცხადებს, გრიგორი კარასინთან 1 მარტს გამართულ შეხვედრაზე, მისმა რუსმა კოლეგამ აღნიშნა, რომ მოსკოვში ფიქრობენ თუ როგორ შეიძლება გამარტივდეს საქართველოსთან სავიზო რეჟიმი.

**„საუბარია სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე და არა გაუქმებაზე მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიებისთვის და იმედი მაქვს, რომ შემდეგ შეხვედრაზე უფრო სრული სურათი გვექნება, თუ რას გულისხმობენ გამარტივების თვალსაზრისით“,** — განაცხადა აბაშიძემ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# NDI-ს ახალი კვლევის შედეგები

**„ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, კვლევა 13-27 მარტამდე პერიოდში ჩატარდა და სულ გამოიკითხა 3 103 ადამიანი.**

კვლევის მიხედვით, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გამოკითხულთა 75%-ს მოსწონს, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი — 25 %-ს. NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორის ლუის ნავაროს განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის მოწონების მაჩვენებელი, წინა კვლევასთან შედარებით, 5%-ით შემცირდა. სამაგიეროდ, კვლევის თანახმად, გაზრდილია პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის რეიტინგი, რომელიც გამოკითხულთა 66%-ს მოსწონს. 59%-ს მოსწონს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი, 58%-ს — ეკა ბესელია, 52%-ს კი — ზვიად ძიძიგური. აშკარად გაზრდილია უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის რეიტინგიც, რომელიც გამოკითხულთა 48%-ს მოსწონს. ამას ადასტურებს ლუის ნავაროც და აცხადებს, რომ წინა კვლევასთან შედარებით, დავით უსუფაშვილისა და დავით ბაქრაძის მაჩვენებლები გაიზარდა.

გამოკითხული მოსახლეობის 56% მიიჩნევს, რომ ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა. სხვა პარტიებთან მიმართებაში ხმები ასე გადანაწილდა: ლეიბორისტული პარტია — 2%, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – 1%, „თავისუფალი საქართველო“ – 1%, „დემოკრატიული მოძრაობა თავისუფალი საქართველო“ – 1%.

კითხვაზე, როგორ შეაფასებდით საქმიანობას, 73% პატრიარქის საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს, 16% — კარგად, 21% — საშუალოდ. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას გამოკითხულთა 28% ძალიან კარგად აფასებს, 35% - კარგად, 19% — საშუალოდ, 4% — ცუდად, 1% — ძალიან ცუდად. რაც შეეხება დავით უსუფაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარის საქმიანობას – ძალიან კარგად 6% აფასებს, კარგად აფასებს — 38%, ხოლო 33% — საშუალოდ, 3% — ცუდად. დავით ბაქრაძის საქმიანობას — 4% ძალიან კარგად აფასებს, 20% — კარგად, 40% — საშუალოდ, 15% — ცუდად, 1% — ძალიან ცუდად. მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას 3% აფასებს ძალიან კარგად, 13% — კარგად, 34% — საშუალოდ, ცუდად აფასებს — 26%, ხოლო ძალიან ცუდად — 12%. დედაქალაქის მერის გიგი უგულავას საქმიანობას გამოკითხულთა 3% ძალიან კარგად აფასებს, 11% — კარგად, 28% — საშუალოდ, 29% — ცუდად, 11% — ძალიან ცუდად. უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს 1%, 5% — კარგად, 17% — საშუალოდ, 32% — ცუდად, 18% — ძალიან ცუდად.

გამოკითხულთა 16% „ქართული ოცნების“ საქმიანობას აფასებს ძალიან კარგად, 39% — კარგად, 28% — საშუალოდ, 4% — ცუდად, 1% — ძალიან ცუდად. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობას გამოკითხულთა 3% აფასებს – ძალიან კარგად, 10% — კარგად, საშუალოდ – 31%, ცუდად – 29%, ძალიან ცუდად – 12%.

რაც შეეხება ქართულ ჯარს, მის საქმიანობას გამოკითხულთა 11% ძალიან კარგად აფასებს, 42% — კარგად, 27% — საშუალოდ. ქართული პოლიცია – გამოკითხულთა 7% მის საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს, 44% — კარგად, 30% — საშუალოდ, ხოლო 2% — ცუდად. საქართველოს პარლამენტის საქმიანობას 3% აფასებს ძალიან კარგად, 27% — კარგად, 46% — საშუალოდ, 4% — ცუდად. სასამართლოები – გამოკითხულთა 2% აფასებს ძალიან კარგად, 14% — კარგად, 37% — საშუალოდ, 14% — ცუდად, 4% — ძალიან ცუდად.

ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, გამოკითხულთა 60%-ის მოსაზრებებთან ყველაზე ახლოს კოალიცია „ქართული ოცნებაა“, თუმცა ნოემბერში ამ მიმართულებით სახელისუფლებო პარტიის რეიტინგი 63% იყო. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ოპოზიციური პარტია ყველაზე ახლოს გამოკითხულთა მხოლოდ 10%-თან დგას, ნოემბრის შემდეგ ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა. გამოკითხულთა 11%-ის შეხედულებებთან ახლოს არც ერთი პარტია არ დგას.

კითხვაზე, რომელი პოლიტიკური პარტია ან გაერთიანება შეძლებს შემდეგი საკითხების მოგვარებას, გამოკითხულთა 68% ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას „ქართული ოცნება“ შეძლებს; 4% მიიჩნევს, რომ ამის გაკეთებას ნაციონალური მოძრაობა მოახერხებს, ხოლო 5% მიიჩნევს, რომ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს.

გამოკითხულთა 67%-ს სოფლის მეურნეობის პრობლემების მოგვარებაში „ქართული ოცნების“ იმედი აქვს; 6%-ს კი ნაციონალური მოძრაობის; 66% მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის საკითხების მოგვარებას „ქართული ოცნება“ შეძლებს, ხოლო 7% უპირატესობას ნაციონალურ მოძრაობას ანიჭებს; დაახლოებით იგივე შედეგია და სულ რაღაც 1-2%-შია განსხვავება სამუშაო ადგილების, პენსიების, ციხეებში არსებული პრობლემების, სიღარიბის პრობლემისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, აქ ყველგან 62-65% უჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“, ხოლო 5-7% ნაციონალურ მოძრაობას;

რაც შეეხება ტერიტორიულ მთლიანობას, 59% მიიჩნევს, რომ მის მოგვარებას „ქართული ოცნება“ შეძლებს, ხოლო 6% — ნაციონალურ მოძრაობას ასახელებს; 58 % ფიქრობს, რომ კრიმინოგენური მდგომარეობის მოგვარებას „ქართული ოცნება“ მოახერხებს, ხოლო 9% — ნაციონალური მოძრაობას ანიჭებს უპირატესობას; ნატო-ში გაწევრიანებას 54%-ის აზრით, შეძლებს „ქართული ოცნება“, 11% კი, ამ მხრივ, „ქართული ოცნებას“ ენდობა. საქართველოს მოსახლეობის 60% მიიჩნევს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოა, ხოლო 10%-სთვის კი — ნაციონალური მოძრაობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მონაცემები, წინა კვლევასთან შედარებით, რომელიც ნოემბერში ჩატარდა, თითქმის არ შეცვლილა.

*„ვერსიანიუსი“*



## „26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზება გიორგი მარგველაშვილს დაევალა“

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზება აბსოლუტურად ლოგიკურად, ვიცე-პრემიერს გიორგი მარგველაშვილს დაევალა:

**„მე განვაცხადე, რომ 26 მაისს აუცილებლად იქნებოდა სამხედრო კომპონენტი. გვინდა, რომ მთლიანად ამ დღეს საერთო სახალხო ზეიმის ფორმა ჰქონდეს, მათ შორის რეგიონებშიც. გიორგი მარგველაშვილს დაევალა ამ ღონისძიებების კურირება, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია“.**

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით, შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების საორგანიზაციო კომისია, რომელიც მინისტრთა კაბინეტით დაკომპლექტდა. როგორც მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, კომისიის შექმნის გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიიღო და ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა.

აღსანიშნავია, რომ კომისიას ვიცე-პრემიერი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს. შემადგენლობაში კი შედიან, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი თაბუაშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი კოკა ყანდიაშვილი და პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ირაკლი მელაშვილი.

*„პირველი“*

ვერსიანიუსი

# ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფოსთვის გადაცემული ქონება მილიონობით ლარს შეადგენს

2004-2007 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 137 837 077 ლარი, 6 003 080 აშშ დოლარი და 10 100 ევრო, – ამის შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აქვეყნებს: **„როგორც აღმოჩნდა, 2004-2005 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 4 449 292 ლარი და 218 500 აშშ დოლარი შეადგინა, 2006 წელს ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ ჯამში 9 990 898 ლარი, 5 616 800 აშშ დოლარი და 10 100 ევრო შეადგინა, 2007 წელს კი ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 123 396 887 ლარსა და 167 780 აშშ დოლარს გადააჭარბა. სახელმწიფოს ამ პერიოდში ჩუქნიდნენ როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ქონებასა და სამეწარმეო წილებს.**

**ინფორმაციის დამუშავების პროცესში, რამდენიმე საეჭვო შემთხვევაც გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოსთვის ძვირადღირებული ქონების ჩუქების ან სიმბოლურ თანხად, 1 ლარად მიყიდვის „სურვილი“ სახელმწიფო კომპანიებს, მუნიციპალიტეტებს თვითმმართველი ქალაქების გარდა, მრავალ კერძო კომპანიასა და ფიზიკურ პირსაც უჩნდებოდა“,** — ნათქვამია ორგანიზაციის სტატიაში, რომლის მიხედვით, ამ პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ფიზიკურმა პირმა კურორტ „საირმეში“ 220 000 ლარად შეფასებული 3 694 კვმ ფართი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. შპს „სნაიპერმა“ 182 500 აშშ დოლარის ღირებულების 500 ცალი პისტოლეტი „იერიხო“ აჩუქა სახელმწიფოს.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ცალკეული ფიზიკური თუ იურიდიული პირები სხვადასხვა სახის ავტომანქანებს უსასყიდლოდ გადასცემდნენ სახელმწიფოს. მათ შორის ერთ-ერთმა ფიზიკურმა პირმა სახელმწიფოს 81 000 ლარის ღირებულების BMW მარკის ავტომობილი აჩუქა. 2006 წელს კომპანია „მათე მოტორსმა„ 66 497 ლარის ღირებულების „ტოიტა პრადო“ გადასცა სახელმწიფოს.

ამავე პერიოდში, შპს „გოგირდის აბანომ“ 650 000 აშშ დოლარად შეფასებული შენობა ნაგებობები გადასცა სახელმწიფოს. 2006 წელს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ღირებულების უძრავი ქონება — 1 227 554 ლარად შეფასებული თბილისში, დადიანის ქუჩა №28-ში მდებარე შენობა საერთო ფართით 412 კვმ და მისი მიწის ნაკვეთი ფართით 566 კვმ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.

2006 წელს სახელმწიფოსთვის ნაჩუქარ ქონებაში ფიგურირებს რიყის ტერიტორიაზე უძრავი ქონების ჩუქების ფაქტებიც. ამ ტერიტორიაზე უძრავ ქონებას სახელმწიფოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებიც ჩუქნიდნენ.

შვიდმა ფიზიკურმა პირმა თბილისში რიყის ტერიტორიაზე მდებარე 2 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ფართი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. შპს „ნატვრის ხემ“ კი ამავე ტერიტორიაზე 650 000 აშშ დოლარად შეფასებული უძრავი ქონება აჩუქა სახელმწიფოს.

2007 წელს შპს „ჯორჯიან ეარვეისმა“ 3 182 924 ლარის ღირებულების TOYOTA PRADO, TOYOTA CAMRY და TOYOTA HILUX-ის მარკის ავტომობილები (ჯამში 75 ერთეული) აჩუქა სახელმწიფოს.

2007 წელს გამოვლინდა ყველაზე მეტი შემთხვევა, როდესაც ფიზიკური პირები უსასყიდლოდ გადასცემდნენ სახელმწიფოს ქალაქის ცენტრში მდებარე უძრავ ქონებას. ჯამში, ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფოსთვის გადაცემული უძრავი ქონება რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს.

**„გამოვლენილი შემთხვევები ბადებს მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ ქონების სახელმწიფოსთვის მასობრივი გადაცემა ყველა შემთხვევაში არ ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს და არ ასახავდა ქონების მესაკუთრის ნებას. შესაბამისად, ჩვენი ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა დაზარალებულ პირს, მიმართოს ჩვენს სამართლებრივი დახმარების ცენტრს და გაიაროს შესაბამისი კონსულტაციები“,** — ნათქვამია ორგანიზაციის სტატიაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

გუბაზ მეგრელიძე

# ინგილოთა გოდება

**ინგილოთა მდგომარეობა 1921 წლიდან არ შეცვლილა. აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ მათი უფლებების უხეშად დარღვევა ჩვეულებრივ ნორმად იქცა. არც საქართველოს ხელისუფლებას გამოუჩენია განსაკუთრებული ყურადღება და თანამოძმეთა მხარდასაჭერად ხელი არ გაუნძრევია. მოსახლეობა სხვადასხვა ინსტანციაში გამუდმებით ჩიოდა, მაგრამ საბჭოთა „ძმურ ოჯახში“ თემიდა თვალდახუჭული რჩებოდა. წარმოუდგენელია ჩინ-მედლების მაძიებელ ქართველ ჩინოვნიკთა უსულგულო დამოკიდებულება. ისინი უთავმოყვარეოდ ხოხავდნენ მოსკოველი უფროსების წინაშე და ეროვნული თავმოყვარეობა ფეხქვეშ გათელეს. ინგილოთა მონურ ხვედრს გულგრილად უყურებდნენ ქართველების მტერი ხრუშჩოვი, რეალობის შეგრძნებას მოკლებული ბრეჟნევი, აზერბაიჯანისა და საქართველოს პირველი პირები და მინისტრები. ეს მდგომარეობა დღესაც შეუცვლელად რჩება.**

ქართული სახელმწიფოებრიობის დაუცველობამ, ეროვნულმა შეუგნებლობამ, ნიჰილიზმმა და ერთმანეთის გაუტანლობამ განაპირობა დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცებაც. ინგილოთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და გენოციდის მსგავსი რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მიმართ განხორციელებულიყო, პასუხისმგებელ პირებს სამაგალითოდ დასჯიდნენ. რაც უფრო კარგად ვექცევით მოძმე ერს, მით უფრო აუგად ეპყრობიან ქართველებს საინგილოში. ამის დამადასტურებელია მოყვანილი დოკუმენტებიც, რომელთა კომენტირება ზედმეტად მიმაჩნია და მკითხველიც შეძრწუნებული დარჩება.

ეს განცხადებები მამაჩემის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, **იოსებ მეგრელიძის** არქივში ინახება, რომლებიც სხვადასხვა დროს საინგილოში მცხოვრებმა ქართველებმა გადასცეს. მამას მათთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ვინაიდან 1926-29 წლებში, საინგილოში, ბაბუა — **ბართლომე მეგრელიძე**, მოღვაწეობდა ეროვნული სკოლების ინსპექტორად და იქ სამუშაოდ ქართველი მასწავლებლები: მოსე ქორიძე, იონა ჩიჩუა, გიორგი სალუქვაძე, არიადნა დეკანოსიძე, თალიკო გოგუაძე, შალვა ჩომახიძე ჩაიყვანა. რამდენიმე სკოლა თავადვე გახსნა, ხოლო ინგილო ბავშვები: ფილიმონ ფოლტაშვილი, ვახტანგ ტარტარაშვილი, ილარიონ ქიტიაშვილი, არესტაკეს მამახანიანი, ბაგრატ ივანიცკი და ალექსანდრე პაპიაშვილი თბილისის ინტერნატებსა და სხვა სასწავლებლებში მოაწყო. ამის შესახებ, თავად **ალ. პაპიაშვილი** იგონებს: **„კახიდან წნორამდე ურმით ჩამოვედით. ბართლომე ეტლით წამოვიდა და წნორის სადგურში დაგვხვდა. ჩვენ პირველად ვნახეთ მატარებელი და ვიძახდით — სახლები დადიანო. თბილისში განათლების სახალხო კომისარ მარიამ ორახელაშვილთან მივედით. ბართლომე მეგრელიძემ ჩვენი მდგომარეობა განუმარტა და საბავშვო სახლში ჩარიცხვა სთხოვა. მან უარი უთხრა — ადგილი არა გვაქვსო. ამ საუბრისას კაბინეტში შუა ხნის მანდილოსანი შემოვიდა, გადმოგვხედა, ალბათ დედაშვილური გრძნობა მოერია და მარიამ ორახელაშვილს უთხრა — მე მომეცით, ჩემთან არის ადგილიო. ეს ქალი, ქსენია იოსელიანი, თბილისის მთიელთა საბავშვო სახლის გამგე ყოფილა. ერთი კვირის შემდეგ, კოჯრის პირველ საბავშვო სახლში გაგვგზავნეს, რომლის დირექტორიც პატრიოტი ქართველი, გიგა ქიქოძე იყო. კოჯორში ყოფნა არ მოგვეწონა, ვიძახდით — ასეთი ტყე კახშიც გვაქვს-თქო. მე, როგორც ყველაზე უფროსს, დამავალეს, ბართლომე მეგრელიძე მენახა და მეთქვა, თუ თბილისში არ გადაგვიყვანდნენ, საინგილოში დავბრუნდებოდით. ბართლომე, ქალაქის საბჭოს გვერდით, ველიამინოვის 12-ში ცხოვრობდა. სწორედ იმ დროს მივედი, როდესაც სხვაგან მიდიოდა. ცხვირჩამოშვებულმა ვუთხარი ამხანაგების დანაბარები. იგი მდგომარეობას მიხვდა, სკამზე დამსვა და გულთბილად მელაპარაკა. არ დამავიწყდება, სწორედ ამ დროს ცილინდრიანმა კაცმა გაიარა. ბართლომემ მითხრა, თუ დარჩებით, ამ კაცივით ნასწავლი გამოხვალთ, თუ წახვალთ გაუნათლებლები დარჩებითო. კარგა ხნის საუბრის შემდეგ, დამარწმუნა, რომ მართლები არ ვიყავით. ჩემი თანხმობის შემდეგ მითხრა — ხელი ჩამომართვიო. ამ ხელის ჩამორთმევამ ისე იმოქმედა, რომ შევპირდი — პირობას არ ვუღალატებდი და ყველაფერს ამხანაგებს ვეტყოდი.**

**ბართლომემ ქალაქის საბჭოს წინ მდგარ ეტლში ჩამსვა, მეეტლეს ფული მისცა და კოჯრის საბავშვო სახლში აყვანა სთხოვა. მე, ამხანაგებს ყველაფერი გადავეცი და ვთქვი — პატივცემულ ბართლომეს პირობა მივეცი და არსად წავალ, თქვენ კი როგორც გინდათ, ისე მოიქეცით-თქო. რამდენიმე დღის შემდეგ, არესტაკეს მამახანიანი წავიდა. დანარჩენებმა უმაღლესი დავამთავრეთ და ვმუშაობდით. ფილიმონ ფოლტაშვილი სამამულო ომის დროს დაიჭრა, ცალი ფეხი მოკვეთეს და სეფსისით გარდაიცვალა. ბაგრატ ივანიცკი სამინისტროში მუშაობდა, ილარიონ ქიტიაშვილი კახის სკოლის დირექტორი იყო, ვახტანგ ტარტარაშვილი მასწავლებლად მუშაობდა. მე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვასწავლიდი“.**

ბართლომე მეგრელიძე ინგილოებში დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი მოსახლეობას მშობლიური ენის სიყვარულს უღვივებდა. იმ სოფლებში, სადაც, რელიგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ქართული სკოლები არ იყო, ქართული ენისადმი ინტერესი გაძლიერდა და სკოლებიც გაიხსნა. მისდამი ნდობა იმდენად გაიზარდა, რომ მომდევნო წელს 15, მესამე წელს კი 20 ბავშვი გაიგზავნა და თბილისის სკოლებში ინგილოთა რიცხვი თანდათან მატულობდა. ამას გარდა, მასწავლებლებთან ერთად დადგა დ. ერისთავის „სამშობლო“ და სოფიო ყულოშვილს პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადა. ასეთი იყო ბართლომე მეგრელიძის პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ამიტომაც ჩვენი ოჯახის მიმართ პატივისცემა დიდხანს შემორჩა. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ის დოკუმენტები, რომელთა ჩვენება ყველასთვის არ შეიძლებოდა და სახიფათოც იყო, ვინაიდან სუკ-ის მიერ მათი აღმოჩენისას, პატრონს კარგი დღე არ დაადგებოდა.



*საინგილო. 1927 წ. კახის 7-წლიანი ქართული სკოლა. მეორე რიგში: შუაში — ქართული სკოლების დამაარსებელი ბართლომე მეგრელიძე; მარცხნიდან პირველი — გაბრიელ ყულოშვილი; მარცხნიდან მეორე — მოსე ქორიძე; მარჯვნიდან პირველი — გიორგი ტარტარაშვილი.*

**სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს<br>სკკპ ცკ პირველ მდივანს<br>ამხ. ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვს**

**ძვირფასო ნიკიტა სერგეევიჩ!**

თქვენს სახელზე მოსკოვში ძალიან ბევრი განცხადება გავგზავნეთ. ამ განცხადებებს 200, 300 და მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი, მაგრამ ისინი თქვენ დაგიმალეს, შესაძლოა, ჩვენი ფოსტიდან არ გაგზავნეს. ბევრჯერ მივწერეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს და სტალინს. ჩავედით თბილისსა და ბაქოში, ვიმედოვნებდით, დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ ამაოდ. არავის უნდა ჩვენი მოსმენა და დახმარება. იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენს განცხადებებს ადგილზე ამოწმებდნენ და დახმარების ნაცვლად, წერილის ავტორებს დევნიდნენ, ამიტომ ეს განცხადება ახლა დავწერეთ და მოსკოვში ჩამოვედით.

ძალიან გთხოვთ, განცხადება წაიკითხოთ და ჩვენი სიმართლე შეამოწმოთ. ხომ არ შეიძლება, ჩვენს ქვეყანაში ასეთი უსამართლობა და ცინიზმი არსებობდეს.

ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი მშობლიური ენა ქართულია. 30 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს კახის, ზაქათალასა და ბელაქანის რაიონებში. უწინ მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო და ჩვენი ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. სპარსელების შემოსევის შემდეგ, მოსახლეობის ნაწილი განადგურდა, 100 000-ზე მეტი სპარსეთში წაიყვანეს, მათ ადგილზე კი 15 000-ზე მეტი მუსულმანი ჩაასახლეს. ვინც დარჩა, მუსულმანობის მიღებას აძალებდნენ. ეს XVII საუკუნეში იყო, მაშინ ჩვენს მხარეს საინგილო ეწოდა, რაც გამაჰმადიანებულს ნიშნავს. ჩვენს კახის რაიონში მოსახლეობის ნაწილი ქართველი ქრისტიანებია, ნაწილი კი — მუსულმანი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სერგო ორჯონიკიძის ბრძანებით, ჩვენი ტერიტორია რატომღაც აზერბაიჯანის სსრ-ს მიაკუთვნეს და კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებად დაყვეს. ჩვენ აზერბაიჯანის შემადგენლობაში არასდროს ვყოფილვართ და მაინც არასწორად გადაწყვიტეს. აზერბაიჯანის შემადგენლობაში 40 წლის ყოფნის მანძილზე, ყველა ერი ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით განვითარდა, ჩვენ კი ისეთ სიღარიბესა და უკანონობაში აღმოვჩნდით, ალბათ საბჭოთა კავშირში ჩვენს მეტი ასე არავინ ცხოვრობს.

საქართველოს ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს, ჩვენი რაიონის ხელმძღვანელები კი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ მშობლიური ქართული ენა მოგვისპონ და ქართული მოსახლეობის გამუსულმანებისა და გააზერბაიჯანელების პოლიტიკას ატარებენ. ამჟამად, ყოველ რაიონში მოსახლეობის 40-45% ქართველია. მიუხედავად ამისა, რაიონის აღმასკომში არც ერთი ქართველი არ მუშაობს (1954 წ. მონაცემით). ბევრი ქართველი სამსახურიდან მოხსნეს და გაათავისუფლეს, ზოგიერთი თვითონ წავიდა, ვინაიდან არანორმალური პირობები იყო შექმნილი. ამის გადამოწმება ძნელი არ არის და იმაში დარწმუნება შეიძლება, რომ ჩვენს რაიონში კადრებთან მუშაობის ლენინური პოლიტიკა ირღვევა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში არც ერთი ქართველი არ მუშაობს, სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი ქართველია. საქართველოში ასევე ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რომლებიც რაიკომის მდივნებად და რაიაღმასკომის თავმჯდომარეებად მუშაობენ. ორ მოძმე რესპუბლიკაში ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში რატომ არის ასეთი განსხვავება, განა ეს სწორია? ჩვენს ტერიტორიაზე ქართული კულტურის კვალის წასაშლელად, ადგილობრივი ხელისუფლება ქართული კულტურის უძველეს ძეგლებს ანადგურებს.

ნიკიტა სერგეევიჩ! თქვენ მართებულად აღნიშნეთ კაკლის ხეების მნიშვნელობის შესახებ. ჩვენთან კი კაკლის ხეებს ჩეხენ, შესანიშნავ კაკლის ხეებიან გზატკეცილს ანგრევენ. ქართული მოსახლეობის პროცენტული შემცირებისთვის ჩვენთან აზერბაიჯანელებს ასახლებენ, რისთვისაც ვაზის, კაკლისა და ხილის ბაღებს ანადგურებენ. ეს ხომ დანაშაულია!

ჩვენი რაიონის ხელმძღვანელები კოლმეურნეთა მრავალრიცხოვან, მრავალწლიან ძვირფას ნარგავებს სპობენ. კოლმეურნეებს გაუჩეხეს ვენახის ზვრები და ხილის ბაღები, მაგრამ კაპიკიც არ აუნაზღაურეს. განა შეიძლება სახალხო დოვლათისა და ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულება?

ყოველივე ამის შემოწმება და იმაში დარწმუნება შეიძლება, თუ როგორ გვექცევიან. ასეთი უსამართლობის ატანა შეუძლებელია. სოფლებში თასმალოსა და აზაგამში, სადაც ქართული მოსახლეობა ცხოვრობს, ქართული სკოლები დახურეს. გვეუბნებიან: აქ აზერბაიჯანია და სწავლა აზერბაიჯანულ ენაზეა საჭიროო. ბავშვებს არ შეუძლიათ აზერბაიჯანულ სკოლაში სწავლა, ვინაიდან აზერბაიჯანული ენა არ იციან. საბავშვო ბაღებში ჩვენი ბავშვებისთვის სპეციალური ჯგუფები იქმნება, რომ მათ ქართული ენა დაივიწყონ და აზერბაიჯანულ სკოლაში შესასვლელად ამზადებენ.

მეზობელ რაიონებში უფრო მძიმე მდგომარეობაა. მაგალითად, სოფელ ალიბეგლოში მოსახლე მილიციის საშუალებით აიძულეს, ქართულ სკოლაში შესვლაზე უარი ეთქვა. ამ საქმეში ადგილობრივ ხელისუფლებას დიდ დახმარებას უწევენ მუსულმანი მოლები. არავითარი ანტირელიგიური მუშაობა არ მიმდინარეობს. სოფელ მოსულში მხოლოდ 9 მასწავლებელია, მოლები კი მეტი. ისინი მოსახლეობას აშინებენ და ქართულ ენაზე უარის თქმას აიძულებენ. ისინი ამბობენ, რომ ქართველები ქრისტიანები არიან, თქვენ კი მუსულმანები, ამიტომ მუჰამედის ენაზე უნდა ილაპარაკოთ და აზერბაიჯანულ სკოლაში ისწავლოთო.

*გაგრძელება მე-14 გვერდზე*



ქურმუხის ეკლესია

*მე-13 გვერდიდან*

ამ მიზნით აქტივის კრებები იმართება, სადაც ქართული სკოლების დახურვის საკითხი წყდება. ერთ-ერთი ასეთი კრება ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადში 1957 წლის 30 აგვისტოს ჩაატარეს — რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. რიზაევმა, რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ბადრამოვმა, მტს-ის დირექტორმა ამხ. კურბანოვმა და მილიციის უფროსმა, რომლის გვარიც არ ვიცი, კრებაზე წინასწარ მომზადებული სტანდარტული განცხადება წაიკითხეს, მშობლებს უთხრეს, რომ მათ შვილებს აზერბაიჯანულ ენაზე უნდა ესწავლათ. მტს-ის დირექტორმა ამხ. კურბანოვმა თქვა: გთავაზობთ სამუშაოზე მიღების უპირატესობის მიცემას აზერბაიჯანული შვიდწლედდამთავრებულისთვის, ვიდრე ქართულ ენაზე მიღებულ უმაღლეს განათლებამიღებულისთვის.

კრების დამთავრების შემდეგ, მილიციის წარმომადგენელი კარში ჩადგა და დამსწრეთ ამ პირობებზე ხელის მოწერას აიძულებდა. ზოგიერთმა ხელი მოაწერა, დანარჩენები იძულებულნი გახდნენ, შვილები საქართველოს ბავშვთა სახლებსა და ინტერნატებში გაეგზავნათ, სადაც მათ არ იღებენ და არ ვიცით, რა ვიღონოთ.

ასე რომ, ქართულ სკოლებს თანდათან და გეგმაზომიერად ხურავენ. განცხადებების დაწერის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, ვინაიდან მათ ყურადღებას არავინ აქცევს. რაც ჩვენთან ხდება — ამის აღწერა შეუძლებელია.

გვიშველეთ, ძვირფასო ნიკიტა სერგეევიჩ! გთხოვთ, გვიშველოთ! ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა შეუძლებელია, რადგან კიოსკებში ქართულ წიგნებსაც კი არ ყიდიან. ჩვენთვის რადიო მშობლიურ ენაზე არ არსებობს. ქართულ ფილმებსაც არ უჩვენებენ.

ჩვენ არ ვიცით, ასე რისთვის დაგვსაჯეს და ასე რატომ გვეპყრობიან. მხოლოდ ვიცით, რომ აზერბაიჯანელებად უნდათ ჩვენი გადაგვარება, მაგრამ ამის გაკეთება განა შესაძლებელია? ვინ მისცა მათ ამის უფლება? ჩვენ არც გვეკითხებიან, ქართული გვარების აზერბაიჯანულად გადაკეთებას გვაიძულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურიდან გვყრიან, მაგრამ ასე შიმშილით სიკვდილი შეიძლება, ჩვენ ხომ შვილები გვყავს და ბევრი იძულებულია, ითმინოს და არანორმალურ ცხოვრებას შეეგუოს.

ჩვენ, როდესაც ვიჩივლეთ მოსახლეობის აღწერისას დაშვებული დარღვევების შესახებ, როდესაც აზერბაიჯანელებად ჩაგვწერეს, მოსკოვიდან ცსუ-ს მუშაკი ამხ. იუსუპოვი ჩამოვიდა — ისიც აზერბაიჯანელი და ყველაფერი ძველებურად დარჩა, არაფერი შეცვლილა.

ძვირფასო ნიკიტა სერგეევიჩ! სანამდე ვითმინოთ? ძალიან გთხოვთ, მიგვიღოთ და მოგვისმინოთ, მაშინ თქვენ გაიგებთ ჩვენს მდგომარეობას. გთხოვთ, უყურადღებოდ არ დაგვტოვოთ. ჩვენ მოსკოვში ვიმყოფებით და თქვენს პასუხს ველოდებით. პასუხის გარეშე ვერ დავბრუნდებით. ჩვენი ბედი ახლა უნდა გადაწყდეს. კიდევ ერთხელ გთხოვთ — გვიშველეთ.

დააბრუნეთ ჩვენი ტერიტორია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. ჩვენ აზერბაიჯანის შემადგენლობაში არასდროს ვყოფილვართ. ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი მიწა ქართულია.

**გამხარაშვილი მირვან ისაკის-ძე — კახის რაიონის სოფელ კახის მცხოვრები, სკპპ წევრი, ბელორუსიის გათავისუფლების მონაწილე, ასევე ფინეთისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე;**

**მამედოვა ხატიჯე ორუჯევის ასული — ზაქათალის რაიონის სოფელ ალიმბაზას მკვიდრი. ყოფილი დეპუტატი (ორგზის სტახანოველი), 1940 წ. სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის მონაწილე.**

**მისამართი: სასტუმრო „ალტაი“, კორპუსი №41, ოთახი 10.**

ეს განცხადება გაეგზავნა საქ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს, საქ. კპ ცკ მდივანს ვ. გოგიჩაიშვილს, საქ. სუკ-ის თავმჯდომარეს ა. ინაურს, საქ. შინაგან საქმეთა მინისტრს ე. შევარდნაძეს, საქ. კულტურის მინისტრს ო. თაქთაქიშვილს, საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გ. აბაშიძეს.

## გთხოვთ დახმარებას

დღეს ყველა განათლებულმა ქართველმა იცის, რომ აღმოსავლეთი კახეთი, ანუ საინგილო, საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და იქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ამ ქართველების ჩამომავალნი ვართ ჩვენ, კახის რაიონში მცხოვრები ქრისტიანი ქართველები.

დღეს ინგილოები განსაცდელში ვართ. ასეთი დევნა და ძალით ასიმილაცია ადრე არ გვქონია. ჩვენი გაჭირვების აღწერა ძნელია. აზერბაიჯანის კ.პ. ცკ-ის ყოფილმა პირველმა მდივანმა იმამ მუსტაფაევმა, რომელიც დაბადებულია კახის რაიონის სოფელ ამბარჩიში, კარგად იცის, როგორ მოსპოს ქართველობა. ჯერ კიდევ 1956-58 წლებში ყველა მუსულმანურ ქართულ სოფელში ქართული სკოლები ძალით აზერბაიჯანულად გადააკეთებინა, რომ ამით სარწმუნოება წართმეულთათვის ენაც წაერთმია, რაც ნაწილობრივად უკვე გააკეთეს.

საინგილოში, კახი სოფელ თოფახთან ერთად, წარმოადგენდა ქრისტიანი ქართველების კომპაქტურად დასახლებულ კუთხეს. ამ 15 წლის წინ იმამ მუსტაფაევმა ყალბი რუკა შეადგინა, თითქოს მჭიდროდ დასახლებულ კახის მაგიერ ბუჩქნარი ყოფილიყოს. სოფელი კახი ქალაქად გადააკეთა და მის ჩრდილო ნაწილში ფართო ქუჩების გაყვანა დაიწყო მაშინ, როდესაც სამხრეთით მინდორია და იქ ქალაქის გაშენებაც შეიძლება. კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთიდან 0.7 ჰა დაუტოვეს. დანარჩენი 14 მეასედი ჩამოართვეს. ვენახი, ხეხილი გაუკაფეს და მეზობლად ორ-ორი აზერბაიჯანული ოჯახი ჩაუსახლეს (ჩამოჭრილ ნაკვეთებს ინგილოებს არ აძლევენ).

გასულ წლებში ორჯერ მოხდა ინგილოების ასეთი აწიოკება, საკარმიდამო ნაკვეთებში ხეხილის, ვენახის გაკაფვა, სახლებისა და ქვითკირის ღობეების დანგრევა.

1970 წლის 7 დეკემბერს, კახის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ქართველების საკარმიდამო ნაკვეთებში ბულდოზერი შეუშვეს, მოსავლის მომცემი ვენახები და ხეხილის ბაღები გაანადგურეს. ქვითკირის ღობეები და სახლები დაანგრიეს. ეს ყველაფერი ხდება რაიონის ხელმძღვანელობის დასწრებით და განკარგულებით. გამწარებული გლეხები ჩხუბობენ, ზოგი ბულდოზერის წინ წვება, მაგრამ ბოლოს, განკარგულება მაინც სრულდება. საკარმიდამო ნაკვეთებს გვინადგურებენ.

რაიონის ხელმძღვანელობამ გამოგვიცხადა, რომ ნგრევაში მოყოლილი ხეხილის, ვაზებისა და სხვა საფასური არ მოგეცემათ და სადაც გინდათ გვიჩივლეთო. მათ იციან, რომ აზერბაიჯანის კ.პ. ცკ-ს მდივანი ამ ვერაგულ საქმეში მხარს უჭერს.

თვალცრემლიანი და დაბოღმილი კახის კოლმეურნეობის წევრები ცოლ-შვილის შემნახავ განადგურებულ კარ-მიდამოებს უყურებენ. მათ შორის ჩემი ძმები და ძმისშვილებიც.

ჩვენ რვა და-ძმა ვიყავით. მამაჩემი რთველის დღეს უფლებას გვაძლევდა, ვენახში ჩხები და აკიდოები აგვეჭრა. ამ დღეს ჩვენს შორის დიდი სიხარული და მხიარულება სუფევდა. ერთი-მეორეს ვეჯიბრებოდით უკეთესი ჩხისა და აკიდოს აჭრაში. ამავე დღეს ვკლავდით ჭედილას. იმართებოდა ქეიფი, ძველი ღვინით ახალ მოსავალს ვლოცავდით. როდესაც ამ განადგურებულ საკარმიდამოს ვუცქერდით, თვალწინ მშობლებთან და და-ძმებთან ერთად ბავშვობა წარმომიდგა — ბაღ-ვენახის მოვლა და მხიარულება, ხეხილისა და თხილის მოსავლის აღება, ვენახის ღობეების მყუდრო ნაპირებში იების კრეფა. ჩემს თვალწინ ეს ყველაფერი უსიცოცხლოდ ეყარა. წარსულის მოგონებით მეც ცრემლი წამსკდა. დღემდე არავითარ გაჭირვებას და სიმწარეს ასე არ აუტირებივარ.

1921 წელს, ყვარყვარე თუთაბერის მიერ საინგილოს გასხვისებამ, ამ მხარის ქართველებს დიდი უბედურება მოგვიტანა. სამნახევარ საუკუნეზე მეტია, ამგვარ ტანჯვაში ვართ და ჩვენი საშველი არ გამოჩნდა. საინგილოსა და ფერეიდანში მრავალტანჯული პაპიაშვილები, მოსახლეობასთან ერთად, ამგვარ დღეში ვართ.

ჩამოდით, ნახეთ ჩვენი უბედურება და დაგვეხმარეთ, ვისაც შეგრჩენიათ ქართული მამაპაპური თვისებები. შველას მხოლოდ თქვენგან ველით.

*ალექსანდრე ივანეს-ძე პაპიაშვილი*
*ქ. თბილისი, 28 დეკემბერი, 1970 წელი*

* * *

**სკპპ ცკ გენერალურ მდივანს ამხ.**
**ლ. ი. ბრეჟნევს**
**ასლი: გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციას**
**საქ. კპ. ცკ პირველ მდივანს**
**ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს**

აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი მხარის კახის, ზაქათალისა და ბელაქანის სამი რაიონი საინგილოს სახელითაა ცნობილი „ისტორიულად ის მიეკუთვნება საქართველოს პროვინციალ ჰერეთს“ („ზოგადი გეოგრაფიის ნარკვევები“. სსრკ აზიური ნაწილი, ს. პ. ტოლსტოვას, მ.გ. ლევინის, ნ.ნ. ჩებოკსაროვის რედაქციით. მ. 1960, გვ. 95). საინგილო, იგივე ზაქათალის მხარე 1921 წლამდე საქართველოს ეკუთვნოდა (იხ. გაზ. „პრავდა“, 1921, 9 მაისი, 99). 1921 წელს, როცა ის აზერბაიჯანის სსრ-ს შეუერთდა, ცხოვრობდნენ ქართველები და ლეკები.

საინგილოს ქართველები — ისტორიულად ბევრი ჭირ-ვარამგადატანილი ხალხია, რომლის ნაწილმაც გასაბჭოებამდე ქრისტიანობა შეინარჩუნა, ნაწილმა 1864 წელს საბოლოოდ მუსულმანობა მიიღო. ბოლო დროს საინგილოში მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. ადგილობრივი მთავრობა, აზერბაიჯანის კპ ცკ-ის მხარდაჭერით, ინგილოებს მაქსიმალურად ავიწროვებს. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში, ბაქოსა და თბილისში არაერთხელ იგზავნებოდა განცხადებები და გლეხთა დელეგაციები, მაგრამ დახმარება არც ერთი მხრიდან არ ჩანს. ამჟამად მოგმართავთ ერთი საკითხის გამო და დახმარებას გთხოვთ.

როგორც ზემოთ ითქვა, გასაბჭოების დროს ინგილოთა ნაწილი ქრისტიანი იყო. ამ პერიოდში ყველა ქრისტიანული და მუსულმანური სამლოცველოები დაიკეტა. გარკვეული



კახის ქართველთა სასაფლაო



*კახის ეკლესია*

დროის შემდეგ, აზერბაიჯანის უმაღლესი ორგანოების დახმარებით და აზერბაიჯანის კპ ცკ-ის იმამ მუსტაფაევის პირადი ჩარევით, ამ რაიონში რამდენიმე მეჩეთი აღადგინეს, სადაც რელიგიური მსახურება დიდი წარმატებით ტარდებოდა. ყოველ სოფელში რამდენიმე მოლა მსახურებს. ამის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლება კარგად არის ინფორმირებული. რაც შეეხება ქრისტიანულ ეკლესიებს, ჩვენი მრავალრიცხოვანი განცხადებების მიუხედავად, არც ერთი არ გახსნილა.

საინგილოში უძველესი დროიდან ასეთი ჩვეულება არსებობს. შემოდგომაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, წმ. გიორგის დღესასწაული იმართებოდა. ამ დღესასწაულის შემდეგ, ხალხი თავის ოჯახურ საქმეებს აგვარებდა: იწყებოდა ქორწილები, ნათლობები და სხვა. ეს დღესასწაული ნოემბრის მეორე ნახევარში, კვირაობით, ქურმუხის ეკლესიის მიმდებარედ იმართება, რომელიც V-X11 საუკუნეებში გიშქურმუხის ეპისკოპოსის რეზიდენციას წარმოადგენდა და საქართველოს საეკლესიო ეპარქიაში 35-ე ადგილზე იმყოფებოდა. ამ დღესასწაულში ქართული მოსახლეობის გარდა, მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები და ლეკები — ვინ ლოცულობდა, ვინ მხიარულობდა. დღის ბოლოს ყველა თავის სოფელში ბრუნდებოდა.

1970 წლის 22 ნოემბრის კვირას, ჩვეულებისამებრ, ჩვენ ამ დღესასწაულისთვის ვემზადებოდით. შემდგომ გაირკვა, რომ ამ დღის ჩაშლისთვის კახის რაიკომის პირველი მდივანი ასიათ იუსუფოვა ემზადებოდა. მან წინასწარ გააფრთხილა რაიონის ხელმძღვანელობა, მილიცია, კოლმეურნეობებისა და მეურნეობების თავმჯდომარეები, კახის, ზაქათალისა და ნუხის რაიონების ავტოსატრანსპორტო გაერთიანებების ხელმძღვანელები, რომ ეს სახალხო ზეიმი ჩაეშალათ და განკარგულება გაიცა დღესასწაულის ადგილამდე ტრანსპორტი არ გაეშვათ. მანამდე კი დასახლებული პუნქტიდან 5-10 კილომეტრია.

22 ნოემბრის დილას, მილიციამ ეკლესიისკენ მიმავალი ყველა გზა გადაკეტა. ამან მილიციის წარმომადგენლებთან კოლმეურნეთა დაპირისპირება გამოიწვია. ბოლოს და ბოლოს, აღელვებულ კოლმეურნეთა ნაწილმა რკალი გაარღვია და ზეიმის ადგილისკენ ფეხით წავიდა, ნაწილი კი სახლში დაბრუნდა. მილიციამ აქვე, დროებით მსუბუქი მანქანა ჩამოართვა ვეტერინარ არსენ პაპიაშვილს, ხოლო პედაგოგ პეტრე ბაჩალიაშვილს იგივეთი ემუქრებოდნენ.

საინგილოში ამ დღეს, სატვირთო მანქანით მივლინებით ჩამოვიდა თბილისის პროფტექნიკური სასწავლებლის მძღოლი, რომ ამ ტექნიკუმის მოსწავლეები წაეყვანა. ჩვენი თხოვნით, მძღოლს ზეიმის ადგილამდე უნდა მივეყვანეთ, მაგრამ მილიციამ მანქანა არ გაატარა. აქ მოხდა მგზავრთა და მილიციის წარმომადგენელთა დაპირისპირება. ქალებმა მილიციონერს ქუდი მოხადეს, ის კი იარაღით ემუქრებოდა. მანქანა დააკავეს. მძღოლს სამივლინებო ბარათი და საგზური ჩამოართვეს.

ეს ინციდენტი მილიციის თანამშრომლებმა ფოტოაპარატით გადაიღეს. საინგილოში მღვდელი არ არის, ვინაიდან დღემდე ქრისტიანული ეკლესიები დაკეტილია. ამ დღეს საქართველოდან მღვდელი ჩამოვიდა, მაგრამ მილიციამ ის დააკავა. ბავშვების მონათვლა არ შედგა.

შაჰ-აბასი და ირანის მომდევნო შაჰები რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეროვნებისა და ქრისტიანობის წართმევას ცდილობდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ, დღემდე ორივე შევინარჩუნეთ. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი, როდესაც ქვეყანას კომუნისტური პარტია მართავს და ცხოვრებაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკა ტარდება, ჩვენ ეროვნებასა და ქრისტიანულ რწმენას გვართმევენ, გვამცირებენ და გვავიწროებენ.

ახლა ვნახოთ, საინგილოში რა დამოკიდებულებაა მაჰმადიანურ სარწმუნოებასთან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უკანასკნელ წლებში, საინგილოს სამივე დასახელებულ რაიონში, ასევე ნუხში მეჩეთები აღადგინეს. მაჰმადიანური მოსახლეობა ყველა რელიგიურ მსახურებას ასრულებს. ლოცვები არა მარტო საინგილოში აღესრულება, არამედ ათასობით ადამიანი ჩრდილოეთ კავკასიაში მიემგზავრება. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობს, გამოჰყოფს ავტობუსებს და ათობით სატვირთო მანქანებს (ამის დამადასტურებლად იხ. ი. ი. დათუნაშვილი „მასალები და დახასიათება რელიგიურობის თანამედროვე მდგომარეობისა აზერბაიჯანის სსრ-ს ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონებში. თანამედროვე რელიგიური სარწმუნოებების კონკრეტული გამოკვლევები“, მ. 1967). შეიძლება მეტიც ითქვას. პარტრაიკომის პირველი მდივანი ასიათა იუსუპოვა, რომელიც ძალიან გვავიწროებს, პირადად ხელს უწყობს მაჰმადიანური რელიგიის გაძლიერებას. მამამისი, მეჯმეტინი მთავარ მოლად ითვლება. ის ხშირად დადის რაიკომის „ვილისით“ ზაქათალის, ბელაქანის და ნუხის მეზობელ რაიონებში. მთავარი მოლები მათთვის მიღებული ჩვეულებებით, ერთად დადიან დასაფლავებებზე, ნათლობებზე.

საინგილოს ხელმძღვანელთა დავალებით, ქრისტიანული კულტურის ძეგლები ნადგურდება. ასიათა იუსუპოვამ კახში დაანგრია ალავერდის ირგვლივ აშენებული გალავანი. გაანადგურა სასაფლაო. ახლა კი ეკლესიაში აბანოს მოწყობას აპირებს. ამ ღონისძიებებში მონაწილეობენ და ეხმარებიან აზერბაიჯანის კპ ცკ ყოფილი პირველი მდივან იმამ მუსტაფაევიდან დაწყებული და დღევანდლით დამთავრებული. კახში მცხოვრები ქართველების აქტიური ასიმილაცია დაიწყო ჯერ კიდევ იმამ მუსტაფაევის დროს. სოფელი კახი მან ქალაქად გადააქცია, 165 ქართულ ოჯახს საკარმიდამო ნაკვეთები წაართვა და ამ ნაკვეთებზე საოცრად ფართე ქუჩები გაიყვანა, ბაღებისა და ვენახების ამოძირკვის ზარალი არ აუნაზღაურა და ყოველი ქართული ოჯახის გვერდით, ორ-ორი ლეკური და აზერბაიჯანული ოჯახები დაასახლა. კონკრეტულად, 1970 წლის 7 დეკემბერს, რაჟდენ გიორგის-ძე პაპიაშვილის 6-სულიან მცირეწლოვან ოჯახს საკარმიდამო ნაკვეთი დაურბიეს (15 მეასედი). გაუნადგურეს: 600 ძირი ვენახი, 23 ძირი ქლიავი, 9 ძირი ალუბალი, 10 ძირი ვაშლი, 5 ძირი მსხალი, 16 ძირი თუთის ხე.

ამას წინათ, გივი ერასტის-ძე პაპიაშვილი (მისი მამა გარდაცვალებამდე შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა) დაობლდა. ოჯახში 7 სული მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა. მათ შორის ყველაზე უმცროსი 6 წლისაა და ერთი ბრმა. მას დაურბიეს 16 მეასედი საკარმიდამო ნაკვეთი მსხმოიარე ნარგავებით: 700 ძირი ვენახი, 30 ძირი ქლიავი, 20 ძირი თუთის ხე, 3 ძირი ბალი და ა. შ.

კაციაშვილის სახლი მშენებარე გზაზე დგას. სახლის აღება უნდათ, მაგრამ სახლის ასაშენებლად სახელმწიფო შეფასებით უმნიშვნელო თანხას აძლევენ. კაციაშვილის ოჯახი სახელმწიფოს სთხოვს ისეთივე სახლის სხვა ადგილზე აშენებას. აქამდე ეს საკითხი ვერ გადაწყდა. ხალხის უკმაყოფილების მიუხედავად, რაიონის ხელმძღვანელობა გზას მაინც აფართოებს, რაც ხალხისა და ხელმძღვანელთა დაპირისპირებას იწვევს. ასე აღარიბებენ დასახლებულ რაიონს.

რაიონის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ განადგურებულ ნარგავებს არ აანაზღაურებენ — სადაც გინდათ, იჩივლეთო. ქართული სკოლა დანგრეულია და აქამდე არ აშენებულა. სოფელი კახი ისეა განლაგებული, რომ ძალიან ბევრია დაუსახლებელი ადგილები და ქალაქის ასაშენებლად მოსახერხებელია. ასე რომ, არაა აუცილებელი მშვიდობიანი მოსახლეობის ნაკვეთების განადგურება. ქართული მოსახლეობის გაღარიბება ასიმილაციისთვის შეგნებულად მიმდინარეობს.

1970 წლის 12 დეკემბერს, დარბევის ადგილზე აქტი შევადგინეთ, რასაც ესწრებოდნენ შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე თედორე ვახტანგის-ძე ყულოშვილი, ნიკოლოზ არჩილის-ძე შარვაშიძე, გიორგი გიორგის-ძე პაპიაშვილი, ისაკ ქრისტეფორეს-ძე პაპიაშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე პაპიაშვილი.

იმავე იმამ მუსტაფაევმა ქართულ-მუსულმანური სოფლების ყველა ქართული სკოლა აზერბაიჯანულ სკოლებს გადასცა, რომელთაგან ნაწილი კვლავ ქართულ სკოლებს დაუბრუნა.

ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებებში კახის რაიონის ხელმძღვანელებს მხარს უჭერს აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტი.

სანამდე უნდა გვავიწროებდნენ? ნუთუ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლება ასე დაუცველად ყოფნა?

გთხოვთ, გამოგზავნოთ ობიექტური კომისია, მოსკოვის, თბილისისა და ბაქოს წარმომადგენლებისგან. ზემოთქმული მათ შეამოწმონ, საკუთარი თვალით დაინახონ ჩვენი გაუბედურებული მდგომარეობა და ობიექტური დახმარება გაგვიწიონ. ისეთივე პირობები შეგვიქმენით, როგორშიც მეზობელი მუსულმანები ცხოვრობენ. თუ მათ ათობით მოლები ჰყავთ, ნება მოგვეცით, ერთი მღვდელი მაინც გვყავდეს. ნუ გვიშლიან ჩვენი რელიგიური მსახურების აღსრულებას, როგორც ამას მუსულმანებს არ უშლიან.

***კახის რაიონის ქართველთა სახელით. 1971 წელი***



*ავტორის ფოტოები*

*კახის ეკლესიის ქართველთა სასაფლაო*



# ჰოროსკოპი

## 24 აპრილი

**ვერძი** — დღეს ფინანსური დანაკარგი გელით. სახლში დაძაბული ატმოსფერო იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. მთავარია, პესიმიზმში არ გადავარდეთ და ყველაფერი დალაგდება. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

**კურო** — დღეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პრობლემები შეგექმნებათ, შესაძლოა, ძველი დოკუმენტების მოძიებაც დაგჭირდეთ. ეცადეთ საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, მხოლოდ ასე შეძლებთ ამ საკითხთან დაკავშირებული უსიამოვნებების აცილებას.

**ტყუპები** — ეს დღე მოულოდნელობებით იქნება სავსე. ძალიან გაგიჭირდებათ, თავი აარიდოთ ცდუნებას, სხვა ადამიანების ნეგატიურ გავლენასა და მავნე ჩვევებს. სჯობს, ნაკლები იწუწუნოთ უბედობასა და გარშემომყოფთა მხარდაჭერის არარსებობაზე.

**კირჩხიბი** — დღეს არის შანსი, რომ უსიამოვნო სიტუაციაში გაეხვიოთ. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეგობრებსა და ახლობლებთან ურთიერთობას უნდა მოერიდოთ. მიიწვიეთ ისინი სტუმრად და გამოუსწორეთ განწყობა საკუთარ თავსაც და ახლობლებსაც.

**ლომი** — კარგი იქნება, თუ პირად საქმეებს თავს დაანებებთ, მეორე ნახევართან ურთიერთობამ, განსაკუთრებით კი, სადავო საკითხების გადაწყვეტამ, შესაძლოა, დასანან შედეგებამდე მიგიყვანოთ, სამაგიეროდ, მატერიალურ საკითხს მოაგვარებთ წარმატებით.

**ქალწული** — ვარსკვლავები ურჩევენ ქალწულებს, მონაწილეობა მიიღონ ოჯახურ დღესასწაულებში, გაიხსენონ წინაპრების ტრადიციები და საკუთარი გვარის ისტორიას ჩაუღრმავდნენ. წარსულთან შეხება დაგეხმარებათ, ადვილად გადალახოთ წინააღმდეგობები მომავალში და დასახულ მიზანსაც ადვილად მიაღწევთ.

**სასწორი** — ეცადეთ, დღეს გაწონასწორებული იყოთ, რადგან მცირე უზუსტობაც კი სამომავლო გეგმებს ჩაგიშლით და ჩაფიქრებულის რეალიზაციას ვერ მოახერხებთ. ნაკლებად უსმინეთ გარშემომყოფთა რჩევებს და მხოლოდ საკუთარ ინტუიციას ენდეთ.

**ღრიანკალი** — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს. არაა გამორიცხული, თქვენი მეორე ნახევრის ნათესავებმა რჩევისა და დახმარებისთვის მოგაკითხონ.

**მშვილდოსანი** — დღეს მშვიდი და წყნარი დასვენება აქტიურ მოქმედებას სჯობს. თავი აარიდეთ ხმაურიან გამპანიებსა და მასობრივ ღონისძიებებს. წვეულებებზეც უარი თქვით, კარგი წიგნი, სასიამოვნო მუსიკა და თბილი ოჯახური ურთიერთობა ახლა ძალიან წაგადგებათ.

**თხის რქა** — დღეს შესაძლოა საინტერესო წინადადება მიიღოთ საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შეცვლის თაობაზე, ეს მართლაც შეცვლის ვითარებას უკეთესობისკენ, მაგრამ არ ღირს მაშინვე დათანხმება, ჯერ ყველაზე ახლობელი ადამიანების მოსაზრებაც მოისმინეთ.

**მერწყული** — დღეს ადვილად შეძლებთ პატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული დანაკარგი ადრინდელი ფინანსური მოქმედებების გამო. ეს გამოვლინდება ფულად გადარიცხვებში, რაც ადრესატამდე არ მივა.

**თევზები** — დღეს ნუ დარჩებით მარტო და თავს ნუ გაიწამებთ მოგონებებით. გამოცოცხლდით, გაერთეთ მეგობრებთან, წადით სხვადასხვა ღონისძიებაზე... ვარსკვლავები გირჩევენ, დღე აქტიურად გაატაროთ და შემდეგ ოჯახის წევრებსაც გაუზიაროთ შთაბეჭდილებები.

# სიცილი ერთ დოლარად

ამერიკელმა კომიკოსმა ჯეისონ შნაიდერმა ხუმრობით ფულის შოვნის ახალ მეთოდს მიაგნო — იგი ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში მოსეირნეებს ერთ დოლარად ანეკდოტს უყვება. მას შემდეგ, რაც მისთვის ადგილი არც ერთ სატელევიზიო შოუში არ აღმოჩნდა, 26 წლის კომიკოსმა გადაწყვიტა, ხალხის გართობით ეშოვა ფული და სულ რაღაც ექვს საათში, შნაიდერმა 140 დოლარი მოაგროვა. მალე მედიის ყურადღების ცენტრშიც მოექცა, თუმცა ამბობს, რომ ეს სულაც არაა იოლი სამუშაო, რადგან ახალი ანეკდოტების მოფიქრებას დიდი დრო სჭირდება.




## შენდომა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 8 | 3 | 1 | 7 | 6 | 5 | 9 |
| 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 6 | 5 | 7 | 4 | 8 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 2 | 3 | 4 |
| 8 | 5 | 3 | 7 | 2 | 4 | 1 | 9 | 6 |
| 6 | 2 | 4 | 1 | 3 | 9 | 5 | 8 | 7 |
| 5 | 8 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 1 | 2 |
| 9 | 3 | 2 | 6 | 8 | 1 | 4 | 7 | 5 |
| 4 | 7 | 1 | 5 | 9 | 2 | 8 | 6 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 8 | 3 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 7 | 6 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 |
| 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 4 | 8 |
| 8 | 3 | 1 | 9 | 6 | 7 | 5 | 2 | 4 |
| 6 | 2 | 4 | 5 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 |
| 7 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 3 | 6 |
| 3 | 8 | 2 | 7 | 4 | 9 | 6 | 5 | 1 |
| 5 | 6 | 7 | 2 | 1 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 4 | 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 2 | 7 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 9 | 7 |
| 2 | 3 | 9 | 1 | 7 | 6 | 4 | 5 | 8 |
| 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 |
| 4 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 7 | 5 | 1 | 8 | 4 | 3 |
| 5 | 7 | 3 | 6 | 8 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 9 | 4 | 8 | 1 | 2 | 5 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 2 | 4 | 3 | 5 | 9 | 8 | 1 |
| 8 | 5 | 1 | 9 | 6 | 7 | 3 | 2 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 5 | 2 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 4 | 6 |
| 4 | 1 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 3 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 8 |
| 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 2 | 7 | 3 | 8 | 4 | 9 | 5 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 9 | 5 | 8 | 6 | 2 |
| 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 7 |



# წინა ნომერში გასული
## სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები





# ჰოროსკოპი

## 25 აპრილი

***ვერძი*** — დღე, შესაძლოა, არც ისე სასიამოვნოდ დაიწყოს. ვიღაც საკუთარი თხოვნითა თუ პრეტენზიებით გაგაღიზიანებთ, თუმცა შუადღისკენ სიტუაცია შეიცვლება და თქვენი განწყობაც გამოსწორდება. და მაინც, უკეთესი იქნება, თუ დროს მარტოობაში გაატარებთ.

***კურო*** — ვარსკვლავები არ გირჩევენ, დღეს ცხოვრებაში რაიმე შეცვალოთ, სამაგიეროდ, დაწყებული საქმეები წარმატებით დასრულდება, არ ღირს ზედმეტად გადაიტვირთოთ საქმეებით, გამონახეთ დრო დასვენებისა და ახლობლებთან ურთიერთობისთვის.

***ტყუპები*** — მეორე ნახევართან ურთიერთობაში დაძაბულობამ და გაუგებრობამ, შესაძლოა, დღეს ნერვები აგიშალოთ, მაგრამ ყველაფერი ისე არ არის, როგორც თავიდან მოგეჩვენებათ. პატარა კამათიც კი დღის ბოლოს თბილი გრძნობების მოზღვავების ახალ ტალღად იქცევა.

***კირჩხიბი*** — დღეს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე ფიქრებში იქნებით გართული. მოგიწევთ, განიხილოთ შეთავაზება, რომელიც ცოტა ხნის წინ ნაცნობისგან მიიღეთ, თუმცა გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდით. დაფიქრდით — მხოლოდ ასე შეძლებთ, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოთ შემოსავლები.

***ლომი*** — დღე ლომებისთვის მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე მოვალეობა მთელ ენერგიას წაიღებს. საღამოს, გირჩევთ, მეტი დრო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან. დღის განმავლობაში ახალი იდეები გაგიჩნდებათ, რაზეც დაფიქრება ნამდვილად ღირს.

***ქალწული*** — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის. ჰარმონიული დღეა ფინანსების მხრივაც. სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა და მობილიზება გამოიჩინეთ.

***სასწორი*** — ახლა განწყობას ყველაზე მეტად სტუმრად წასვლა გაგიუმჯობესებთ. მზად იყავით იმისთვის, რომ ერთდროულად რამდენიმე განსხვავებულ მიპატიჟებას მიიღებთ, წადით იქ, სადაც თავს თავისუფლად, კომფორტულად იგრძნობთ და სადაც თქვენი ნახვა ნამდვილად გაუხარდებათ.

***ღრიანკალი*** — დღეს დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან უსიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობაც განაახლოთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელის — ეს ყველაფერი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გართულების ალბათობაც დიდია და დაშორების რისკიც. დაეხმარეთ გარშემომყოფებს და ისინი თქვენი დიდი მადლობლები იქნებიან.

***თხის რქა*** — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. აუცილებლად გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ. ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა.

***მერწყული*** — თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ. იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. საყვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები კი, შეიძლება, ჩიხში შევიდეს.

***თევზები*** — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისთვის. დღეს ტყუილის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და ნუ გაჯიუტდებით — მოგეცემათ საშუალება, ჩანაფიქრი მოკლე ხანში აისრულოთ. დღეს დიდი ალბათობაა ახალი რომანტიკული კავშირისა.

# პროფესიას საკუთარ ქორწილშიც არ უღალატა

ჩინელმა ჟურნალისტმა ჩენ ინგმა, პროფესიული მოვალეობის გამო, საკუთარი ქორწილი მიატოვა და გადაღებაზე გაიქცა, რათა მოსახლეობისთვის ძლიერი მიწისძვრის შესახებ ეცნობებინა, რომელიც ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში მოხდა. საქორწინო კაბასა და ფატაში გამოწყობილმა პატარძალმა პირდაპირ ეთერში ისაუბრა სტიქიური უბედურების შესახებ, მაყურებელს უახლესი ინფორმაცია მიაწოდა და რამდენიმე ინტერვიუც ჩაწერა მიწისძვრით დაზარალებულებთან. ეს ინფორმაცია უმალ გავრცელდა ჩინურ სოციალურ ქსელში. ტრაგიკულ მომენტში გამოჩენილი პროფესიული სულისკვეთებისთვის, ჟურნალისტის ქმედებას საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა.



# ბეჭდვისას დაშვებული შეცდომები



უმცირესი შეცდომაც კი, შესაძლოა, დიდ უსიამოვნებად გადაიქცეს და ზარალმა ასობით მილიონ დოლარს მიაღწიოს.

რამდენიმე ასეთ შემთხვევას გაგაცნობთ:

ნასას „დაკარგული“ დეფისი. ზარალი: 80 მილიონი დოლარი — დეფისი არც ისე მნიშვნელოვანი სასვენი ნიშანია, მაგრამ 1962 წელს ხომალდის კომპიუტერის კოდში სწორედ მისი არარსებობა აშშ-ს კოსმოსურ სააგენტოს 80 მილიონი დოლარი დაუჯდა. საუბარია ვენერაზე გასაგზავნ კოსმოსურ აპარატზე „მარინერ-1“, რომელმაც მცირე შეცდომის გამო, მართვის კონტროლი დაკარგა და სტარტიდან 293 წამის შემდეგ განადგურდა. ამის თაობაზე ინგლისელი მწერალი და მეცნიერი არტურ კლარკი წერდა, რომ „მარინერ-1“ ისტორიაში ყველაზე ძვირიანი დეფისის გამო დასამარდა.

უძველეს სასმელთან დაკავშირებული შემთხვევა. ზარალი: 502 996 დოლარი — 150-წლიანი ელის დასახელებაში ერთი ასოს დაკლებამ მის მფლობელს ნახევარი მილიონი დოლარი დააკარგვინა. რამდენიმე კოლექციონერმა იცოდა, რომ აუქციონზე გასაყიდად უნდა გაეტანათ იშვიათი სასმელი, სახელწოდებით Allsopp's Arctic Ale, რომელიც ვერ აღმოაჩინეს, რადგან გამყიდველს დასახელებაში შეცდომა გაეპარა და ერთი ასო დააკლდა. შედეგად, აუქციონზე უძველესი ელის შეძენის მხოლოდ ორი მსურველი გამოჩნდა და ბოთლი 304 დოლარად გაიყიდა. გამჭრიახმა მყიდველმა უმალ გამოასწორა შეცდომა და იმავე აუქციონზე სასმელი უკვე 503 300 დოლარად შეფასდა.




შეცდომა ბიბლიაში, რომელმაც მცნების აზრი შეცვალა; ზარალი: 4590 დოლარი — 1631 წელს ინგლისელებმა გამოუშვეს ბიბლია, რომელშიც მეშვიდე მცნება შეცდომით დაბეჭდეს — „არ იმრუშოს“ აკლდა ნაწილაკი „არ“ და შედეგად, ამ გამოცემას „მრუშების ბიბლია“ უწოდეს, გამომცემლები კი სამი ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს.

მაკარონი რასისტული მიდრეკილებით. ზარალი 20 ათასი დოლარი — კულინარიულ წიგნში Penguin, რომელიც ავსტრალიაში გამოიცა, შევიდა მაკარონის რეცეპტი, სადაც მკითხველს კერძის შეკმაზვას „ახლად დაფქული შავი ადამიანებით“ (freshly ground black people) სთავაზობდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ სკანდალური რეცეპტის „ავტორი“ კორექტორი იყო, რადგან იგულისხმებოდა „ახლად დაფქული შავი წიწაკა“ (freshly ground black pepper). გაყიდულ წიგნებს ვეღარ ამოიღებდნენ, სამაგიეროდ, გაყიდვაში დარჩენილი 7 ათასი ეგზემპლარი გაანადგურეს.

აქციების დაბალ ფასად გაყიდვა. ზარალი: 340 მილიონი დოლარი — 2005 წლის დეკემბერში იაპონური კომპანიის Mizuho Securities ტრეიდერმა მიიღო განაცხადი, ერთი აქცია 610 ათას იენად გაეყიდა, მან კი აქციის რაოდენობა და ფასი ერთმანეთში აურია და 610 ათასი აქცია ერთ იენად გაიტანა გასაყიდად. ამ შეცდომამ ბირჟაზე ქაოსი გამოიწვია. შედეგად, დაეცა Nikkei-ის ინდექსი და ტოკიოს საფონდო ბირჟის ხელმძღვანელობაც გადადგა.

რეკორდულად ძვირფასი სარეკლამო აქცია. ზარალი: 50 მილიონი დოლარი — 2007 წელს ქალაქ როზუელში (ნიუ-მექსიკო) მცხოვრებმა ავტოდილერმა „ბრწყინვალე“ სარეკლამო ფანდი მოიგონა: ლატარიის 50 ათასი ბილეთი დააბეჭდვინა და გაათამაშა, საიდანაც მხოლოდ ერთი იგებდა ათას დოლარს, მაგრამ კომპანიამ, რომელსაც ბილეთების დაბეჭდვა ევალებოდა, შეცდომით, ყველა მომგებიანი გახადა და მოგების საერთო თანხამ 50 მილიონი დოლარი შეადგინა. ავტოდილერს ამხელა თანხის გადახდა, რა თქმა უნდა არ შეეძლო, ამიტომ ყოველ მოგებულს დაპირდა, რომ სასაჩუქრე სერტიფიკატს გადასცემდა 5 დოლარის ღირებულებით.

ეგზოტიკური შვებულება ეროტიკულად გადაიქცა. ზარალი: 10 მილიონი დოლარი — რამდენიმე წლის წინ, კალიფორნიულმა ტურისტულმა კომპანიამ Sonoma გადაწყვიტა, საკუთარი ბანერი განეთავსებინა „ყვითელ ფურცლებში“, მაგრამ მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ სასტიკად შეცდნენ. „ეგზოტიკური მოგზაურობის“ ნაცვლად, ცნობარში „ეროტიკული“ იყო მითითებული. ფირმამ პოპულარობა კი მოიპოვა, მაგრამ ტიპოგრაფიას შეცდომა 10 მილიონი დოლარი დაუჯდა — ეს თანხა ტურისტულმა კომპანიამ სასამართლოში ჩივილის შემდეგ მიიღო.



# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 8 | 2 | 7 |
| | | | 7 | | | 6 | | 3 |
| 3 | | | | 2 | 5 | | | |
| | | | | | 2 | | | 1 |
| | 3 | | 5 | 7 | 8 | | 4 | |
| 9 | | | 1 | | | | | |
| | | | 2 | 3 | | | | 9 |
| 4 | | 3 | | | 7 | | | |
| 6 | 7 | 2 | 9 | | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 6 | 2 | | | 9 | 7 |
| | | | | 3 | 4 | | 1 | |
| | | | | | | | 5 | |
| | 2 | | 1 | 4 | | | | 8 |
| | | 5 | 3 | | 2 | 6 | | |
| 4 | | | | 5 | 6 | | 2 | |
| | 6 | | | | | | | |
| | 7 | | 4 | 6 | | | | |
| 8 | 5 | | | 9 | 3 | 4 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 8 | 3 | | 2 | |
| | | | 1 | | | | 4 | |
| 1 | | | 5 | | | 3 | | 6 |
| | 1 | 2 | | | | | 8 | |
| | | 5 | | 4 | | 7 | | |
| | 3 | | | | | 6 | 5 | |
| 8 | | 1 | | | 9 | | | 3 |
| | 4 | | | | 2 | | | |
| | 7 | | 4 | 1 | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | 2 | | 5 | |
| | | | 5 | 1 | | 3 | | 8 |
| 2 | | | | | | 1 | | 7 |
| | | | | | 8 | | | 5 |
| 9 | 8 | | | | | | 6 | 2 |
| 5 | | | 2 | | | | | |
| 8 | | 1 | | | | | | 3 |
| 7 | | 3 | | 4 | 5 | | | |
| | 5 | | 1 | | | | 8 | |

## მძღოლები ფორმის გამო გაიფიცნენ




საფრანგეთის ქალაქ მარსელში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებს ახალი უნიფორმა არ მოეწონათ და გაიფიცნენ, რის გამოც ქალაქში გადაადგილების პრობლემა შეიქმნა. 1 600 მძღოლი საჭესთან დაბრუნებას უახლოეს დღეებში არ აპირებს და აცხადებს, რომ უნიფორმა არაკომფორტულია. თუ კომპანიის ხელმძღვანელობა არ გაითვალისწინებს ამ პრეტენზიებს და სასწრაფოდ არ შეცვლის ფორმას, მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა შემდეგ დღეებშიც შეექმნება.



## ვარსკვლავური რიტუალები სილამაზის შესანარჩუნებლად

ცნობილ ადამიანებს ერთადერთი საზრუნავი აქვთ — ყველგან და ყოველთვის უნაკლოდ გამოიყურებოდნენ. ისინი არც მალავენ რომ იდეალური გარეგნობის შესანარჩუნებლად ათასგვარ პროცედურას იტარებენ... მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ფილმის პრემიერაზე მისულმა ჯენიფერ ენისტონმა პუბლიკა გაოცებული დატოვა თავისი ჩაცმულობით და ზურგზე ცხელი ქილების კვალით. ჩანს, მსახიობი შეეცადა ნაკვალევის დაფარვას, მაგრამ მისი მოშიშვლებული ზურგი ყველას უმტკიცებდა, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს. იმავე პროცედურების მიმდევარია გვინეტ პელტროუც, სილამაზის შენარჩუნების არატრადიციულ მეთოდს მიმართავს კიმ კარდაშიანიც და იგი ყოველთვის მზადაა, საკუთარ გარეგნობაზე უამრავი ექსპერიმენტი ჩაატაროს. ამჯერად კიმი „ვამპირის ნიღბის“ ფანად იქცა — ამ პროცედურისას, ვენიდან აღებული სისხლი სახის კუნთში შეჰყავთ, თუმცა ახალგაზრდა ქალს ეს სულაც არ თრგუნავს და ამბობს, რომ „ვამპირის ნიღაბი“ დასვენებისა და მოდუნების არაჩვეულებრივი საშუალებაა. პოპულარული ადამიანების კიდევ ერთი გატაცება ტალახის აბაზანებია და ამ პროცედურას ხშირად მიმართავს ცნობილი მოდელი, ლეონარდო დი კაპრიოს ექსშეყვარებული ბარ რაფაელი, სამაგიეროდ ხილისა და ბოსტნეულის კოქტეილში „ბანაობს“ სუპერმოდელი როზი ჰანტინგტონ-უაითლი.

## ცხიმიან საკვებზე გადასახადი დააწესეს

დანიაში ახალი გადასახადი შემოიღეს ცხიმიან საკვებზე, უფრო სწორად, ნაჯერ ცხიმებზე. როგორც ამბობენ, ღონისძიება მიმართულია ჯანსაღი კვების გავრცელებაზე და იმ პროგრამის ნაწილია, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში, 10 წლის განმავლობაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 3 წლით უნდა გაიზარდოს. რამდენიმე ხნით ადრე დანიაში ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, უკვე შემოიღეს გადასახადი შაქარზე, შოკოლადსა და სოდიან სასმელზე. რაც შეეხება ცხიმიან საკვებს, ამ საკითხში ეს ჩრდილოური სამეფო პირველია. საერთოდ, დანია ევროპაში ყველაზე მაღალი გადასახადებით გამოირჩევა. ახალი კანონით, ერთ კილოგრამ გაჯერებულ ცხიმზე (ნებისმიერ პროდუქტში — კარაქი, ხორცი, რძე, ნახევარფაბრიკატები: მაგალითად, პიცა) გადასახადი დაახლოებით 3 დოლარია. როგორც დაითვალეს, ახლა ჩიზბურგერი 0,15 დოლარით მეტი ეღირება, ხოლო კარაქი 0,4 დოლარით გაძვირდება. ახალი სამართლებრივი ნორმის ძალაში შესვლამდე, დანიელებმა ცხიმისშემცველი პროდუქტის მომარაგება დაიწყეს.

უნგრეთში, ეგრეთ წოდებული ჩიფსების გადასახადი მოქმედებს, რაც ზედმეტად მარილიანი ან ტკბილი პროდუქტის დაბეგვრას გულისხმობს. ამ გადასახადის წყალობით, როგორც ამბობენ, ქვეყნის ხელისუფლებამ ბიუჯეტში, ერთი წლის განმავლობაში, 74 მილიონ ევროს მოუყარა თავი.





## კლავიატურას ადვილად გარეცხავთ

კომპანია Logitech-მა მომხმარებელს ახალი კლავიატურა შესთავაზა, რომელიც ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გარეცხოთ. შესაბამისად, თუ მასზე ჩაი ან ყავა გადაგესხათ, ამ პრობლემასაც მარტივად გადაჭრით — უბრალოდ, კლავიატურა ონკანს შეუშვირეთ და გარეცხეთ. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ახალ კლავიატურას სპეციალური, დრენაჟის ხვრელი აქვს, რომლის მეშვეობითაც სწრაფად შრება. აღსანიშნავია, რომ ასეთი „რეცხვადი“ აქსესუარის შექმნა მას შემდეგ გადაწყდა, რაც დამტკიცდა, რომ ის ბაქტერიების ბუდეა. სწავლულებმა არაერთი კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ კლავიატურაზე უამრავი მიკრობი იყრის თავს და მისი დაბინძურების დონე, ლამის, უნიტაზისას უტოლდება.

## კოცნა წამალივით მოქმედებს



სწავლულების მტკიცებით, კოცნას ადამიანისთვის უამრავი ემოციის მოტანა შეუძლია და საუკეთესო საშუალებაა სტრესის წინააღმდეგ: სრულფასოვანი კოცნის დროს ტვინში დიდი რაოდენობით გამოიყოფა ენდორფინები, რაც სამკურნალო ეფექტს იწვევს. მონრეალის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ყოველი კოცნა ამცირებს სტრესული სუბსტანციების წარმოქმნას, რაც თავის მხრივ, უამრავი დაავადებისგან გვიცავს. მკვლევარებმა ასევე დაადგინეს, რომ ავადმყოფები, რომელთაც ნაზად და ხშირად კოცნიან, უფრო ადვილად უმკლავდებიან დაავადებებს. ჩიკაგოს სტომატოლოგიური უნივერსიტეტის სწავლულებმა კი გაარკვიეს, რომ კოცნის დროს გამოიყოფა ფოსფორითა და კალციუმით მდიდარი ნერწყვი, რომელიც კბილებს კარიესისგან იცავს. ამბობენ, რომ კოცნა ასევე ეფექტური ტკივილგამაყუჩებელია, კოცნის დროს მოქმედებაში მოდის სახის 38 კუნთი, კანი იჭიმება და, შესაბამისად, ნაოჭებიც გვიან ჩნდება.

კოცნის დროს, საშუალოდ, 9 კალორია იწვის და აქედან გამომდინარე, რაც უფრო ვნებიანია ამბორი, მით მეტ წონას კარგავთ. შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ კოცნა ძალიან კარგი საშუალება ყოფილა სლოკინის წინააღმდეგ, რადგან ამ დროს ფართოვდება სისხლძარღვები, ჩქარდება გულისცემა, რაც პოზიტიურად აისახება გულსისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემაზე, ასევე სისხლში მეტი ადრენალინი გამოიყოფა, რაც დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე.



- წინ მსწრები განცხადება
- ჩიტის „საკანი“
- ძროხის ხორცის ნაწილი
- საკვების დანამატი
- ტომ სოიერის ძმა
- ქვეყანა აფრიკაში
- ფიქრი ანუ...
- ...... როშე
- ვულკანი ევროპაში
- საავთიაქო ქსელი
- ფაფუკი
- გიგანტური ხვლიკი
- ლუდის ბარი ინგლისში
- ადგილი ანუ ...
- ქიმიური ელემენტი
- ხომალდი
- ქვეყანა აზიაში
- ეგვიპტური ღმერთი
- ქალაქი ბალტიის ზღვაზე
- ვერდის ოპერა
- ტროპიკული ხილი
- რომაელი ფილოსოფოსი
- ძველებური თოფი
- კვირის დღე
- ზღვარი, საზღვარი, .....
- „თეთრი“ რეპერი
- კომოსური სხეული
- ხის სახლი
- ჯამაგირის ნაწილი
- მუსიკალური ნოტი
- ჩრდილი ანუ ...
- რეპტილია
- ქალაქი კანადაში
- „სამეფო“ გუნდი
- გაზაფხულის ყვავილი
- თურქი ჯარისკაცი
- მოუხეშავი ხელი ზარმაცი
- ..... დე ბალზაკი
- შეყვარებული ანუ...
- სოფელი ქართლში
- ხმლის დეტალი
- ცხელი სასმელი
- ჰიუგოს წიგნის პერსონაჟი
- ბიუჯეტის შემცირება
- მუსიკალური ბგერა
- პარასკევას მეგობარი
- ბალუს აღსაზრდელი
- მუსი-კალური ბგერა
- აშშ-ს შტატი
- მდინარე რუსეთში
- იტალიური ვალუტა
- ჭვარტლი ანუ...



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.